

၁၆. ၅၁၄၃၀၂၃၀၃၀

କବିତାରେ କାଳିତଥିବାଙ୍ଗ



ନେତାବାଦୀଙ୍କ ପାଇଁ ଏହାର ପାଇଁ ଆମେ ଯାଇଲୁ
ଏହାର ପାଇଁ ଆମେ ଯାଇଲୁ



ଓଡ଼ିଆକୁହାପାତ୍ର





ბ რ დ ბ ი ს ხ ე ვ ი

კ-კასიონის მწერლებიდან მზე თავის სხივებს ალაზ-
ნის ველისაკენ რომ გასტყორცნის, პირეულად ცივგომბორის:
კალთების ერთ მაღლობზე ლამაზად აშენებულ ქალაქს მია-
წავებს და სახლების ფანჯრებს ალისფრად აალაპლაპებს.
ჯდი ხნის უნახავებიღით კარგა ხანს ეალერსებიან ერთმანეთს
მზე და სიღნაღი... შემდეგ სხივები თანდათან ფერდობზე
ჯაცურდებიან, ჯერ ანაგასა და ვაქიჩს გამოაღვიძებენ, ბო-
ლოს სიცოცხლეს ქაზიკის სახეა სოლუციშუაც შეიტანენ.

კარგად ამოწვერილი მზე ხალიჩასავით აჭრელებულ ალაზ-
ნის ველს ხავერდევით ააბზინებს და თქვენ მზერას ახლა
კოლმეურნეთა შთავონებული შრომის ნაყოფი და უხვმოსავ-
ლიანი მინდვრები მოიტაცებენ, თვალწინ გადაგეშლებათ
ეშვენიერი ლანდშაფტი: პურისა და სიმინდის მობიბინე ყა-
ნები, მავთელზე გაბმული ვაზის თვალუწველი მწერივები, ---
შემოდგომაზე რომ დოვლათით აავსებუნ კახეთს, --- გოლია-
თივით გაჭიმული ალაზანი.

წნორისწყლის სადგურიდან მთავარ ქუჩას რომ გაპყე-
პით. ჩამდენიმე წუთის შემდეგ სიღნაღის ალმოსავლეთით

მიაღებით მოზრდილ სოფელს, რომელიც ვაზის რქასავით ასდევს ცივგომბორის დახლართულ კალთებს. ეს არის სოფელი ბოდბისხევი.

ბოდბისხევი — საკმაოდ პოპულარული სოფელია საქართველოში. იგი დღევანდელი სიღნაღმის ჩაინოში მდებარეობს. ქიზიყის აჩცერთ სოფელს ისე არ იცნობენ, როგორც ბოდბისხევს. სოფელი ხევშია გაშენებული. აქეთ-აქიდან პატარა მთა-გორები არტყია, შინ კი — ალაზნის ველი აქვს გადაშლილი. ბოდბისხევს შუაზე ხევის წყალი ჩამოუდის და სოფელს ორად ყოფს. როგორც ყოველი ხევის წყალი, ისიც „უხასიათოა“. დროდაურო, ავდრიან ამინდში, დიდდება, უშველებელ მდინარესავით მოპქუხს, გაბოროტებული მობუტბუტებს და კალაპოტს აფართოვებს. მაგრამ მისი ნებივრობა ხანმოკლეა. წყალი მალე იკლებს, დარიან ამინდში მისი ხმა იშვიათად ისმის, მშვიდად და მოკრძალებულად მორაკრაკებს. თითქოს თავისი აღრინდელი სიავისა სცხვენიანო.

ლაშაზი სოფელია ბოდბისხევი. ჰავაც კარგი აქვს. მდებარეობა მოხეზებულა. აქ ყოველ კვირა დღეს დიდი ბაზრობა იმართება, კახეთის ყველა კუთხიდან გლეხებს აქ შოაქცთ, რაც კი რამ გასაყიდო აქვთ. ბაზრობა ცკის თელავრიც, გურჯაანშიც, ყვარელშიც, ლაგოდეხშიც, მაგრამ არც ერთი მათგანი, თავისი სიღიდით, მრავალფეროვანებით, პროდუქტების სიუჩვით ბოდბისხევის ბაზრობას არ შეეღრება.

ბოდბისხევის ბაზრობა თბილისელ მომხმარებელსაც იზიდავს. შაბათს სალამოს თბილისიდან გასული მუშა თუ მოსამსახურე, კვირა სალამოთი შინ ბრუნდება იაფი და ხარისხიანი სანოვაგით დატვირთული.

ბოდბისხევი მდიდარია საუკეთესო წყაროს წყლებითაც. ყველა უბანს რამდენიმე საკუთარი წყარო აქვს.

პირადად მე ბოდბისხევი ბაღებით უფრო მომწონს. ბაღებში ნაირ-ნაირი ხეხილია — ვაშლი, ქლიავი, მსხალი, ჭერამი, ლელვი, ბროწეული, კომშა. ხეხილს შუა ვაზები და

კაზის ხერვნებია. ბალის შესასელელებსა და გარშემო, ეზო-
ებში ვარდის ბუჩქებია. აპრილის ბოლოდან, — ოოცა ისინა
წითლად შეიმოსებიან და სამურ სურნელებას გამოსცემენ,
— ბუნების ნამდვილი ზეიმი დგება. ვარდის ბუჩქებს ფუტ-
კრებივით ესევიან ბულბულები და შათი კუკურ-გალობა სა-
მურად ეფინება არემარეს. უკეთესი სანახობა არ შეი-
ლება. ბევრი უკეთესი სოფელი მინახავს, მაგრამ ამდენი
ბულბული ერთად კი — არსად და არასოდეს.

ზოგჯერ მიიღინდა, — ამ სოფლისათვის ხალხს არაფოშ
ვარდბულბულიანი არ დაურქმევია-მეთქი.

უკელაფერი ეს პოეტურ იერს აძლევეს ბოჭბისხევს. მაკ-
რამ იგი პოეზიით არ იყო ცნობილი. მას სახელი ბოროტება
აუამიანმა „გაუთქვა“. საქართველოს ისტორიაში შეორე არ
იცის ისეთი გველივით შესაზარი სახელი, ორგორიც ფარსა-
დან ბოდბისხეველისა. სახელგანთქმულ სახალხო გმირს ა-
რსენა ოქელაშვილს, რომლისადმი სიყვარულიც არასოდეს
არ განელდება ჩვენს ხალხში, თავიდანეე შავი აჩრდილივათ
აედევნა გულლვარძლიანი ფარსადანი.

ფარსადანი არსენას ნათლიმზე იყო. ოოცობა ხალხურ-
ლექსი გადმოგვცემს, არსენა მცხო სამი შვალის მომნათველ-
ლი იყო. ფარსადანის ოჯახთან ნათესავური გრძნობებრთ ღ-
კავშირებული არსენა თავისუფლად ჩადიოდა ბოდბისხევში.
ნათლულებს საჩუქრებს მიუტანდა და ნათლიმზ-ნათლიდე-
დას გულით მოიკითხავდა-ხოლმე. მაგრამ მაშინ, ოცა არსე-
ნას გული სუფთა და ლია იყო, ფარსადანის გული საშინელ
სიბინძურეს მაღავლა; იუდა ფარსაცელურად ხელებოდა ნათ-
ლიას და იმის ცდაში იყო თუ ოოცობა ეხელთა უზო და
გრძებზე გაეყიდა იგა.

ოცა მეფის მთავრობამ „ასი ოქრო გურჩინა. კუნც ა-
სენას დაცერდა“, მსუნავსა და ხარბ ფარსადანის მოსკენე-
ბა დაეკარგა, მან მტკიცედ გადასუყვეტა არსენა ხელში ჩაეჭ-
დებინებია პოლიციისათვის. ხალხურ ლექსში ცეოთხულობა:

„გაუჩირეთ მიღდეთ დოკურატა
ფარსადან წოდომისეცეცა...
ნათლიმად მოვეძლა,
ხაგრავ ის ულაპატება“.

არსენა უშიშარი ვაუკაცი იყო, მაგრამ ოცნებები შეიტყო, რომ მის დამკერს „ასი ოქრო გაუჩინცს“, ფრთხილობდა. როგორც ხალხურ ლექსში ჩანს, თვით ნათლიმასაც ერი-ლებოდა. ეს მშენიურადა გადმოცემული არსენასა და ფარ-ზადანის შეხედრისას თაფარავანის ტბაზე. შირაქში დაცხა, ფარსადანმა ცხვარი თჩიალეთს წასხა. აქ, თაფარავანის ტბაზე მას არსენა შეხვდა. ფარსადანმა არსენას თავი ისე მოაჩვენა, თოთქოს მისი ნახვა გულწრფელად გაეხარდა და საყვედლით მიმართა, რატომ აღარ მოღახხა ჩვენსაო:

— „არსენავ, გეთაყვანები,
რატომ არ მოდიხარ ჩვენსა?“
— „მიღალატებ ნათლიმავ,
მიტომ არ მოვდივარ თქვენსა!“
— „არსენა როგორ გიღალატებ,
სამი შვილის მომნათვლელასა!“
ძირს დედამიწას ჰუციცედა
და მალლა ზეცაში ღმერთია.
ვაშინა, სთქვა არსენამა:
— „მირანა როგორ დამიჭვევსა!“.

ერთსელ, როცა ცხოვრებისაგან გაშამებული და დალ-ლილ-დაქანცული არსენა ნათლიმამას ეწვდა, ფარსადანმა ფართოდ გაულო კარი და მოწიწებით შინ შეიძლიუა. ფხა-ზელ და დაკვირვებულ არსენას ეჭვი არ აულია.

სტუმარი ჩვენში — იგივე ნათესავია, ნათესავი სტუმა-რი კი — ორგზის ნათესავი. არსენას დაეჭვების უფლება არ პქონდა. ვერ წარმოიდგენდა, რომ ნათლიმამა უღალატებდა, მუხანათურავ გასცემდა, გროშებზე გაპყიდდა.

საგრამ ბოროტი, ხანბი და გაუმაძლარი ფარსადანის მოქმედებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭირბა. იუდაც ამ წოქცეულა ფარსადანივით:

„ჩატურელეს არსენა,
ტებილი ღვინით დათვერდს :
შემწვარი და მოსარშელა
წინ ტაბაკით მიართვეს;
უამთვრალსა და გალეშილი;
ტებილი ძილი მოუნდესა.
არაღი აიყარა,
ათლიდედას აბარებსა:
— „ხვალ თუ მშვიდობით გათენდა,
უჟრიანდ დამკარდესა“.
რალუჩი და ზალიში
საჩქარონე მიართვესა;
ზედ ტყავები წააფარეს:
— „არსენ არ შეგვისავდა..“.

ასე ტკბილად რომ ექცეოდა არსენას, თავში ფარსადანს ხევა აზრი უტრიალებდა:

„შევალე რომ შეიქნა
თავის ავერტი გასწევსა.
ათი-თორჩეტი მეცევარე
თავს მძინარეს დაწევსა.
არსენამ წამოიწია,
შეეველრა მეუფესა —
— ე მამაძალლის ტიელი
რა ბეზები მასხდეს ესა?“
ათსა აგრე წარიუდგა,
სულ მუშტით დაამტერეს ყბება.
შეთერთმეტე, მეთორმეტე
არსენას უკრავდნენ ხელსა.
ისე მაგრა გაუჭირეს,
ფრჩხილებში სისხლი გასწულსა“.

შეწუსებულმა არსენამ ზიზღით გადახედა ფარსადანს და შესთხოვა:

„ნათლიმაშევ, ბუ მღალატობ.
 ნუ ჩამაგდებ ცტრების ხელსა,
 ათასწილად ჭიკებილი სჯობი
 იმათ ხელში განსაცდელსა!
 მე მღალატობ, ნათლიმაშე?
 ჩემს მაგირ საპართალსა
 იქ რას ეტყვი მაღალ ღმერთს?
 ღვთასეშობელი გაგიჩენსა.
 ნუ მღალატობ ფარსადანო,
 ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა,
 ოჩაუ თუმანს აქ გაჩუქებ.
 სამას თუმანს გომარეთსა“.

ნათლიმაშ არ მოისმინა არსენას ეედრება. „ფარსადან
 ასე ეგონა ჩინს მისურემდნენ, ტემლაკებსა“. არსენა ცხენზე
 შესვეს, ფეხები მაგრა გაუკრეს და თბილისში წამორყევანეს...

ხალხს სძლეს, ეზიზლება ფარსადანი, ჰგმობს მის საქ-
 რიელს, სამაგიროდ უდიდესი სიყვარულით მოსახს არსენას
 სახელს, მისადმი გულითადი თანაგრძნობით არს გაშესჭივა-
 ლული. ფოლულორი არსენას ხატავს, როგორც მაღალი ბუ-
 ნების აღაშიანს, რომელიც არ ასდევს პირად შურისძიებას
 და სპეტავად ინახავს კეთილი აღაშიანის წმინდა სახელს. ეს
 ხალხმა შესანიშნავად გამოხატა იმით, რომ არსენას კაცი არ
 მოაკვლევინა. არსენამ ტყვეობიდან თავი დაიხსნა, ბოლბი-
 ხვში ჩამოვიდა, მაგრამ ფარსადანზე შური არ იძია:

„იქ ჩაფიდა ქაზიკშია,
 ნათლიმაშას მიაგნებსა.
 ბოდბისხევში რომ შევიდა,
 სულ კარები ჩაკეტესა“.

ბოლბისხეველი შეწუხდა, „შეშინებული ადგილზე ვეღარ
 დგებოდა“, დაიმალა და გარეთ აღარ გამოდიოდა. მაგრამ
 არსენა ფარსადანივით სულმდაბალი არ აღმოჩნდა:

— „თორმეტ წელსა ყაჩალად ვარ,
 ყაცხს ცოდვა არა მძევსა,
 ახლა მოვკლა ნათლიმა,
 ბოლოს სული წამიწყდესა!“

...ამიერიდან ფარსალან ბოლბისხეველი საძრახის სახელად გადაიტება.

ფარსადანთან დაკავშირებით ცწნობდნენ ბოლბისხევის. ბოროტი აზამიანის სიბინძურემ შებღალა ამ სოფლის სახელი: მისი ხსენება უსიამოვნო გრძნობას იწვევდა პატიოსან ქართველში, და სხვანაირად არც შეიძლებოდა. გადიოდა დრო, წელს წელი მისდევდა და ეს ჭუჭყი წარუხოცელი რჩებოდა.

და, აა, დაბადა სიკეთის მგზნებარე მომღერალი უაქველი ბოლბისხევიც დავრწყებას მიეცა.

იროდიონ ევდოშვილის პოეზიის პირველი გამსკეთილ შობილებელი ნექტარი ბოლბისხევის შეეხო.

მრავალშვილიანი ოჯახი

იროდიონ ევდოშვილის შობლები კახეთის მუკიზრნი იყენენ. მამა — ისაკი — ბოლბისხევის ეკლესიის მთავარი დიაკვანი იყო, დედა — ევდოკია — სოფლის მდაბილ ქალი. ევდოკია ადრე გათხოვდა, თხუთმეტი წლისა იყო, როცა ცოლად ისაკი ზოსიტაშვილს გაჰყვა. ახალგაზრდა, წერა-კითხის უცოდინარი, სრულიად გამოუცდელი გოგონა საუკეთა-სო დიასახლისი, ოჯახის ერთგული და ენერგიული დედა გამოდგა.

ისაკი და ევდოკია მალე დაწვრილშვილიდნენ, მათ ზუთი შვილი გაუჩნდათ: სამი ვაჟი და ორი ქალი: ილარიონი, თომა, იროდიონი, მარო, ბაბილინა (ბაბო). იროდიონი ქმებში ყველაზე უმცროსი იყო.

ევდოკია თავიდანვე ოჯახის ზრუნვით ისე დაიტვირთა, რომ საშუალება არ მიეცა წერა-კითხვა შემღებელი მანც შეესწავლა. თუმცა მას განათლება არა პქონდა მიღებული, მაგრამ შვილების განათლებაზე ბევრს ფიქრობდა და ზრუნავდა. შვილების სწავლის ბეღით შეწუხებული ახალგაზრდა

დედა ხშირად მიმართავდა ქმარს, რათა თავისუფალი დრო ბავშვებისათვის მოეხმარებინა, მათთვის წერა-კითხვა შეესწავლებინა. ყველას აკვირვებდა ევდოკიას ასეთი გულისყური შვილების სწავლა-დღისადმი. ცოლისაგან წახალისებული ისაკი სიყვარულით ჩაუჯდებოდა ხოლმე შეილებს და მთელი სათობით ასწავლიდა.

ძალიან უყვარდა შვილები ევდოკიას. თავს ევლებოდა, რაც კი შეეძლო, არაფერს აკლებდა: განუწყვეტლად შეილებზე ფიქრობდა და ერთი წუთითაც უყურადღებოდ არა სტოვებდა მათ. იგი გულთბილი და ალერსიანი დედა იყო. ამიტომ შვილებსაც არაჩვეულებრივად უყვარდათ, განსაკუთრებით ძალიან უყვარდა იროდონს. როცა უკანასკნელმა მწერლობა დარწყო, თავის ფსევდონიმად დედის სახელი არჩია და ევდოშვილი შემდეგში მას მუდმივ ლიტერატურულ გვარად გადაიქცა.

უკლეოია ბუნებით სათნო, შესახედავად მოხდენილი, ლაშაზი ადამიანი იყო, არავის ახსოვდა მისგან ცუდი, მისი გულკეთილობით მოხიბლული მეზობლები ყოველთვის ცდილობდნენ რითიმე ესიამოვნებინათ, სიკეთე სიკეთითვე გადაეხადათ, მისი გული მოეგოთ და ყურადღება დაემსახურებინათ. თავისი კეთილი მოქმედებით ევდოკია მისაბაძი იყო. ხოსტარანთ ევდოკიას ქებას ხშირად გაიგებდით. ამასთან იგი გამრჯე ქალი იყო და შრომა არ ეზარებოდა, განუწყვეტლად უსაფუსებდა, უქმდად გაჩერებულს ერთს წუთს ვერ წავდით.

დედა იყო პირველი შთამგონებელი თავისი შვილებისა. იგი მუდამ იმას აჩიგებდა მათ, რომ ყოფილიყვნენ კეთილი და პატიოსანნი, გაჭირვებულთა შემბრალებელნი და დამზადენი. თვითონ წვრილშვილი და ხელმოკლე ოჯახის პატიონი არასოდეს მათხოვანს გაუკითხავს არ გაუშვებდა, შეზობლებს თხოვნაზე უარს არ ეტყოდა, თვითონ დაიკლებდა და სხვას ხელს გაუმართავდა.

ევდოკიამ დიზი გავლენა იქნანია შეიძლების პორალურ აღზრდაზე. სისუსტით კი არა, კეთილი ბუნებით, ჯანსაღი ინტუიციით უნდა აისწნას ის გარემოება, რომ ევდოკია ხელს უწყობდა ბავშვების თავისუფალ აღზრდას, არ თრგუნავდა მათს „ცელქობას“, ინციდენტებს. ქვევით დავინახავთ, თუ როგორი თანაგრძნობით ხვდებოდა ევდოკია შვილების მიერ მამის კრიტიკასაც კი.

* * *

ხოსიტაშვილების სახლი, სადაც 1873 წლის 7 მაისს (ბველი სტილით) იროდოონი დაიბადა, ხოფლის შუაგულში, ხეობის მარცხენა ფერდობზე იღვა და მარჯვნით ბუჩქნარი ტყით დაფარულ მთას გაჰყურებდა. „ამაღლების“ ეკლესიაც, რომელშიც ისაკი მთავარდიაკვნად მსახურობდა, სახლთან ოდნავ მოშორებით, მაღლობზე იდგა. ეს სახლი ახლაც იმავე ადგალას (ზარისწყლის უბანში) დგას, მაგრამ არა იმ სახით, როგორადაც თავის დროზე იყო, შემდეგში ძმებმა ერთ მხარეს ლაშაზი, აივნიანი სართული დაშენეს.

ისაკი ხოსიტაშვილი დიდად განათლებული არ ყოფილა, მაგრამ უურნალ-გაზეთების კითხვა ძალიან უყვარდა, მის სახლში ხშირად ნახავდოთ გამოჩენილ ქართველ მწერალთა მხატვრულ ნაწარმოებებსაც. კერძოდ — ილა ჭავჭავაძის ლექსები და მოთხოვობები დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ ხოსიტაშვილების ოჯახში. ასეთ ატმოსფეროში ბავშვები თვითდანვე ეწაფებოდნენ თვითგანვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ იროდიონს ოჯახში აღეძრა პირველი სიყვარული დიდი პოეტისადმი, აქვე გაეღვიძა პუშკინური გრძნობები. შემთხვევითი არაა, რომ ცტრატეტი წლის ჭაბუქმა თავის პირველ ლექსს ეპიგრაფად ილიას სტრიქონები წარუმდლვარა:

„რომ ბედში მყოფი შენ ძალა მიგაჩდეს.
უც უერაფერი სიყვარულია“...

ნორჩი მონადირე და მამის პრიტიკოსი

იროდიონი ლამაზი, შავგვრემანი, ცოცხალი, ხალისიაში კუმაწვილი იყო. — შეიძლება მოუსვენარიც, ამ სიტყვის კარგი გაგებით: დალლა არ იცოდა და არაფერი არ ეზარებოდა, სწავლაც უკვარდა და გართობაც: მუდამ ტოლამხანაგებში იყო. როცა ერთი სახის თამაში მოსწყინდებოდა, მეორეზე გადავიდოდა, ხშირად თვითონ იგონებდა სათამაშოს.

იროდიონს, გადმოგვცემენ მისი თანამედროვენი, ბავშვობაში „ნადირობაც“ იტაცებდა. ხის თოფს გააკეთებდა, ეზოს ძალლს წინ გაიგდებდა და იქვე ახლო ბუჩქნარ ტყეში სანადიროდ წავიდოდა; ნადირობა იროდიონს შემდეგაც უყვარდა, მას ყოველთვის ჰქონდა სანადირო თოფი და ჰყავდა კარგი ჯიშის მწევარი ძალლი.

იროდიონზე თავიდანვე დიდ მსრუნველობას იჩენდა უფროსი ძმა ილარიონი (ილია). იროდიონი შვიდი წლისა იქნებოდა, როცა ილიამ თბილისში ჩამოიყვანა და პანსიონში მიაბარა. აქ იგი დიდხანს არ დარჩენილა. მალე მშობლებმა ჯერ სიღნალის სამოქალაქო სასწავლებელში მიაბარეს, შემდეგ კი შეიყვანეს თელავის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც მან 1890 წელს დაამთავრა.

თელავში სწავლის დროს იროდიონი განათლებულ ოჯახში ცხოვრობდა. ამ ოჯახში დროგამოშეცებით თელავის მოწინავე საზოგადოება იყრიბებოდა და იმდროინდელ აქტუალურ საკითხებზე, მწერლობაზე სჯა-ბაასი იმსრთებოდა. ხშირად მოისმენდით ამ ოჯახში ილიასა და აკაკის სახელებს. მათს ნაწარმოებებზე გატაცებით მსჯელობდნენ, კამათობდნენ. საუბრის საგანი ხშირად იცვლებოდა, ლიტერატურუ-

ლი პაქტონბიდან პოლიტიკური საკითხების გარჩევაზე გადა-
დიოდნენ. ილიას პატრიოტიზმი, მისი ეროვნულ-განმათავა-
სუფლებელი იდეები ამ საზოგადოებაში დღიდი თანაგრძნო-
ბით სარგებლობდნენ და უბრალოდ დაწყებული საუბარი
ხშირად სამშობლოს თავისუფლებაზე გაცხარებული მსჯე-
ლობით თავდებოდა.

თელავში ამ პერიოდში, საერთოდ, საკმაოდ იყვნენ მო-
წერინავე ქართველი ინტელიგენტები — მასწავლებლები, უურ-
ნალ-გაზეთების თანამშრომლები, თეატრის და სხვა მოღვა-
წეები.

ასეთ ატმოსფეროში ტრიალმა დიდად შეუწყო ხელი
ახალგაზრდა იროდიონის გონებრივ განვითარებას, მის გამ-
სკვალვას პროგრესული შეხედულებებით. თელავში ყოფ-
ნის დროს იროდიონ ხოსიტაშვილი ფართო თვითგანვითარე-
ბას დაწავა: გულმოდგინელ ჩაუჯდებოდა ხოლმე. ახალ
უურნალ-გაზეთებს და სანამ სულ არ წაიკითხავდა, თავს არ
დაანებებდა. ბევრს კითხულობდა ქართველ მწერალთა ნა-
წარმოებებს. ზოგადი განვითარებით იგი დიდად გამოირჩე-
ოდა ამხანაგებისაგან.

იმავე წელს, როცა თელავის სასულიერო სასწავლებელი
დამთავრა, უფროსი ძმის დახმარებით იროდიონ ხოსიტაშვი-
ლი თბილისში ჩამოვიდა და სასულიერო სემინარიაში შე-
ვიდა. აქ იროდიონმა მაშინვე მიიქცია მოსწავლეთა ყურად-
შება, როგორც განათლებულმა ახალგაზრდამ.

სემინარიაში იროდიონი გარედან დადიოდა, პანსიონში
ვერ მოეწყო და კერძო ბინაზე ცხოვრობდა. ამ შემთხვევა-
შიც თითქოს ბედმა გაუღიმაო, იგი კარგ ოჯახში მოხვდა. ეს
ცყო მომავალი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის — ლადო
დარჩიაშვილის უფროსი ძმის მიხა დარჩიაშვილის ოჯახი.
მიხა დარჩიაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მაშინდელ

შთელ ჩიგ ქართველ მოღვაწეებთან, რომლებიც მის ბინაზე ხშირად იქრიბებოდნენ. ოროდიონი პარალელურად ორ სკოლას გადიოდა. აქ და სემინარიაში უფროს, რევოლუციურად განწყობილ ამხანაგებთან ურთიერთობაში ითვისებდა იგი მოწინავე იდეებს და ხალხის, სამშობლოს სასარგებლო საქმისათვის ემზადებოდა.

იროდიონ ხოსიტაშვილი სასულიერო განათლებას იღებდა, მაგრამ არასოდეს განზრახვა არა ჰქონია მას საეკლესიო სამსახურში შესულიყო. პირიქით ჯერ კიდევ თელავის სწავლის დროს მან არა ერთხელ გამოამჟღავნა სასულიერო პირთა სიძულვილი; სასულიერო სემინარიაში კი ადმინისტრაციის აროდიონი ეჯავრებოდა სწორედ იმიტომ, რომ მას სძულდა სემინარიაში გაბატონებული რეუიმი, აშკარა და გაბედულ მიღრეკილებას იჩენდა თავისუფალი აზროვნებისადმი, რაც სემინარიის კედლებს შიგნით სასტიკად იდევნებოდა.

იროდიონ ხოსიტაშვილი ბავშვობიდანვე კარგად ცუნობდა მღვდლებისა და მთავარ-დიაკვნების ცხოვრებას. მას საშუალება ჰქონდა მამის ოჯახში დაკვირვებოდა მათ ყოფას და კარგად შეესწავლა ის. ახალგაზრდა იროდიონი ნათლად ხედავდა, რომ ეს „სულიერი მამები“ არც ისე წესიერი და სუფთა ხალხი იყო. ისინი ძალიან წერილმან ადამიანებად ეჩერენებოდნენ, როცა ხედავდა, რომ ხშირად ერთმანეთში ჩხუბიც კი მოსდიოდათ მრევლისაგან სხვადასხვა შემოწირულებათა გაყოფისას. არა ერთხელ დაუცინია და გაუკილავს ეს „სულიერი მამები“ გონებამახვილ ყმაწვილს: მწერლის უმცროსი და — ბაბილინა იგონებს, რომ ახალგაზრდა იროდიონს დაუწერია ვოდევილი თუ კომიკური სურათი ბოდისხევის ეკლესიის მსახურთა ცხოვრებიდან. ამ კომიკურ სუ-

რათში აღწერალი ყოფილა, თუ როგორ ჩხუპობლნენ
მღვდელი და დაკავანი ტაბლის განაწილებაზე.

იროდიონი გადაცვამდა მამის ტანისამოსს, თავს მოუყ-
რიდა მეზობლებსა და შინაურებს და დაწყებდა თავისი
ნაწარმოების კითხვას და ინსცენირებას. ყველა გაოცებული
შეკურებდა, გულიანად იცინოდნენ და უკირდათ ახალგაზ-
რუა იროდიონის ასეთი საქცელი. იგი არ „ინდობდა“ მამს
და გაბედულად აკრიტიკებდა მის მოქმედებას. კეთილი და...
და კმაყოფილი იყო შვილით. იგი ლიმილით მივიდოდა ირ-
დიონთან, მოუალეასებდა, გადაჰკოცნდა და თან გაცემ-
ხილებდა:

— გეყოფა, წადი, გაიხადე ეგ ტანისამოსი, მამამ არ მო-
გისწოდოს.

იროდიონის არ მოსწონდა მღვდელთმისახურება.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ბ ი ჭ ი

იროდიონ ხოსიტაშვილმა თბილისის სახულიერო სემინა-
რიაში ამხანაგების ყურადღება შესვლის დღიდანევე მიიქცია.
იგი მალე დაუახლოედა მოწინავე მოსწავლეებს, კავშირი
გააძა სემინარის გარეთ მყოფ საზოგადო მოღვაწეებთანაც
და აქტიურად ჩაება პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სემინარიაში მოსწავლეები, ასებითად, ორად იყვნენ გა-
ყოფილი; ერთი ცდილობლნენ როგორმე დაემთავრებინათ
სემინარია, შემდეგ სადმე თბილი აღგრძი ეშვოათ და მშვი-
დი და უზრუნველი ცხოვრება დაეწყოთ. ესენი პირვერობ-
ლნენ უფროსების წინაშე, ზუსტად ასრულებლნენ ადმინის-
ტრაციის მითითებებს, ერიდებოდნენ შემჩნეულ“, „არაე-
თილსაიმედო“ ამხანაგებს და ყოველი არად ცდილობლნენ
მასწავლებლებში ნდობა დაემსახურებინათ.

მეორეებს სძულდათ მაშინდელი წყობილება და სემინარიაში გამეფებული რეკიმი. ისინი ახალის ძიებით იყვნენ გატაცებულნი, ლრმად ეწაფებოდნენ თვითგანვითარებას, სემინარიის კედლებში აკრძალული ლიტერატურის კითხვას. უმთავრესად კითხულობდნენ რუსი და ქართველი მოწინავე მწერლების ნაწარმოებებს, უკავშირდებოდნენ სემინარიის გარეთ ასებულ პოლიტიკურ წრეებს და თანდათან აქტიურად ებმებოდნენ რევოლუციურ მოძრაობაში. ოროდიონი ასეთ აშხანაგთა წრეს დაუკავშირდა.

— მე პირველ კლასში ვიყავი, როცა იროდიონი გავიცანი—იგონებს მისი სემინარიელი თანამედროვე.—იროდიონი მეორე კლასში იყო და ბევრი ცდილობდა მასთან დაახლოებას. აშხანაგებს იზიდავდა იროდიონის უშუალობა, გულწრიფელობა, ცოცხალი ხასიათი.

„იროდიონი, — განაგრძობს იგი, — ნამდვილი სოფლის გულუბრყვილო, რომ იტყვიან, ტეტია ბეჭი იყო: შავტუხა. ჯანსაღი, სტყვამოსწრებული, ოხუნჯი, მხიარული, თვალება სულ უცინოდა... გულლია, მოსიყვარულე იროდიონი ყველას უყვარდა“.

სემინარიაში აკრძალული იყო მოწინავე მწერალთა ნაწარმოებების კითხვა. ადმინისტრაცია მიისწრავოდა ჩაეკლა მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნებისადმი მიღწეულება. აღეზარდა მათგან მორჩილი და ერთგული „ღვთისმსახურები“. რომლებიც იმავე დროს ხელს შეუწყობდნენ მეფის თვითმშეკრიბელური რეკიმის დაცვასა და განმტკიცებას.

მოწინავე მოსწავლეები დამოუკიდებელი ლიტერატურის კითხვას ფართოდ ეწაფებოდნენ და თვითგანვითარების საიდუმლო წრეებს ჰქმნიდნენ. იროდიონი სემინარიაში, გარდა თავისი კლასისა, უფროსი კლასის მოსწავლეებთანაც მეგობრობდა. მას თავისი ვიწრო საიდუმლო წრე ჰქონდა, როგორიც დაახლოებით ათი-თორმეტი კაცისაგან შესდგებოდა. მათ მორის იყვნენ მომავალი მწერლები და უურნალისტები—

აკობ ცინცაძე (ია ეკალაძე), ნეკო კურდლელაშვილი (ნარ-კან), ილია აგლაძე და სხვ. „მათ, ამბობს იგივე სემინარელი გ. ნათაძე, საერთო ხელნაწერი უურნალი ჰქონდათ. უურ-ზალს, რასაცვირველია, საიდუმლოდ აწამოებდნენ, უმალავ-დნენ, როგორც სემინარიის აღმინსტრუციას, ისე სხვა ამხა-ნაგებს... უურნალს კარგად აფორშებდნენ და გარე შეგრ-დის ბინაზე (ე. ი. ისეთი მოწაფის ბინაზე, რომელიც სემინა-რიის პანსიონში არ ცხოვრობდა, — ე. ქ.) კითხულობდნენ, აჩევდნენ. იროდიონი იუმორისტულ ლექსებს ათავსებდა რექტორ-ინსპექტორებზე, მეთვალყურეებზე, უსულგულო, გამოთაყვანებულ მასწავლებლებზე. მისი ლექსები აღტაცე-ბას იწვევდნენ ამხანაგებში“...¹⁾“

ეს ცო პირველი ნაბიჯები. იროდიონი თანდათან ებმე-ბოდა გაბატონებული პოლიტიკური უსამართლობის წინააღ-მდეგ ბრძოლაში, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სემინარი-ელთა ფარულ კრებებსა და მიტინგებზე.

იროდიონის სემინარიაში შესვლის პირველი წლები იყო. ბიუროებატი და რუსითიყატორი მასწავლებლები დასკინო-დნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ ქართულ ენას, უხეშად უპყრობობდნენ მოსწავლეებს, უშლიდნენ მათ ქართული წიგ-ნების კითხვასა და სხვ. ფარულმა წრეებმა გადასწყვიტეს მოსწავლეთა. საპროტესტო გამოსვლა მოეწყოთ: უარი ეთქ-ვათ სწავლის გაგრძელებაზე. ამავე წრეებმა გადასწყვიტეს ფარული კრების მოწვევა ფიქრის გორაზე, სადაც გამომუ-შავებული უნდა ყოფილიყო გარკვეული შეხედულება სემი-ნარიაში გამოფებული რეენიმის წინააღმდეგ ბრძოლისა და მოწინავე მოსწავლეთა საერთო რევოლუციურ მოძრაობაში გონაწილეობის შესახებ.

კრებაზე თვითეული კლასიდან 3-4 მოსწავლე უნდა და-წრებოდა. — გადმოგვცემს ამ კრების ერთი მონაწილეთაგა-

¹⁾ მოგონება დაცულია ლიტერატურის სახ. მუზეუმში.

ნი. — ფიქტურის გორაზე მაშინ სრულიად არ იყო მასაბალეობა. ტრიალ მინდოოს, მიყრუებულ აღგილს წარმოადგენდა იგი... დანიშნულ დროს მოდიოდნენ მოსწავლეები და ერთ აღგილს იკრიბებოდნენ. 60-80-ამდე მოსწავლემ მოიყარა თავი. აქ იყვნენ მაღალი კლასის მოწინავე მოწაფეები. ფ. მახარაძე, შ. დედაბრიშვილი და სხვ. ოთხივე კუთხივ მეთვალყურეები დააყენეს, რათა პოლიცია მოულოდნელად არ დასმოდათ თავს და არ დაეპატიმრებინათ... ილაპარაკეს უფროსებმა, დაბალ კლასებიდან ვერავინ ბედავდა გამოსკლას... უკურად იროდიონმა ითხოვა სიტყვა. გამოვიდა, ფალავანივით შუაში გაჩერდა, ლაპარაკი დაიწყო. ლაპარაკობდა ჯერ მოკრძალებით, შემდეგ თანდათან გაბედულება ემატებოდა, ხმას უწევდა; ბოლოს იგი გატაცებით და პათოსით ლაპარაკობდა სემინარიაში გამეფებულ სულისშემხუთველ რეეგიზზე და მოსწავლეებს მოუწოდებდა, რათა გაბედულად ებრძოლათ მანამდე, სანამ არ შიაღწევდნენ იმას, რომ წართულ ენას სემინარიაში მოკრძალებით მოჰკიდებოდნენ, ხოლო მოსწავლეებს ადამიანურად მოპყრობოდნენ.

აღმინისტრაციას შეუმჩნეველი არ დარჩა იროდიონი. ივა არასაიმედო მოსწავლეთ მიიჩნიეს, თვალში ამოიღეს და მეთვალყურეობა დაუწყეს. ეს უკვე საკმარისი იყო, რომ უბრალო საბაბით სემინარიიდან გაერიცხათ. ასეთი „საეჭვო მოსწავლეებისგან“ სისტემატურად სწრენდნენ სემინარიას. სასულიერო სემინარიის ისტორიაში თითქმის იშვიათად ყოფილა ისეთი სასწავლო წელი, როცა რამდენიმე საუკეთესო მოსწავლე არ გაერიცხათ, იმის საბაბით, რომ ისინი დამოუკიდებელ თვითგანვითარებას ეწევიან, საეჭვო წიგნებს კითხულობენ და მოულებელ აზრებს ავტოცელებენო. მთავრობის ასეთი რეპრესიები, სემინარიაში გამეფებული სწავლების უაღრესად დაშამცირებელი და იეზუიტური რეჟიმი საწინააღმდეგო რეაქციას იწვევდა მოსწავლეებში. სემინარიელთა უფრო მეტი რიცხვი ებმებოდა ფარულ წრეებში და რევო-

ლუციური ბრძოლის გზაზე დგებოდა. „იმ დამამცირებელი რეეციმის და იუზუატური შეთოდების წინააღმდეგ პროტესტის ნაშანად, რომელსაც ადგილი ჰქონდა სემინარიაში, — ამ-ბობს ამხანაგი სტალინი, — მე მზად ვიყავი გაცმისდარცავა და მართლაც გავხდი რევოლუციონერი, მარქსიზმის, რო-გორც ნამდვილი რევოლუციონერი, მომღვრების, მომხრე¹⁾“)

თეოტმციკონბელობის ბატონობის ხანაში არც ერთ საბ-ჭავლებელს ჩვენში იმდენი გამოჩენილი რევოლუციონერი არ მოუკია, რამდენც მოგვეცა სასულიერო სემინარიაში.

იუ-უიონ ხოსიტაშვილი ვერ ასცდა რისხეას. 1893 წელს, ცესამე კლასის მოწაფე ადმინისტრაციაში სემინარიიდან გა-ჩიცა.

ქ მ ა ს თ ა ნ

საქუალებელს გარეთ დარჩენილ იროდიონს ბევრი ფიქ-რი აღარ დასჭრებია, მან იცოდა, რომ სემინარიაში თავს ჩელარ აღიდგენდა და რაიმე სხვა გზა უნდა მოენახა. რჩევა-ლარიგებისათვის უფროს ძმას მიმართა. ილია ხოსიტაშვილი უშვილო იყო და თავის უმცროს ძმაზე დიდად ზრუნავდა, მატერიალურად და მორალურად ეხმარებოდა. ლია ჯარ-ში მსახურობდა, იმუამად ალექსანდროპოლში (ახლანდელი ლენინგრადი) ცხოვრობდა. მან იროდონი თავისთან წაიყვანა და ყუბანის დივიზიის მეოცდაცხრამეტე პოლკში „ვოლნო-პრედელიაუშჩად“ მოაწყო იმავე წლის აგვისტოს ბოლო რიცხებში.

ალექსანდროპოლში იროდონი ახალ, რაღიკალურად გან-სხვავებულ ატმოსფეროში მოხვდა. ჯარის პირობებშა სრუ-ლიად დავიწყა სემინარია. მისი თავისუფალი ბუნება, ლალი ცხოვრებისაუკენ ლტოლვა ვერ ეგუებოდა პოლკის რეეციმს,

¹⁾ იხ. ა. სტალინი, საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგონ.

უფროსები აქ უფრო სასტიკნი და უსულგულონი დახვდნენ-პირველ ხანებში იგი იძულებული იყო ყველათერი „მოეთ-მინა“. ეს „მოთმინება“ დოდხანს ას გაგრძელებულა. ირო-დაონში სხვა შინაგანი ცეცხლი ღვიოდა, მისი ბუნებრივი მო-წოდება მარად თავისკენ იზიდავდა და, ყოველგვარი დაბრკო-ლების მიუხედავად, ერთხელ არჩეული გზით მიაქანებდა.

სემინარიის კედლებს შორის ყოფნის დროს გაიმსჭვალა იგი რევოლუციური სულისკვეთებით და თავის მოქალაქეობ-რივ ამოცანად გაბატონებული სოციალური და პოლიტიკური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა დაისახა.

სამხედრო სამსახურში იროდიონი ლუქმა პურის ძიებამ მიიცვანა. ილია ხოსიტაშვილის მეუღლე ნინო თავის მოგო-ნებაში აღნიშნავს, რომ ჩემმა ქმარმა სამხედრო ხაზით სამ-სახური იმიტომ აირჩია, რომ ღარიბები იყვნენ და ჯაში ცხოვრების შედარებით უკეთესი პირობები იყოო. — როდე-საც მე ხოსიტაშვილების ოჯახში რძლად შევეღი, — განა-გრძობს ნინო, — ილიას მამა — ისაკი იმზენად მოხუცებუ-ლი იყო, რომ ძლივს ლაპარაკობდა.

ეს იყო 1890 წელი.

უნდა ვითიქროთ, რომ იროდიონმაც, რომელსაც სხვა უახლოესი პერსპექტივა ას გააჩნდა, უფროსი ძმის რჩევით სააჩსებო საშუალებად ეს გზა აირჩია. მაგრამ ეერ გაითვა-ლისწინა, რომ მისი ხასიათისა და ინტერესის შეთანაბება ნე-ფის ჯაში ოფიციალ სამსახურთან ძნელი იყო.

მალე როდიონმა პროპორშჩიკობა მიიღო. ელისავეტო-პოლში წავიდა და იქ ასლანდუკასკი ბატალიონში მოეწყო ილიას ნაცნობ ოფიცერთან. ბატალიონში იროდიონი ჯაშიც-კაცებს დაუახლოვდა, მათთან მჭიდრო ურთიერთობა დაამ-ყარა; მთელ დროს ჯარისკაცებში ატარებდა, ხშირად ესაუბ-რებოდა მიმდინარე მომქნეტის საჭირობოტო საკითხებზე, უსანაღდა მშრომელი მასების გაჭირვებულ მდგომარეობას; ჯარისკაცის ცხოვრების მაგალითზე იგი უჩვენებდა მათ, თუ

როგორ დამცირებული და შეურაცხყოფილი, ელემენტარულ უფლებას მოკლებული იყო მაშინ უპრალო ადამიანი. ირო-დიონი კარგი მოლაპარაკე იყო. მისი საუბარი იტაცებდა და აინტერესებდა მსმენელებს. მის გარშემო თანდათან ფარ-თოვდებოდა მეგობარ ჯარისკაცთა წრე. ჯარისკაცებში ირო-დიონს ჩეკოლუციური თვითშეგნება შექმნდა, უნერგავდა ჩა უხეში და უსულგულო უფროსების სიძულვილსა და მარტაში წინააღმდეგობის გაწევის სულისკვეთებას. ორდი-ონის საქმიანობა შეუმჩნეველი არც აქ დაჩია და იგი 1894 წლის სექტემბერში სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს.

უადგილოდ დაჩიენილი იროდიონი ძმასთან დაბრუნდა, რომლის პოლკიც ამეამად დილიჯანში (ახლანდელი კირო-ვაკანი) იდგა. ილიას ნაცნობები ბევრი ჰყავდა და მაშინ-ვე მოაწყო სამსახურში, მაგრამ იმის გამო, რომ იროდიონი, საერთოდ, უსამართლობას და ცუდ მოპყრობას ვერ ითმეო-და, მალე აქედანაც დაითხოვეს; ბოლოს ილიამ ძმა ბაქოში ვასტუმრა და იქ ერთ-ერთი ნაცნობი ინჟინრის დახმარებით ნობელის ნავთას სარეწაოს კანტორაში მოაწყო. ეს იყო 1896 წელს. ბაქოში იროდიონმა სამი წელი დაჭყო. ეს ის პერიოდია, როცა ბაქოსა და ამზერქავეკასიის სამრეწველო ქა-ლაქებში, საერთოდ, მუშათა კლასის ჩეკოლუციური შეგნება და საბრძოლო განწყობილება თანდათან იზრდებოდა: მასები ირაზმებოდნენ, აწყობდნენ გაფიცვებს და სხვ. იროდიონი ბაქოში მუშათა წრეებს დაუახლოვდა, გაიცნო მთელი რიგი მოწინავე მოღვაწეები და აქტიურად ჩაება ჩეკოლუციურ საქმიანობაში. ბაქოში გატარებულ რამდენიმე წელს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იროდიონისათვის. ამ წლებშა განსა-კუთრებული როლი შეასრულეს იროდიონის მებრძოლი ჩე-კოლუციური სულისკვეთების გამომუშავებასა და მუშათა კლასის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან მისი შემოქმე-დების ორგანიულად დაკავშირების საქმეში. შეიძლება

ითქვას, რომ მანამდე იროდიონი კარგად არ იცნობდა მუშებსა და მათს ყოფა-ცხოვრებას.

როცა მწარმოებელმა შეიტყო, რომ იროდიონი რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა და მუშებში განმათავისუფლებელ შეხედულებებს ავრცელებდა, როგორც საშიში და პოლიტიკურად მიუღებელი პიროვნება, სამსახურიდან დაითხოვა.

ამ დროს ხალხოსანი დიმიტრი მაჩხანელი რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნდა, ქვემო მაჩხანში (ბოდბისხევის მეზობელი სოფელი) დეპო-სალარო — საერთო-საგლეხო დამხმარე ბანკი მოაწყო და იროდიონი თავისთან სამუშაოდ მიიწვია. დეპოში სამსახურის დროს იროდიონმა ცოლად შეირთო ქვემო მაჩხანელი ქალი — მანანა რვანეს (წყალობას) ასული ყანყარაშვილი.

იროდიონის თანამედროვენი იგონებენ, რომ მისი ბაჩხანში სამუშაოდ წასვლის ერთი მიზეზი უადარმერიის დევნისაგან თავის დაცვა იყოო. ბაქოდან ჩამოსულ იროდიონს თბილიში პოლიცია თვალყურს ადევნებდა და სოფელში დროებით გაერიდაო. ამის შემდეგ, მართლაც, პოლიციას იროდიონ ევლოშვილის დევნა აღარ შეუწყვეტია.

იროდიონის რძლის ნინოს მოგონებაში ვკითხულობთ, რომ 1902 წელს დილოჯანიდან პოლკი, რომელშიც ილიკო მისახურობდა, ბათუმში გადაიყვანეს, შეუერთეს მიხაილოვის ბატალიონს და დაარქვეს არდაგან-მიხაილოვსკის პოლკი. „აქ მსახურობლენ დავით კლდიაშვილი და უტნელოვი. ილიკო ბათ ძალიან დაუახლოებდა, მაგრამ კომანდირი უუკოვსკი ძალა ან ავიწროვებდა ამ სამ პოდპოლკოვნიკს“. ხშირად ჩხრეკუა მათ ბინას. ჩვენი ბინა, — აღნიშნავს ნინო თავის მოგონებაში, — ანაერთხელ გაუჩხრეებიათ იმის მიზეზით, რომ იროდიონს მალავთო.

იროდიონი მართლაც ხშირად აფარებდა თავს ძმის ბინას. სანამ ილიკოს ოდესაში გადაიყვანდნენ (1904 წელი) დრო-

გამოშევებით იროვნობი ბათუმში ცხოვრობდა. 1904 წლიდან კი იგი მუდმივად თბილისში დაბინავდა. 1904 წელს, როცა რევოლუციისათვის მზადებამ ფართო ხასიათი მიიღო და ბოლშევკებმა მუშაობა გააჩაღეს მასების დარაშვისა და მომზადებასთვის, იროვნობიც აქტიურად ჩაება ამ საქმეში. იგი, თუმცა, ნაძალადევის მუშებს იარაღის სმარებას ასწავლიდა. ამასთან, საღგურის მახლობლად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის დავალებით ევლოშვილი ხსნის ლვინის საძალაფს. ამ საზღვაუს პოლიტიკური დანიშნულება პეტონდა. აქ ეწყობოდა არალეგალური კრებები. ამასთან, ეს საზღვაუი გამოყენებული იყო რკინიგზის მუშებთან კავშირის დასამყარებლად.

1904 წლის ოქტომბერში იროვნონ ევლოშვილი, რუსეთიაპონიერი მოთან დაკავშირებით, ჯარში გაიწვიეს და გაამწევეს საპარტეტო ბატალიონში, განჯაში. აქ მან ერთ წელშე მეტი დაჰყო. ჯარში ყოფნის დროს იროვნონს თავისი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოლვაწეობა არ შეუნელებდა. პირიქით, — იგი უფრო აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და უახლოესი მონაწილეობა მიიღო ცხრასხუთ-წლის რევოლუციაში. გარდა იმისა, რომ ჯარში, საღაც იგი მსახურობდა, ფარულ პოლიტიკურ პროპაგანდას ეწეოდა. ზშირად არალეგალურად ჩამოდიოდა თბილისში და მუშათა კრებებზე მგზნებარე სიტყვებით გამოდიოდა. მისი ლექსები კი, რომელიც მიმართული იყო თვითმცყრობელობისა და ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ, უაღრესი სიყვარულეთა და პოპულარობით საზეპლობლენენ მშრომელ მასებში.

ბაბილინა ხოსრტაშვილი იგონებს, რომ ცხრასხუთი წლის რევოლუციის პერიოდში იროვნონს განჯიდან თბილისში საიდუმლოდ იარაღი ჩამოქმნდა მუშებისათვისო. იროვნი ვიღაცას გაუცია. განჯაში პოლიციას მისი დაპატიმჩება განუზრახავს, მაგრამ პოლკის უფროსს, რომელიც იროვნი-

ნის კარგი მეგობარი ყოფილა, წინასწარ გაუფრთხილებია და წინადაღება მიუცია იქაურობას გასცლოდა. იროდიონი თბალისში ჩამოვიდა და ნახევრად არალეგალურად ცხოველობდა.

პოლიციამ აღრევე გაიგო, რომ ვიღაც ოფიცერი დაკავშირებული იყო თბილისის მუშებთან. ამ ოფიცერს იგი გაფაციცებით დაეძებდა, მაგრამ ფრთხილმა იროდიონმა წინასწარ იცოდა რა მას პოლიცია უყურადღებოდ არ დასტოვებდა, თბილისში საჭედრო ტანისამოსით სიარულს ერიდებოდა.

უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ იროდიონის პოლიციური მოღვაწეობა 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში, საჭიროა აქ მივმართოდ მეთის „ოხრანკის“ რამდენიმე საიდუმლო დოკუმენტს, რომლებიც გამოკვეყნებულია შ. ჩხეტიას წიგნში: „ისტორიული საბუთები იროდიონ ევდოშვილის შესახებ“. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ პოლიციას იროდიონ ევდოშვილისადმი სპეციალური ჯაშუშები ჰყავდა მიჩენილი და მთელი მისი მოქმედების შესახებ ყველაფერი იცოდა. ჯაშუშები თვალყურს აღევნებუნენ ას. ევდოშვილს, როგორც თბილისში, ისე ელისავეტოპოლიში (განჯა) და დაწვრილებით იცოდნენ როდის საღმიოზა, რას აკეთებდა. „ოხრანკამ“, შეაგროვა რა დაწვრილებითი და უტყუარი ცნობები ირ. ევდოშვილის პროპაგანდისტული საქმიანობის შესახებ ჯარისკაცთა შორის, 1905 წლის ოცდაერთ ივლისს აცნობა პოლიციის გამგეს კავკასიაში:

„პატიუი მაქეს უაცნობო თქვენს მაღალეთილშობილებას, რომ აგენტურის მითითებით, ასლანდუზის ბათალიონში — ქ. ელისავეტოპოლიში სამსახურში მყოფი პროპორშიკი იროდიონ ხოსტოვი (ხოსტაშვილი) — ქართველი პოეტი, რომელიც წერს ევდოშვილის ფსევდონიმით, აწარმოებს დაწაშაულებრივ პროპაგანდას დასახელებული ბათალიონის ჯარისკაცთა შორის, განსაკუთრებით მკვდრთა შორის, რა მისი

სიტყვით, ბათალიონის თითქმის ყველა ჯარისკაცი ამ პროცედურის განვის გავლენას განიცდის. დამოუკიდებლად ამია, დასახელებული ხოსიტოვი აწვდის სოციალ-დემოკრატებს იარაღს: ბერდანის თოფებს და ბრაუნინგისა და ნაგანის რევოლუციებს. იარაღს იწერს ქარხნებიდან და იარაღის შალაზიების მეპატრონებისგან. უფროსების ყურადღება რომ არ მიიქციოს, ხშირი თხოვნით იარაღის შეძენის ნებართვის შესახებ, ხოსიტოვს განზრახვა აქვს ბათალიონის ყალბი ბეჭედი და შზადოს და იარაღი ყალბი მოწმობით შეიძინოს“.

კავკასიის პოლიციის გამგემ მაშინვე მიიღო ზომები, ყველაფერი დაწვრილებით აცნობა ელისავეტოპოლის უანდარმთა სამშართველოს და წინადადება მისცა დაუყოვნებლივ შესდგომოდა საიდუმლო გამოძიებას და შედეგები ეცნობებია მისთვის.

როგორც უკვე ვთქვით, მეგობრების ღახმისჩებით რიგორნმა ყველაფერი შეიტყო და მაშინვე დასტოვა ელისავეტოპოლი. ჯერ დროებით და შემდეგ სამუდამოდ. ოვეციალური საბუთებიდან ჩანს, რომ იროდონს ავადყოფობა მოუმიზეზებია, რათა სამსახურში არ გამოცხადებულიყო, სარამდვალეში კი იგი ავად არ ყოფილა, მან ეს პოლიციის თვალის ასახვევად მოიგონა და თბილისში არალეგალურად ჩამოვადა; უნდა ვიფიქროთ, რომ უკან იგი დროებით პარტიულა ორგანიზაციის დავალებით დაბრუნდა. იროდონი ელისავეტოპოლში, პოლიციის საბუთების მახედვით, სოციალ-დემოკრატული ორგანიზაციის ხელმძღვანელად ითვლებოდა და აღბათ საკირო იყო საქმის მოწესრიგება, რათა მისი წამოსკლის შემდეგ მუშაობა არ ჩაშლილიყო.

მაგრამ უანდარმთა აგენტებს ირ. ევლოშვილის კვალი არ დაჰქარგვიათ, ყველაფერი სცოდნიათ მისი თბილისში ყოფილის შისახებ. როცა ილისავეტოპოლის ქანდარმთა როტმისტრი შესდგომის კავკასიის პოლიციის უფროსის დავალებაზე ირ. ევლოშვილის საქმის ძიებას, ირ. ევლოშვილი იჯგალზე-

ას აღმოჩენილა და თავის საიდუმლო მოხსენებაში პოლა-
კის უფროსისათვის თბილისში უცნობებია: „...ხოსტუკი,
ქართულ ლიტერატურაში ევდოშვილის ფსევდონიმით ცო-
ბილი... ივლისის თექვსმეტს გაემგზავრა ელისავეტოპოლისან
თბილის თავისი უფროსისაგან ნებალაურთველად, მაგრა,
როცა ის, ავადმყოფობის შესახებ მის მიერ წარდგვენილი პა-
ტაკის მიხედვით, ითვლება ავადმყოფად თავის ბინაზე
შ. ელისავეტოპოლში.

თბილისში ხოსტაშვილი დადის სამოქალაქო ტრანსაც-
მელში გადაცმული და გვიან სალამხობით დაიარება პირადად
მის კუთვნილ ლვინის სარღაფში, საღლაც სადგურის ახლოს
— მგონი ავჭალის ქუჩაზე”.

ეს ცნობები ყურადღებას იქცევენ იმით. რომ ადამ-
ტურებენ პოლიციის უდიდესად დაინტერესებას ის. ევდო-
შვილის პიროვნებით, თანაც ნათელს პფენენ პოეტის რევო-
ლუციურ მოღვაწეობას. თბილისიდან სამი-ოთხი დღის შემ-
დეგ უკან — ელისავეტოპოლში დაბრუნებული ის. ევდო-
შვილი იწყებს პარტიული დავალების შესრულებას. იმის
გამო. ომმ ელისავეტოპოლზე პოლიციაშ ეჭვი მირტანა და
თითქმის დაწვრილებით შეიტყო, საღაც იმართებოდა საი-
დუმლო თათბირები, საჭირო გახდა სხვა, უფრო საიმედო
აჯგილის მონახვა. ასეთ აღგილად მიიჩნიეს საჯგურ აქსტა-
ცის ახალი მიღამოები. თუ წინათ „თათბირები ხდებოდა
ელისავეტოპოლში“, ახლა თათბირებიც და საიდუმლო კრე-
ბებიც გადატანილ იქნა „აქსტაფიდან ოთხი ცერსის მოშორე-
ბით, ხოლორის ბანაკის შენობაში, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ
ბალებში“!)

1905 წლის ბოლოდან იჩოდიონ ევდოშვილი თბილისში
ცხოვრობს.

¹⁾ იხ. კანდარმთა რეტრისტრის მოხსენება.

მ ე ტ ე ხ ი ს ც ი ხ ე შ ი

იროდიონ ევდოშვილი უცარნალ-გაზეთების რედაქტორებსა
და უკავშირდა. იგი უმთავრესად რევოლუციურ სოციალ-დე-
მოკრატიულ პრესაში თანამშრომლობდა. განსაკუთრებით
აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იროდიონ ევდოშვილის
ლექსები ხშირად იძექდებოდა ლეგალურ ბოლშევიკურ გაზე-
თებში („ახალი ლროება“, „მნათობი“, „ჩვენი ცხოვრება“),
რომლებიც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გამოდი-
ოდნენ. ამით უნდა აიხსნას, რომ ამ პერიოდის იროდიონ
ევდოშვილის პოეზია გამოიჩინეოდა თავისი საბრძოლო რევო-
ლუციური სულისყვეთებით, ნათელი მიზანდასახულობით,
მტერზე გამარჯვების გარდუვალობის ურყევი რწმენით.

იროდიონის ლექსებში თამაში, გაბედული, გამაცხოვე-
ბელი ხელი ისმოდა:

„დადგა დრო, დაპკრა საათმა,
გავშალოთ დროშა თამაში.
მტარებული ცეცხლით მოიწევს,
ჩვენც ცეცხლით მივცეთ სალამი“...¹⁾

პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ იროდიონ
ევდოშვილის მსოფლმხედველობაში გარდატეხა ხდება. ივი
მარჯვნივ იხრება. ქვევით უფრო დაწვრილებით განვიხი-
ლავთ ამის მთავარ მიზეზებს, ახლა კი ას შეიძლება ამ შე-
ვეხოთ მისი ცხოვრების ზოგიერთ მხარეს, რამაც პატარა
როლი აქ ითამაშა პოეტის აზროვნებასა და შემოქმედებაში.

როდესაც რევოლუცია დამარცხდა და სასტკი რეაქცია
გამეფდა, იროდიონის მრავალი ძელი რევოლუციონერი მე-
გობარი დაპატიმრეს და გადაასახლეს, ფეხი მოიკიდეს ოპორ-
ტუნისტებმა, რენეგატებმა, მუშათა მოძრაობისა და კლასთა
ბრძოლის შეურიგებელმა მტრებმა; ირ. ევდოშვილი წვრილ-

¹⁾ ზოგვაეს 1905 წელს ზეპირად გავტულებულ დაუბეჭდა ლექსიდან.
(იხ. ბაბილინას მოგონება, დაცული ლატერატურის სახ. შეზეუბში).

ბურუუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენციის წრეში მოჭვდა და მათ პრესაში დაიწყო თანამშრომლობა. მან თანდათან უარი თქვა კლასთა ბრძოლის იდეაზე და, როგორც ქვევით დაცინახავთ, „ერთიანი ეროვნული ნიადაგის“ თვალსაზრისშე დადგა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევდოშვილი მაშანებელი არ გამოსთხოვებია აღრინდელ რევოლუციურ იდეებს. პოეტმა თვითმპყრობელობის სიძულვილთან ერთად შეინარჩუნა საბრძოლო სულისკვეთება და გაბატონებული რეუიმისათვის კვლავ მიუღებელ და საშიშ აღამიანად დარჩა. პოლიციას არ შეუწყვეტია დევნა ძველი ოფიციალისა, რომელსაც მუშებისათვის განჯიდან იარაღი ჩამოჰკონდა თბილისში და რკინიგზის მუშებს მის ხმარებასა და სროლას ასწავლიდა.

1909 წლის 20 ოქტომბერს, საღამოს ექვს ნახევარ საათზე, თბილისში, კირკის ქუჩაზე (ახლა მარჯანიშვილის ქუჩა), როგორც ეს ირ. ევდოშვილის საგამომშეიბლო საქმიდან იჩინება, პოლიციის აგენტებმა შოკელეს მიხა კოხჩეიძე და ლადო მესხიძე, რომელიც ანარქისტთა პარტიის წევრები ყოფილან. ერთ მათგანს, სახელდობრ, მიხა კოხჩეიძეს ჯაბეში ჰქონია იროდიონ ევდოშვილის მისამართი. ეს გარემოება საქმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ პოლიციას მოენახა ეს „საშიში პიროვნება“ და პასუხისმგებაში მოეცა. როგორც პოლიტიკური დამნაშავე.

1909 წლის 21 ოქტომბრის ნაშუალამევს იროდიონ ევდოშვილის ბინას პოლიციამ ალყა შემოარტყა, ყველაფერი გადააღრუნა, აქექ-დაქექა, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა. წარეს წიგნები და ხელნაწერები. პოლიციის ყურადღება მიიქცია გამოჩენილი რუსი ანარქისტის პ. კრაპოტკინის „პურმა და თავისუფლებამ“. იროდიონს უპოვეს „პური და თავისუფლება“ რუსულ ენაზე და მისი რამდენიმე თავის

ქართული თარგმანი თვით ევდოშვილის მიერ. ეს გარემოება საკმარისი შეიქნა, რომ პოეტისათვის ბრალი დაედოთ მთავრობას საწინააღმდეგო შეთქმულებაში და, როგორც ანარქისტისათვის, ექსპროპრიატორია დაებრალებინათ.

შეშფოთებულმა პოლიციამ იროდიონ ევდოშვილი მეორე დღესვე დააპატიმრა და მეტების ციხეში მოათავსა. კვლევა-ძიება დადგხანს სწარმოებდა. მთელი წელიწადი მოუხდა პოეტს მეტების ციხეში ჯდომა და ცდა საბოლოო გადაწყვეტილებისათვის. კვლევა-ძიების დროს პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მთელი ყურადღება და ცდა ქიითენ იყო მიმართული, რათა როგორმე დაემტკიცებითათ ევდოშვილის ანარქისტული პარტიის წევრობა და სახელმწიფოს წინააღმდეგ აშეარა დანაშაულებრივი მოქმედება. ძიებისას ძველი საქმეებიც გაიხსენეს. რაღაც პოლიციამ ვერავითარი ახალი ხელშესახები საბუთი ვერ ჩაიგდო ხელში და ვერც ხელოვნური დოკუმენტების შედგენა მოახერხა, სასამართლო იძულებული გახდა რეპრესიებისა და „საშიში პროცენტების“ იზოლაციის ბნელი გზა აერჩია. ჯერ ძიება გაჭირვულეს მთელი თვეების განმავლობაში, ხოლო შემდევროცა განაჩენი გამოიტანეს, ამ განაჩენის გამოცხადება დააგვიანეს, რითაც პოეტს ხელოვნურად რამდენიმე თვით გაუგრძელება პატიმრობის დრო.

სასამართლომ იროდიონ ევდოშვილს მხოლოდ სამი თვის პატიმრობა მიუსაჯა, სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე კი იგი ქქვს თვეზე მეტი იჯდა მეტების ციხეში და ეს დრო მას სასჯელში არ ჩაუთვალის. ეს კიდევ არაფერი. გასამართლების შემდეგ კიდევ რამდენიმე თვე გააჭიანურეს შედეგის პატიმრობისათვის გამოცხადება და ეს დროც არ ჩაუთვალის პატიმრობაში. სასამართლო ალბათ არც ფიქრობდა განაჩენი გაეცნო „დამნაშავრსათვის“, რომ ევდოშვილს დაუინებით არ მოეთხოვა.

საქმე ამით მარნც არ დამთავრდა. ოროდონ ეკლოშვილის ბედი საბოლოოდ სასამართლომ უერ გადასწყვეტა. სასამართლოსათვის ცნობილი იყო, რომ ძება აღმოჩენისტრატოლ-პოლიციური ხაზითაც სწარმოებდა და ეკლოშვილის საქმეში ჩარიცული იყო შინაგან საქმეთა სამინისტრო. ძიებისა და შემდეგ განაჩენის გამოცხადების გაჭირანულება სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ საბოლოო პასუხურის პეტერბურგიდან მოელოდნენ. ეს პასუხიც მიიღეს. 1910 წლის 4 მარტს თბილისის გუბერნატორი სწერდა გუბერნიის საეპისკოპოსი სამმართველოს: „საგანგებო თათბირის მიერ. თბილის მეტეხის ციხეში დაპატიმრებული სათათარიგო პრაპორშჩიკის, იროდოონ ისაკის-ძე ხოსიტოვის შესახებ საქმის ვითარების განხილვის შემდეგ... შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: გადასახლებულ იქნას იროდოონ ხოსიტოვი ვოლოგდის გუბერნიის ერთ-ერთ უშორეს მაზრაში, პოლიციის აშკარა ზედამხედველობის ქვეშ სამი წლით“.¹⁾

* * *

იროდოონ ეკლოშვილი უკვე გასული საუკუნის ოთხმოც-ჯათიანი წლების დასასრულიდანვე ერთი ყველაზე პოპულარული პოეტი იყო. მისი პოპულარობა განსაკუთრებით გაიზარდა პირველი რევოლუციის აღმავლობის ხანაში. მაგრამ იმ დროსაც, როცა მეტეხის ციხეში მოხვდა, მისი სიყვარული ხალხში დიდი იყო. ყველა მღელვარებით კითხულობდა მის ძველ ლექსებს; ეს ლექსები ახლა განსაკუთრებით ესაბამუნებოდათ პატიმართ. რომელთა სევდიან გულუ გამხევება ესაკიროებოდა. პოეტის ლექსებში ისინი ხედავდნენ მეგობარს. მასში პპოვებდნენ სულიერ ძალას ციხის მრამე და აუტანელ პირობებში.

¹⁾ ი. ხ. შ. ჩხერია: „ისტორიული საბუთები ირ. ეკლოშვილის ციხესახებ“.

იროდიონ ევლოშვილის მიუვანის ამბავი ციხეს სწრაფად მოედო. კამერაბმა შეიტყუეს საყვარელი პოეტის დაძალიმრება, ყველა ცდილობდა მაშინვე რითომე გამოეხატა თავისი თანაგრძნობა. მეტების ციხეში ყოთნის პერიოდში პატიმრები იროდიონს ყოველნაზად ეხმარებოდნენ, უგზავნიდნენ საჩუქრებს, მის ლექსებს ზეპირად ამბობდნენ, მღეროდნენ და ამით პოეტს ამხნევებდნენ.

გარედანაც არ ივიწყებდნენ. ციხეში, ამხანაგებს გარდა, იროდიონს ხშირად ნახულობდნენ ცოლი, შვილები, ნათესავები. განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე მოხუცი დედის ჩამოსვლას სოფლიდან. როგორც ვიცით, იროდიონს დედა ძალიან უყვარდა, და ახლა, როცა პატიმარება ნახა იგი თავისთან მისული, მისი სული ააფორიაქა უსაზღვრო სიხარულმა, თბილმა და ფაქიზმა მშობლიურმა გრძნობამ. ამ შეხვედრას იროდიონმა უძლენა ლექსი „დედას“, რომელიც ალბეჭდილია მღელვარე განცდებით:

„ჩემს ბნელს ციხეში, მოულოდნელად,
მეწვია დედა მოხუცებული!
დღიდან ყრმობისა აღარ მიგრძენია
ასე მშობლისა მე სიყვარული
დღიდან ყრმობისა... როს ცივ-გომბორის
მთისა კალთებზე დავნავარდობდი,
სან მოქანცული დედისა მუხლზე
თავს მივაყრდნობდი, მასთან ვლაობდი!
ეჰ, გაძქრა ის დრო!.. საამო სიზმარს
კაეკასიონის მწერევალზე სძინავს,
აწ სხვა ღრუბელი თავს მახვევია,
სხვა ქარიშხალი ღრიალებს, გმინაეს.
მას ასდევს ჩემი ბედის ხომალიც,
სან ქვესკნელშია, ხან აღმა აღსტ,
მან უკუაგდო თვის ნაესადვური,
ტალღებზე მიქვრის, ზეირთზე გადადის!
და ამ ტებილ-მწარე წუთებ-წმებში
დღეს კვლავ მოისმა დედის ნაზი ხმა.
შევერთო... ვშიოშხდი რკინის კუბოში

არ დამიტიროს მისმა თვალებმა.
მაგრამ მშობლის გულს, თვით გამწარებულს,
თურმე წამალი არ ესწავლება,
და ის ერთია, რომ ჩეენ ნაღველ-შელულ
თვისად მიიღებს და მიუხვდება.
„ნუგუში მტირალს, შენ ეს არ გინდა, —
მოძესმა უცებ, და ამათრთოლა,
— ვინც საფლავშიაც ცოცხლად ჩავიდა,
მას იქაც მართებს ბრძოლა და ბრძოლა“.
აი, ანდერძი, რომელიც ხშირად
ამიერიდან უუძლერებ კოხეს,
გას ჩემი ბედის გულზე ამოვჭრი,
მას დავაწერავ მე ჩემს სიცოცხლეა!“

კეთილმა დედამ, რომელიც ბავშვობიდანვე საუკეთესო
ადამიანურ თვისებებს ზრდიდა შვილში, ახლაც გაამზნევა
პოეტი და უთხრა, რომ — ციხეშიც, — მაგ ცოცხალთა სა-
მარეშიც გმართებს ბრძოლა და ბრძოლა, ნუგეში შენ არ
გესაჭიროება, ნუგეში უნდა მტირალს, სულით დაცემულს,
თავის აწყოსა და მომავალზე გულგატეხილსო. დედის ეს გა-
მამხნევებელი სიტყვები იროდიონმა გულის ფიცარზე დაიწე-
რა და შემდეგში მუდამ გზის მანათობელ ლამპარად მიუძ-
ლოდა წინ „ბნელეთის სამეფოში!“.

აღსანიშნავია მეორე გარემოება. დას, პოეტ ბაბილინას
იროდიონისათვის ციხეში საკუთარი ლექსი და ია შეუგზა-
ნია. დის საპასუხოდ იროდიონს დაუწერია ლექსი „ია“.
ამ ლექსში იროდიონი ერთგვარ პარალელს ატარებს მო-
წყვეტილ იასა და პატიმარ პოეტს შორის. ორივე ხომ მშობ-
ლიურ ადგილს მოსწყვიტეს და მოაშორეს!

პოეტი ეკითხება იას, თუ რას ერჩოდნენ, რათ მოსწყვი-
ტეს და მოაშორეს იგი თავის გულმოქარგულ სამშობლოს.
ია მიუგებს — მე ნუ მკითხავ — პკოხე შენს ბორკილებს,
შენს ხელებზე გაბმულ ჯაჭვებს და ის ყველაფერს გეტყვი-
სო. ასეთი ნაზი პასუხი გასცა პოეტმა თავის დას! აი ეს
ლექსი:

„გაზაფხულის მოცელო,
 პირლამაზო ჩემო ია,
 ნამის სატაფოვ, სიყვარულო,
 თვალ-ეუეუნა პაწაწინა;
 რათ მოგწყვეტეს, მოგაშორებ
 შენს სამშობლოს გულ-მოქარეულს,
 ძადა ჩითვის მოახვიეს
 კოკორ-გაშლილს შენს სიყვარულს?
 „ეჭ, ნუ მეითხავ“... მიპასუხა
 მე სტუმარმა უცაბელმა,
 ის ჩემს ციხის ფანჯარაზე
 მოწიწებით დადგა მტრელმა:
 „ეჭ, ნუ მეითხავ, ჰეითხე ბორკილს,
 შენს ხელებზე გამმულ ჯავვებს,
 ჰეითხე კლატეს — შენს კისერზე
 და ცხოვრების ქარიშხალსა;
 დაახ, ჰეითხე“... მაგრამ იას
 შეეცვალა უცემ ფერი
 და ფანჯარის ჩეინის ჩარჩოს
 ზედ დაკვედა მშეენიერი“.

თავისუფლების მოყვარე, პატრიოტი პოეტისათვის მძიმე იყო ციხის ბნელ კედლებს შორის ყოფნა. მისი ფიქრები სევდანარევი შეიქნა, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ გულ-გატეხილი და სასომიხდილი კი არა. ნათელი პოეტური სულის ადამიანის განცდები წმინდა პოეტური ვნებით იყო გამთბარი, მას აწუხებდა საყვარელი ოჯახი, შინ დარჩენილი ცოლი და პატარა ბავშვები, რომელთაც წინ, გარდა შიმშილისა, უკეთესი არაფერი მოელოდათ. მაგრამ ასეთი მძიმე პირადი განცდების დროსაც პოეტის ფიქრები უმთავრესად სამშობლოს დასტრიიალებდა თავს და მის თავისუფლებაზე ოცნებობდა. მეტეხის ციხეში დაწერილ ლექსში „გამომშვიდობება გადასახლებულისა“ წერდა:

„არც აქა მქონდა სახლი და კარი,
 საცა მივდივარ, არც იქ მექნება.
 მაგრამ სამშობლო, მე, გაძევებულს,
 მომაგონდება, დამენატრება,

არც აქ მქონია ტებილი სიცოცხლე,
 საუკა მივდივარ, არც იქ მექნება, —
 იქ დანაღელებულს და დაფიქრებულს
 მაინც სამშობლო მომაგონდება!
 მომაგონდება იმისი კვნესა,
 ცრემლი, ვაება, მტრისა მახვილი
 და მასთან ერთად, ვით სთევა პოეტია,
 ძილშიც კი მწარე ამოძახილი!“

შეტეხის ციხეში დაწერილ მეორე ლექსში „მერცხლის გამომშვიდობება“ ერთგვარი ანალოგია გაჰყავს გადასახლებულ პოეტია და დაზამთრებისას უცხოეთში წასულ მერცხალს შორის და იმედს გამოსთქვამს, რომ დადგება გაზაფხული და ისიც მერცხალივით სამშობლოს დაუბრუნდება:

„გაზაფხულზე მოვჭიკიდი
 ჩემს საყვარელ სამშობლოში,
 ეილხინე და ვითარებე
 მის მშვენიერ ტყე-მინდორიში
 ახლა დგება შემოდგომა,
 გაცურინდები უცხოეთში,
 მაგრამ მაინც საქართველოს
 მე არ გავცვლი სამოთხეში.
 მაში, მშვიდობით, ჩემო ტურფა,
 საქართველოს არემარე,
 კიდევ გნახავ გაზაფხულზე
 შინილე და გამახარე!“.

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს მ ო წ ვ ვ ი ტ ი ლ ი

როცა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება მოვიდა, პატიმარი პოეტის ბედი საბოლოოდ გამოირკვა. ადგილობრივი პოლიცია მაშინვე შეუდგა „საშიში პიროვნების“ გადასახლების მომზადებას.

ირ. ევდოშვილმა წინასწარ იგრძნო, რომ რაღაც დიდ „სურპრიზს“ უმზადებდნენ. როცა უთხრეს — უმაღლესი

შთავრობის მიერ ციმბირში გადასახლება გაქვს მისჯილით,— ეს მისუნის მოულოდნელი არ აღმოჩნდა. ამ საშინელ ცონბას იგი ფსიქოლოგიურად მომზადებული შეხვდა.

მეტების ციხეში მყოფი პოეტი გონებრძოლით ჩრდილოეთი თოვლით დაფარულ უსაზღვრო ჰელებს გაჟყურებდა და და მძიმედ განცილიდა. მან თავი წარმოიდგინა ყინვით გათოშილ უცხო მხარეში და ფიქრებით იქიდან საქართველოს დასტრიალებდა თავს, რომლის ზურმუხტოვანი კალთებიც სულიერ ტკივილებს უმსუბუქებდნენ:

„თოვლი, კვლავ თოვლი, ყანული ირგვლივ...
თოვლის მინდორი, თოვლის უდაბნო,
თეთრი სუდარა, თეთრი ცრემლები,
თეთრი სამარე, ტლე და უდაფნო!
გასწი გაფრინდი ჩემო ნალველო,
მომიახლოვე სამშობლოს მოები,
რომ ამ ვულსაყლავ ძუნწ არემარეს
გადააფაროს თვისი კალთები!“

როგორც ვიცით, ირ. ევდოშვილის სამი. თვით პატიმრობა სასამართლო პალატაშ 1910 წლის 22 თებერვალს მიუსაჯა, მაგრამ ეს დადგენილება მეტების ციხეს, საღაც იროდიონი იჯდა, არ გაუგზავნეს. განაჩენი სასამართლომ გამოიტანა ევდოშვილის დაუსწრებლად. იგი ძალაში შედოოდა იმ დღიდან, როცა ციხეს ეცნობებოდა. ციხესათვის განაჩენის გაგზავნას კი სასამართლო პალატა ხელოვნურად აჭიანურებდა, რათა სასჯელი გაედიდებინა. აქ, აუცილებლად, მეორე გარემოებაც იყო მხედველობაში მიღებული. პეტერბურგიდან იროდიონ ევდოშვილის გადასახლების გადაწყვეტილებას მოელოდნენ და ეშინოდათ ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი სასჯელმოხდილი და განთავსეუფლებული არა ყოფილიც. იროდიონ ევდოშვილი იძულებული გახდა კატეგორიულად მოეთხოვა გამოეცხადებინათ მისუნის განაჩენი და მისი ამა ციხის აღმინისტრაციისათვის გაეგზავნათ. ამ თაობაზე 1910

წლის 4 აპრილს პოეტმა თხოვნით მიმართა თბილისის სასა-
მართლო პალატას, მაგრამ ამ ჯერადაც პალატამ პასუხ
მხოლოდ ათი დღის შემდეგ გასცა, ხოლო თხოვნაში აღნიშ-
ნული მოთხოვნილება ოცდაორი დღის შემდეგ, ე. ი. 26 აპ-
რილს დააკმაყოფილა. ამ უკანასკნელ ლონისძიებას ალბათ
კვლავ გადასდებდნენ, მაგრამ ამ დროისათვის უკვე ცოდ-
ნენ შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილება და საქმის შე-
მდგომ გაჭირებას აზრი აღარა ჰქონდა.

როცა იროდიონ ევლოშვილმა ოფიციალურად შეიტყო,
რომ სასამართლოს დადგენილებით მას სამი თვის პატიმრობა
ჰქონდა მისჯილი, მოიხოვა წინასწარი პატიმრობა სას-
ჯელში ჩაეთვალათ, მაგრამ უარი უთხრეს; სასჯელის მოხდა
დაიწყო 26 აპრილიდან, როცა მეტების ციხეში თვითურუ-
რად მიიღო სასამართლოს გადაწყვეტილება. ამის შემდეგ
ევლოშვილმა მეტების ციხეში სრული სამი თვე გაატარა და
1910 წლის 27 ივლისს იგი ეტაპით ვოლოგდის გუბერნიისა-
კენ გაუყენეს.

იროდიონ ევლოშვილმა დიდი ტანჯვა-წვალუბით მიაღწია
გადასახლების ადგილს, რვა დღის გასავლელი ორმოც დღე-
ში გაარა. თვეზე მეტი მან სხვადასხვა ციხეში გაატარა. პირ-
ველ წერილში, რომელიც მან გადასახლების ადგილიდან —
სოლოვაჩევოდსკილან ცოლს — მანანას გამოუგზიანა, წერ-
და: „ენკენისთვის 4-ში მივაღწიე დანიშნულ ადგილს. მაშა-
სადამე, გზას მოუნდი ორმოცი დღე. მაგრამ, ეს იმატომ კი
არა, რომ ძლიერ შორს იყოს ვოლოგდის გუბერნია, ან ის
მაზრა ამ გუბერნიისა, საცა ახლა მე ვიმყოფები. არა. აქნო-
ბამტე სულ რვა დღის სავალია და მეც მხოლოდ ამ რვა
დღეში ვმგზაურობდი, დანარჩენი ციხეში ვისხედით უტაპის
გაგზავნის მოლოდინში და სწორედ ესაა კიდეც ჯოჯოხეთი.
შემშილმა და ჭუჭყმა ისე შემაწუხა, რომ გაჩენის დღეს ვი-
წყევლიდი“.

ვოლოგდის გუბერნია მეფის რუსეთში — ტანჯუისა და ჭავების, საკურობილებისა და კატორლების რუსეთში ცნობილი მხარე იყო. იქ უმთავრესად გადასახლებულები ცხოვრობდნენ. მთელი გუბერნია მაშინ საკუთრივ იყო პოლიტიკური დამნაშავეებით; ქალაქი სოლოვიჩეგოდსკი კი, რომელიც ამ გუბერნიის ყველაზე „თვალსაჩინო“ ადგილად ითვლებოდა, — ჭარმოადგენდა ყრუ ქალაქს. იროდონ ევდოშვილი ერთ-ერთ წერილში მანანას სწერდა: „წარმოიდგინე რა ქალაქი იქნება სოლოვიჩეგოდსკი, სადაც წერილებს სრულიად არ ესაჭიროება დაწვრილებითი მისამართი, ქუჩისა და ნომრის ჩვენება, თუ წერილზე ეწერება მეპატრონის გვარი, იგი გზას არ დაჰყარგავსო“.

ამასთან, სოლოვიჩეგოდსკი ლარიბი ქალაქი იყო და მოსახლეობა გაჭირებულად ცხოვრობდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ პოლიციისა და მთავრობის სხვა მოხელეებს, გადასახლებულებს, რომლებიც თითქმის სჭარბობდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ქალაქი უმთავრესად გლეხური ოჯახებისაგან შესდგებოდა.

„მარდ შოულობ რამესო, მეკითხები, — სწერდა იროდონი ცოლს, — რა უნდა იშოვნოს აქ კაცმა, როცა აქაური ხალხი წყდება შიმშილთ. მწერლობას აქ აღვილი არა აქვს და ხელობა ვისთვის რა საჭიროა. ყველა გლეხი აქ თავს-თვისაა ხელოსანი. მოჯამაგირე თვეში ლირს, ვაჟკაცი თუ ქალი, ორი მანეთი. ხანგრძლივ ზამთარში პურის ჭამაზედაც ემსახურებიან. ვინ აიყვანს!“

აღვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში იქნებოდა იროდონ ევდოშვილი ასეთ აღვილას, სადაც არავითარ პროფესიას გასავალი არა პქონდა და თვით ფიზიკური შრომაც არაფრად ფასობდა.

იროდონ ევდოშვილი ლარიბად ცხოვრობდა. მას ცოლი

და ოთხი შვილი ჰყავდა.¹⁾ ჯამაგირს მცირეს იღებდა — თვეში 60 მანეთს. გარდა უმნიშვნელო პონტორარისა სხვა შემოსავალი არა ჰქონდა. სოფელში მოხუცი დედა თვითონ ზრუნვას საჭიროებდა, უფროსი ძმა ილია კი ადრინდებულად ველარ ეხმარებოდა. როცა იროდიონი ჩრდილოეთში გადასახლეს, იქაური პირობებისათვის თითქმის სრულიად მოუმზადებელი წავიდა. სოლოვიჩეგოლსკიდან გამოგზავნილ პირველ წერილშივე სწერდა ცოლს, რომ აქ დიდი სიცივეებია, თბილების გარეშე გაძლება შეუძლებელია და როგორმე იშოვე რამე და გამომიგზავნეო. ოჯახს გაუჭირდა იროდიონისათვის მალე მიეწოდებინა თბილი ტანისამოსი. გაჭირვებულ იროდიონს ისევ ადგილობრივი, გადასახლებული ამხანაგები და ეხმარნენ, დროებით უშოვნეს თბილი ქუდი და ტანზე ჩასაცმელი.

სოლოვიჩეგოლსკში გადასახლებული იყვნენ უბთავრესად სოციალ-დემოკრატი რევოლუციონერები. როგორც ვიცით, თვით იროდიონც გადასახლებული იყო სწორედ იმიტომ, რომ მას 1905 წლის ამბები გაუსხევნეს, როცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას თანაუგრძნობდა, აქტიურ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა და, როგორც ჯაშუშების დახმარებით ჟანდარმერიის მიერ შედგენილ საბუთებშია აღნიშნული, მუშებს იარაღით ამარაგებდა; მაგრამ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას იროდიონი აღრე ჩამოსცილდა და სოლოვიჩეგოლსკში გადასახლებულ რევოლუციონერებთან, როგორც თვითონ აღნიშნავს ერთ კერძო წერილში, მხოლოდ ოფიციალური კავშირი ჰქონდა.

ცნობილია, რომ ამ ჰქონილში ვოლოგდის გუბერნიაში, სწორედ სოლოვიჩეგოლსკში გადასახლებაში იმყოფებოდა პროლეტარიატის ღიღი ბელადი ი. გ. სტალინი. ი. სტალინი

¹⁾ იროდიონის დაბატიშრების დროს მისი შვილები იყვნენ — ივანე, 9 წლისა, თამარი — 7 წლისა, ბეტა — 3 წლისა, თინა — 2 წლისა.

იქ გადასახლებულთა არა ერთი თათბირი ჩატარა. მაგრავ არსავ კვალი არ ჩანს, რომ ასეთ თათბირებში იროვთონს პონაშალეობა მიეღოს. პირიქით, მეგობრებთან მიმოწერილ ურცით, რომ ამ დროს მას სრულიად საუნაალმდევა პოზიცია ეჭირა, არ ემხრობოდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას.

გადასახლებაში იროდიონს მხოლოდ იმათხარ ჰქონდა კავშირი და ურთიერთობა, ვისთანაც იგი ერთად ცხოვრიბდა რაცელიმე კერძო პირის ბინაზე. მათთან ბშირავ უხდებოდა შებმა, კამათი, სხვებთან კავშირს კი — ერიტებოდა. ამაზე მათლად მოწმობენ ის ძუნწი ცნობები, რომლებსაც ვპოულობთ მის მიმოწერაში მეგობრებთან. ამ ცნობებიდან ვიცით, რომ თუ კი რომელიმე ქართველს შეხვდებოდა გადასახლებაში იროდიონი მაშინვე შეეცდებოდა მასზე თავისი იდეური ზეგავლენა მოეხდინა და იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის გავლენისაგან ჩამოეცილებინა.

გადასახლებაში იროდიონ ევდოშვილს ძალიან უკირდა. თვეში თერთმეტ მანეთს იღებდა. აქედან ბინის ქირაც უნდა გადაეხადა და თავიც ერჩინა. „დამერწმუნე, სასმელში არა ვხარჯავ ფულს, მაგრამ მაინც არ მყოფნის თვეში თერთმეტი მანეთი. — სწერდა ცოლს. — სახლის ქირა, კამასმა, ჩაი, შაქარი, წერილების ხარჯი და სხვა. თამბაქო. ურომლისოდაც არ შემიძლია გავძლო, თვეში ხუთ მანეთისაზე ნაკლები არ მიიღება და აქედან იანგარიშე მეყოფა თერთმეტი მანეთი თუ არა“.

იროდიონი მომჭირნეობით ცხოვრიბდა, წერილსაც კი ყველას არ უგზავნიდა, რადგან მარკის ფულს ზოგავდა. რაც ერთხელ ცოლმა მისწერა — რატომ „სახალხო გაზეთის“ რედაქტორს არაფერს უგზავნი დასაბეჭდადო, იროდიონშა უპასუბა: სწორედ იმიტომ არაფერს ვუგზავნი, რომ იმედი არა მაქვს მომცემენ თუ არა რამეს და მარკა და ქალალდი კი ჩემს მდგომარეობაში ზედმეტი მძიმე ხარჯია. 1911

წლის 30 იანვარს გიგო რცხილაძეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე წერილი გამოუგზავნა, საღაც საზოგადოებას თხოვდა: „ათი თვის ცი-ხეში ტუსალობის შემდეგ სამი წლით გადმომასახლეს ვო-ლოგდის გუბერნიაში. აქ არავითარი სამუშაო არ მოიძებნება, რომ თავი ვირჩინო. შიმშილმა და ავადმყოფობამ უკა-დურეს გარემოებაში ჩამაყენეს და გთხოვთ, თუ შესაძლებ-ლად სცნობთ, აღმომიჩინოთ ნივთიერი დახმარება სალიტე-რატურო ფონდიდან ან სხვა საშუალებიდან, რომელიც თქვენ განკარგულებაში იმყოფება“.¹⁾

ამ წერილის გამო, 1911 წლის 19 თებერვალს ცოლს სწერდა: „გიგო ნახე თუ არა? წერა-კითხვის საზოგადოებამ-რა გადაწყვეტა ჩემს თხოვნაზე. ძალიან გაჭირებული ვარ. დიდი სიამოვნებით ჩავჯდებოდი ისევ ციხეში, იქ საჭმელი ძალი მექენებოდა“. რვა დღის შემდეგ კვლავ სწერდა ცოლს: მას შემდეგ ოცდარვა დღე გავიდა და არაფერი ვიცი, თუ რა ბედი ეწვია ჩემს თხოვნას, შეიარე წერა-კითხვის გამავრცე-ლებელ საზოგადოებაში და გაიგე, ამაზე დიდ გაჭირვებაში ველარ მნახავ, თუ გაიმეტეს რამე ტელეგრამით გამომაგზავ-ნეო. იმავე წერილის ბოლოს ვკითხულობთ: „დღეს როგორც იყო ვიშოვე ხუთი შაური და 7 კაპიკიანი მარკა. როდემდეს გაცემლებ შიმშილს არ ვიცი“.

გადასახლებაში იროდიონი არავითარ სამუშაოს არ თავი-ლობდა, მაგრამ, როგორც ზევით დავინახეთ, იქ აღამიანის შრომა დაბად არ ფასობდა, მუშახელზე მოთხოვნილება ძა-ლიან ცოტა იყო, ყველას უჭირდა, დამჭირავებელი არავინ იყო. ბოლოს, სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახა, გადასწყვეტა ფოტოგრაფობა შეესწავლა, აპარატი შეეძინა და თავი ისე ერჩინა. იქ, სოლოვიჩეგოლსკში ფოტოგრაფები არ იყვნენ და სურათის გადაღების მსურველი ბევრი იყო. სამწუხაროდ,

¹⁾ იხ. შ. ჩხეტია, „ისტორიული საპუთები ირ. ევდოშვილის შესახებ“.

იროდიონმა ფოტოპარატის შეძენა ვერ შესძლო და ის გან-ზრახვაც მხოლოდ ოცნებად დარჩა.

ასეთ მდგომარეობაში მყოფ იროდიონს უფრო მეტად მაინც თბილისში უპატრონოდ დარჩენილი ცოლ-შვილის ბედი აწუხებდა. მისი წვრილშვილი ოჯახი საარსებო სახსარს მოკლებული იყო. მანანა იძულებული იყო შვილები სასწავლებლიდან გამოეყვანა იმის გამო, რომ სკოლის ფულის გადახდა არ შეეძლო. ამას მძიმედ განიცდიდა იროდიონი. იგი სწუხდა, რომ ვერაფრით ეხმარებოდა ცოლ-შვილს. 1910 წლის 3 დეკემბერს გულისტკივილით სწერდა ცოლს: რა ვქნა, ვიცი. რომ გაჭირვებული ხართ, მაგრამ რა გიშველოთ აქედანო. მეორე წერილში, 1911 წლის 19 იანვარს სწერდა: „გუშინ მივიღე შენი წერილი, რომელმაც დალონებული უფრო დამღლნა. ვფიქრობ და ვერაფერი მომიგონია-რა, როგორ უშველო თქვენ თავს. ცოცხალ აღამიანს ასეთ დღეში ჩაუგარდეს ცოლ-შვილი — ამაზე მეტი რალა იქნება. ყოველ წამს ჩემი შშიერი ბავშვები მელანდებიან და გული მიკვნესის... ჩემთვის ნურაფერს გაჰყიდი, თუ გაჰყიდი ისევ თქვენ მოწმარეოთ. მე როგორც იქნება გავათრევ ცხოვრებას“.

იროდიონს შვილები ძალიან უყვარდა. თავის წერილებში ცოლისადმი ყოველთვის მათ შესახებ სწერს, უხარის, როცა შეიტყობს, რომ ბავშვები კარგად სწავლობენ, მაგრამ ერთი-ათად გულს უკლავს, როცა რაიმე ცულს გაიგებს... „რა საჭირო იყო, რომ ბავშვებს ეუბნებოდი ჩემს ავალმყოფობას, — უსაყველურებს ცოლს, — თუ ღმერთი გწამს დააჯერე, რომ მე კარგად ვარ, არ იდარდონ“.

ციხემ, გადასახლებამ, განუწყვეტელმა გაჭირვებამ იროდიონ ევდოშვილი ფიზიკურად გასტეხა და მისი ჯანმრთელობა შეირყა. იგი დავადღდა, მუდმივად სიცხეებს აძლევდა და დროდადრო ლოგინში იწვა. იროდიონის ჯანმრთელობა მეტეხის ციხემ დასუსტა, ჩრდილოეთის ჰავამ და განუწყვე-

ჭელშა შემშილმა კი საბოლოოდ დაუძლურა. ხუთი თვის გადასახლებაში ყოფნის შემდეგ „ისპრავნიკის“ ბრძანებით იროდიონ ევდოშვილი ექიმმა შეამოწმა და ასეთი დასკვნა მისცა: „ორავე ფილტვი დაზიანებული აქვს, სისხლს იღებს, დაავალებულია აგრეთვე გულის მანკით. ჩრდილოეთის ჰავა და ცუზი კვება მისი სიცოცხლისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს“.

ასეთი საექიმო დასკვნის შემდეგ იროდოთ ევდოშვილს იმედი ჰქონდა, რომ გაანთავისუფლებდნენ, დაბრუნდებოდა სამშობლოში და სიცოცხლის უკანასკნელ წამებს „მშვიდად“ და „ბედნიერად“ გაატარებდა ცოლ-შვილში.

„ცდა ბედის მონახევრეაო“, — ნათქვამია და იროდიონ ევდოშვილიც შეუდგა მეცადინეობას, გაგზავნა განცხადებები პეტერბურგში, თბილისში, დაიწყო ძებნა გავლენიანი აღამიანებისა; წერილები დაუგზავნა ნაცნობ-მეგობრებს, რათა აღმარენათ დახმარება განთავისუფლებისათვის, მაგრამ ამაღდ მთავრობა პოეტის თხოვნას უპასუხოდ სტოვებდა. ერთადერთი შეტყალება ის იყო, რომ ვოლოგდის გუბერნიიდან იგი ასტრახანის გუბერნიაში — ჩორნი-იარში გადაიყვანეს.

იროდიონ ევდოშვილმა არც ახლა აიღო ხელი განთავისუფლების ცდაზე, კიდევ უფრო გაახშირა წერილების გზავნა თბილისა და პეტერბურგში. ამ წერილებმა უანდარმერიას ეჭვი იღუძრა. მან მეთვალყურეობა გააძლიერა „საშიშ ადამიანზე“. იროდიონის მრავალი წერილი იყარებოდა. იგი განუწყვეტლა იმაზე ჩორდა, რომ ამდენ წერილებს გვზავნი და არსაიდან პასუხს არ ვიღებო. როცა ზოგიერთ ნაცნობს რამდენიმე წერილი გაუგზავნა და მისგან პასუხი არ მიიღო, იროდიონს ეჭვი შეეპარა. იგი მიხვდა, რომ ამ საქმეში პოლიციის ბოროტი ხელი ერია. მან ბოლოს ერთგვარად არალეგალური მიმოწერა დაიწყო. ყველას ახალი მისამართები დაუგზავნა და გააფრთხილა, — წერილები ისე გამოგზავნეთ ზედ ჩემი გვარი

არ იყოს ალწამერული. ერთ წერალში ცოდნის სწერადა ზოგი-
ერთი მიზეზების გამო კონვერტს არ დააწერო ჩემზე გადმო-
საცემად, იგი (ვის სახელზედაც წერილი უნდა ვაეგზავ-
ნა. ე. ქ.) თვითონ მიხედებით.

ეს ეჭვი იჩოდიონს უფრო გარკვევით აქვს გამოთქმული
მეორე წერილში: „მივიღე შენი გამოგზავნილი ხილი. მადლო-
ბელი ვარ, ან რისთვის გასწიე ხარჯი. მართალია, ჩურჩხელე-
ბის შესახებ ვწერდი ბაბოს, მაგრამ ხუმრობით ვწერდი. ასე,
რომ სანდურავი გულში არ გამივლია. ეს წერილი შენ სახელ-
ზე ბაბოს გამოვუგზავნე იანვრის, ასე თხუთმეტ-თვეჯებეტ
რცცევებში. შენი პაწია წერილიდან არა ჩანს მიიღო ოც არა,
ე. ი. მიიღე თუ არა ეს წერილი. ეს ბოლო წერილი იყო ბა-
ბოსთან. მას შემდეგ არ მიმიწერია და პასუხს ველოდები
დღესაც, შენ კი მწერ მიიღე თუ არა ბაბოს წერილი. ჩემთ-
ვის საინტერესოა, როდის გამოგზავნა ბაბოშ ას მიუღებელი
წერილი, საინტერესოა იმიტომ, რომ მგონი ჩემი წერილები
ფოსტაში იყარგება, ვეჭვობ, რომ ჯაშუშობენ. ეს ეჭვი მით
უმეტეს აღმეძრა, რომ გრგოს მოსკოვში 29 დეკემბერს მიღწე-
რე წერილი და ჯერაც პასუხი არ არის, მას რომ მცელო,
უეპველად პასუხს მომწერდა. მისი ერთი წერილი კი, უღირე
მე მას მივსწერდი, მივიღე. მივწერე პასუხი და მასგან დაუ-
საც ველი პასუხს; მეორე — ჯერ ისევ წარსული წლის ენკე-
ნისთვის ოცდაშვიდში ონანაშვილს თავისი წერილის პასუხი
მივსწერე, უნდა მოეწერა ზოგი რამ და დღესაც არსად არა;
მესამე, — აგერ ეს ორი თვეა პეტერბურგში წერილ-წე-
რილზე უგზავნი და არც იქიდან მეხმაურებიან. ყველა ეს ეჭვი
მიღვიძებს, რომ წერილებს აქაურ ფოსტიდან შეიძლება უა-
დარმებს უგზავნიან. მამაძალები არიან. იციან რომელი პო-
ლიტიკური გადმოსახლებული ვის წერს წერილებს“.

როგორც ვიცით, ვოლოგდის გუბერნიიდან ასტრახანში არაღონ ევლოშვილი საკუთარი თხოვნით გადაიყვანეს. მას იმედი ჰქონდა, რომ იქ უკეთეს პირობებში მოხვდებოდა, შესაძლებლობა მიეცემოდა რაიმე დამატებითი საარსებო საშუალება გამოიწვია.

— ელენეს უთქვამს, — სწერს იროდიონი ვოლოგდის გუბერნიიდან მანანას, — ავადმყოფობს და ასტრახანის ჰაერი არ მოუხდებაო. ჩემი ავადმყოფობა შიმშილობითა და დარღით არის გამოწვეული. იქ იმედი მაქვს ადგილი ვიშოვო და ცოტა გაუაუმჯობესო ცხოვრება.

ასტრახანის გუბერნიაში, რაზეც ზევითაც გვქონდა ლაპარაკი, იროდიონმა მიზანს ვერ მიაღწია, იმედები გაუცრუვდა და უთრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. ამასთან დარწმუნდა, რომ „პეტერბურგიდან კარგს არ უნდა მოელოდეს“ და თანდათან მოთმინება დაპკარგა. ერთხანს გადასწყვიტა კი-ზეც გაქცეულიყო და სხვაგან საღმე ეცხოვრა ფარულად: „თუ გამანთავისუფლეს კარგი, თუ არა და მეტს ვეღარ მოვითშენ, წაგალ საითმე, ვიღრე ისევ ციხეში ამამაყოფინებენ თავს“. — სწერს ცოლს.

ეს განზრახვა იროდიონ ევლოშვილს არ განუხორციელებდა, რადგან ავადმყოფობა თანდათან მოერია.

სოლოვიჩეგოდსქში ყოფნისას, 1911 წლის გაზაფხულზე იგი ერთხელ ჩამოვიდა სამშობლოში ცოლ-შვილის სანახავად და ათი დღე არალეგალურად ცხოვრობდა თბილისში, ბოლოს ისევ დაბრუნდა გადასახლების ადგილას, ისე, რომ პოლიციას ამის შესახებ არაფერი გაუგია. შემდეგ წელს ჩორნი-იარიდანაც ფიქრობდა ჩამოსვლას. თავის ცოლს სწერდა: მანდ ჩემს სასარგებლოდ წარმოდგენას დადგამენ და თუ რამე შემოვა, ან შენ წამოხვალ ჩემთან ან მე ჩამოვალო, და იქვე დასძენდა:

„მე ამ უკანასკნელს ვამჯობინებ, რადგან იმედი მაქვს, როგორც შარშან, ისე ახლაც უვნებლად დავტრუნდე, და თუ დამიჭირეს, არც ამაზე ვიღარდებ, რადგან შარშან ისევ სოლოვიჩეგოდსკში გამაგზავნიდნენ, ახლა კი აქვე მომიყვანენ და ეს გავდენი არაფერი წევალება იქნება ჩემთვის“.


ამ განზრახვის შესრულება იროდიონს აღარ დასკირებია. მეფის მთავრობა დაწუნდა, რომ პოეტი დიდხანს ვეღარ ცოცხლებდა, ამასთან ავადმყოფობით დაუძლურებული საშიში აღარ იყო და ნება დართო სასჯელი საბოლოოდ თბილისში მოეხადა.

ამ დროისათვის იროდიონ ევფოშვალი უკვე ფიზიკურად და სულიერად განადგურებული იყო. ოც მარტს მეგობრისადმი გაგზავნილ წერილში ბოდიშს იხდის პასუხის დაგვიანების გამო და ეუბნება, რომ ამ დაგვიანების მიზეზია: „სულის და გულის მოღუნება, რომელიც ფიზიკური სიკვდილისაგან მხოლოდ იმით გამოიჩინება, რომ გრძნობ შენს სიკვდილს. დავსუსტური ხორციელადაც. ორი თვეა ლოგინში ვწევარ“.

თორმეტი წლის ზაფხულში იროდიონი თბილისში იყო. ავადმყოფობისაგან დაუძლურებულს ფეხზე დგომაც კი უჭირდა. გამხდარი, გაფითრებული, თვალებჩაცვინული მხოლოდ წრდილილა იყო ძველი იროდიონისა. აღარაფრით ჰგავდა მოხსიძლავ ვაჟკაცს, „შავტუხა კახელს, რომელსაც შეხედულებაც კარგი ჰქონდა, ხმაც მიმზიდველი“, ახლა ლაპარაკიც უჭირდა.

— „მე ფერფლილა ვარ ცეცხლში დამწვარი სალამურისა, მე კვერსალა ვარ, შველის კვნესა განგმირულისა“. — წერდა იროდიონ ევდოშვილი და ამ სტრიქონებში მეტყველად იყო გაღმოცემული მისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა.

გადასახლებიდან დაბრუნებულ დაბრუნებულ ევდოშვილისათვის თბილისის ჰავა საზიანო გურიაში მაშინვე მანგლისში



გასტუმჩეს. შემდეგ კი სცვდილამდე სურამსა, ჭალვებსა და სოხუმში მურნალობდა.

სამშობლოში ჩამოსული პოეტის მატერიალური მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. იგი კვლავ საშინელ ხელმოკლეობასა და გაქირვებას განიცდიდა. ომდენი საშუალება არა ჰქონდა, რომ ერთი ზაფხული მაინც უზრუნველად გაეტარებინა აგარაკზე. იროდოთის ლექსები და მოთხრობები სისტემატურად იძექდებოდა. იგი იმდენად პოპულარული პოეტი იყო, რომ, როცა „სახალხო გაზეთმა“ 1915 წელს მისი ლექსების კრებულის გამოცემა დაწყო, ხელმოწერამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რედაქცია სოხუმში მყოფ ავალმყოფ პოეტს სწერდა: „არცერთ ქართველ მწერალს არ ღირსებდა ამდენი ხელმოწერა“. ამის მიუხედავად ლიტერატურული შემოსავლით ცხოვრება პოეტს არ შეეძლო.

იროდონ ევდოშვილი თავმოყვარე კაცი იყო, იგი ერთდებოდა დახმარებების თხოვნას; იშვიათად თუ ვინმეს შეაწუხებდა და ისიც უკიდურეს შემთხვევაში, თანაც უაღრესად მახლობელს. მით უმეტეს აუტანელი იყო მისთვის ისეთი „დახმარება“, რომელზეც ხმაურს ასტენდნენ — აი, ჩვენ ამდენით და ამდენით დავეხმარეთ გაქირვებულ პოეტსო. არა-ფერი ისე აა აღშფოთებდა იროდიონს, როგორც მეგობრების აქეთი მოქმედება. ასეთ დახმარებაზე, ვისგანაც არ უნდა ყოფილიყო იგი, უარს ამბობდა და პირდაპირ დამცირებად მიაჩნდა; აქ საინტერესოა გავიხსენოთ სოხუმიდან თავისი სიძის წერე კურდლელაშვილის სახელზე გაგზავნილი წერილი. ეს წერილი ნათლად გვისაბუთებს იროდიონს პიროვნებას.

„კაცო, — სწერს იროდიონი ნიკოს, — არ ვიცი, ჩემი წერილი არ მოგდის, თუ არაფრად აგდებ ჩემს სიტყვას. მე გთხოვდი, რომ არაფერი არ დაბეჭდილიყო ჩემს შესახებ ისეთი, რაც ეხლა კიდევ დაგიბეჭდიათ „საქართველოში“.“¹⁾) კაცო,

¹⁾ გაზეთი, რომლის რედაქტორი იყო მწერალი ს. შანშიაშვილი.

კმარა „მუზერა“, საზოგადოების ჩაც სურდა მოპცა... მანწკლაშიანც ასეთი ჯაერებით ხელგაშეერალი თხოვნა მე ისარევით მომხვდა გულში... გარჩმუნებ, მიზნევნია მაღე მოცველე, ვრცელ ასე ხელგაშოშეერ-ლი ვიარი. ჩაც შეეხება 25 მანეთს, რომელიც ვ-ჯაუზვა „საქართველოს“ თანამშრომელთა წრეს, მაგანე დიალი წაღლობა გადაეცი ყველას ჩემს მაგრერ, მხოლოდ მაგ ფულს მე არ მივიღებ. ჯერ ერთი, თქვენ რა გაქვთ მე რა უნდა მომცეთ, მეორე ესა, — „ამხანაგურ დახმარებაზე“ არა ყვირიან ხოლმე და საჯაროდ არ აცხადებენ. ერთი სიტყვით, იმ წერილების შემდეგ, რომელიც მე შენ მოგწერე, ძლიერ მაჟვის შენი ასეთი საქციელი.

მე, როგორც კხედავ, უნდა ხელი ავიღო სიკედილთან ბრძოლაზე და დავემორჩილო ბედს, რადგან ფული აღარ გვქონია,') რომ ორ თვეს მაინც მეყოს. ამტომ გთხოვ, გამომიგზავნე იმდენი, რომ ამ თვეს ოცამდე გავუსწორდე და წამოვადე თბილისში. მე ასე გადაჭიფვიტე, ან კი მეტი რა იღავია.

ამ წერილიდან სჩანა, . რომ გაზ. „საქართველოს“ თანამშრომელების, რომელთა შორის ბევრი ირ. ევფოშვილის ახლო შეგობარი იყო, ერთმანეთში ფული შეუგროვებიათ ავადმყოფი პოეტის დასახმარებლად და გაჩერში გამოუცხადებიათ, რომ ჩემ ამდენი და ამდენი დავეხმარეთ გაჭირვებულ პოეტსო. ეს, პართლაცი, უხერიო ნაბიჯი პოეტს სწერნია — „ჯერ ერთი თქვენ რა გაქვთ, მე რა უნდა მომცეთ“, მეორეც — „ამხანაგურ დახმარებაზე“ ასე არა ყვირიან და საჯაროდ არ აცხადებენო. მას უარი უოჭამს დახმარების მიღებაზე.

ერთი ძველი ანდაზა, — როცა კაცი სიკეთეს უზამ და შემდეგ გაახსენებ, — კა იმშა ნიშნავს, რომ მას სიკეთეს უკან

1) ჩიკო კურდლელაშვილი ხელშლახნელობდა ინ. ეფლოშვილის წიგნის ვამსიცემასა და განვიტლებას. 3-იტება მხედველობის აქტს წიგნის ხელმიწერდან შემოსული თანხა.

სოხოვო. აღნიშნული შემთხვევაც იმას ნიშნავდა, რომ დასმა-
რება გულშრეფელი და უანგარო არ იყო. საზოგადოებას ეუბ-
ნებოლნენ — აი, რა ბიჭები ვართ, გაჭირვების დროს პოეტს
დახმარება აღმოვაჟინეთ და არ დაგავიწყდეთო. ეს იგივე დაყ-
ვედრებაა, რაც უკან მოთხოვნაზე მეტია. იროდიონის აღ-
შფოთება სრულიად სამართლიანი იყო და იგი მასი ადამიანუ-
რი ბუნებიდან მომდინარეობდა. როგორც ვხედავთ, იროდიონის
სიკედილი ერჩია პირად დამცირებას. რადგან ჩემს წიგებზე
სელმოშერიდან შემოსული ფულიდან იმდენი აღარ დარჩა,
რომ ორ თვეს მეყოს, იმდენი მაინც გამომიგზავნეთ, რომ ამ
თვის ოცამდე სასტუმროს ხარჯები გავისტუმრო და თბი-
ლისში ჩამოვიდეო.

როგორც დავინახეთ, იროდიონ ევლოშვილს საშუალება:
არა ჰქონდა წესიერ პირობებში ეცხოვრა და ნორმალური
მკურნალობა ეწარმოებია. ერთ-ერთ ზაფხულს მკურნალ ექიმს
მწოლიარე ავალმყოფ ევლოშვილთან, გასინჯვის შემდეგ,
ჩვეულებრივი საუბარი გაეცამს. ამ საუბროს დროს ექიმის
ყურადღება იროდიონის საღ კბილებს მიუქცევია და გულ-
უბრყვალოდ უთქვამს „იროდიონ, რა კარგი კბილები გაქ-
სო“. იროდიონს ამ შეკითხვაზე მოსწრებული ხუმრობით უპა-
სუხია: „რომელი ნაირ-ნაირი საჭმელები გამიღუცებდა კბ-
ლებსო“. ამ მოსწრებულ პასუხში მთელ მას ცხოვრებას აძო-
ვოცნობთ. მუდმივმა გაჭირვებამ, ცუდმა კვებამ იროდიონ ევ-
ლოშვილის ორგანიზმი ისე დასუსტა, რომ სენისათვის წინა-
აღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო.

პირველი მსოფლიო ომის წლებში სოხუმში ცხოვრება გა-
რა ულდა. 1915 წლის ზაფხულიდან გემების მიმოსვლა შე-
წყდა. ახლო-მახლო რაიონებიდან პროდუქტები აღარ შემო-
დიანდა. დაიწყო საშინელი სიძვირე. იროდიონს გაუჭირდა.
ერთ-ერთი მეგობარი ფოთიდან სწერდა, რომ აქ ყველაფერი
იშოვება და თუ მოახერხებ და ჩამოხვალ ცხოვრება იაფი და-
გიჯდება. იროდიონმა გადასწყვეტა კიდეც, როგორმე წასუ-

უკი, მაგრამ ექიმებშია არ უჩინეს, — ფოთის პავას ვერ
აუტანო. ეჭულებული გახდა პოეტი სოხუმში დარჩენილი.

1915 წლის დასასრულს იროდიონ ევფოშვილს ავადმყო-
ცობა გაურთულდა. ექიმებმა თოთქმის ხელი აღდეს მის მკურ-
ნალობაზე. ამ დროს აბაშილან ვინმე ოდიშარისაგან წერილი
იიღო, სადაც უკანასკნელი სწერდა, რომ მე კლექს ვარჩენ—
ზოგს ერთ თვეს, ზოგს სამ თვესო და შემიძლიან მოგარჩინო,
მხოლოდ ოფიციალურად ნება არა მაქვს მკურნალობისა და
პაურობისაგან დამიფარეო. როგორც მიმოწერიდან სჩანს, ეს
უკანასკნელი საშუალებაც სცადა პოეტმა... მან თანხმობა შე-
უთვალა, რის შემდეგ, 1916 წლის პრიცესში ოდიშარისაგან
წამლები მიიღო.

როგორც მოსალადნელი იყო, ამ ექიმბაშის წამალშა არა-
კითარი შედეგი არ გამოილო. ავადმყოფი ცუდად შეიქნა, აპ-
რილის ბოლო რცეცვებში იგი თბილისში ჩამოიყვანეს, საღაც
2 მაისს, ღამის 4 საათზე გარდაიცვალა.

იროდიონ ევფოშვილი დაკრძალულ იქნა თბილისში, ქარ-
თველ მოლვაწეთა ღიღლუბის პანთეონში.

* * *

იროდიონ ევფოშვილის ცხოვრებაზე ძალიან მცირე მასალა
ასებობს. ჟაგრამ. რამდენიც არ უნდა იყოს ის, მხოლოდ
ბოგრაფიული ცნობებით შეუძლებელია სრული წარმოდგენა
ვიქტორიოთ პოეტის ბობოქარ ცხოვრებაზე. იმისათვის, რომ გა-
ვაგოთ მთლიანად იროდიონ ევფოშვილი, მისი სულიერი წვა,
მისი ტანჯეა, მისი სწრაფვა, გავეგოთ თუ რათ ცხოვრილია
იგი ყოველდღიურად, რა იტაცებდა, გავიგოთ მისი პირავნუ-
ლი ხასიათიც და ღრმად ჩავსუდეთ მის ადამიანურ სულსაც.
— საჭიროა გავიცნოთ მისი პოეზია. არავითარ სხვა შესალას

არ შეუძლიან გაგვაცნოს იროდიონ ევდოშვილის მთელი პი-
როვნება, მისი ინდივიდუალური და მოქალაქეობრივი ინტე-
რესები, როგორც მის შემოქმედებას.

ევდოშვილის პოეზია მისი ბიოგრაფიის ყველაზე სრული
და საიმედო წყაროა.

მივმართოთ ამ წყაროს.



ଶ୍ରୀକର୍ଣ୍ଣପାତ୍ରଙ୍କା





დ ა ს ა წ ჟ ი ს ი

სამწერლო საჩბელზე იროდონ ევდოშვილი იმ პერიოდში გამოდის, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი გარდაცესა იწყება. მისი პირველი ლექსები იძექდება 1893 წლიდან — ჯერ „ივერიაში“ და შემდეგ „კვალში“. ამ წელს ჩვენში ისახება „შესამე დასი“, რომელმაც ერთგვარაზ დაზებითი როლი ითამაშა. „მან დასაბამი მისცა მარქსისტული იდეების გავრცელებას საქართველოსა და ამერკავკაში და, ყველა თავისი ნაკლის მიუხედავად, მაინც ბიძგი მისცა რევოლუციურ ახალგაზრდობას და მოწინავე მუშებს მარქსიზმის გაცნობისა და შესწავლის საქმეში“ (ლ. პ. ბერი).¹⁾ 1893 წელი მეორე მხრივაცაა აღსანიშნავი იროდიონ ევდოშვილის ცხოვრებაში. ამ წელს იგი გამორიცხეს სემინარიდან მოსწავლეობა „ბუნტში“ მონაწილეობისთვის, ამავე წელს ეკუთხნის ნაი-

¹⁾ იბ. ლ. ბერი—„ამ ერკავკასის ბოლშევიცები თავაზისაცემას ასტორის საკითხისათვის“. გვ. 15.

მცირდროდ დაკავშირება „კვალის“ რედაქციასთან, რომელიც შემდეგში „ლეგალური მარქსისტების“ ფრენური ორგანოდ ხდება.

ცნობილია, რომ იორდიონ ევფოშვალი ილია ჭავჭავაძის ლაპერატურულ მემკვიდრეობაზე იყო აღზრდილი. ბავშვობის სა ყრმობის წლებში ამ დიდი პოეტის უდიდესი გავლენა განიცადა, მას პირველ ლექსი (1892 წელი), როგორც უკვე უთქვით, ილიას სტრიქონები აქვს ეპიგრაფიაზ შამძლვარებულია: „რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერა საყვარულია“...

ამ სტრიქონების შთაგონებით დაწერილ იორდიონ ევფოშვილის ლექსში გამოხატულია დაჩაგრულისათვის მსხვერპლის გაღების, მისადმი თანაგრძნობის რდეა. მართალია, ეს რდეა ახალგაზრდა პოეტს სათანადოდ ცერ გაუშლია, ამასთან. ლექსში გამოყენებული ანალოგია პრიმიტიულია, იგი პოეტს მოხდენილად, დამახასიათებლად არა აქვს მოძებნილი, მაგრამ მარც ნათლად ამელიცნებს ახალგაზრდა აუტორს სულის შეაგან მოძრაობას.

ახალგაზრდა პოეტმა ჭინჭრებში ამოსული ვარდი შენიშნა და გაუკერდა, რად დაუტოვებია მას წალკოტი და ასეთ ადგალას ამოსულია. ცნობისმოყვარე პოეტი დაინტერესდა, მან მიმართა ვარდს, რომლისგანაც პასუხად მიიღოს: ცქ, ბალში ბეკრია ჩემგვარი, მე აქ მოვცევი, რომ დავამშვერო ჭინჭარიო. აი ეს ლექსი:

„ვნახე ვარდი ჭინჭრებში ამოსული,
იმათ შუა გაეხლართა ნორჩის ტოტი,
სურნელოვანს. გაფურჩქნულსა, პირბადრსა,
არ ვიცი რად დატუა წალკოტი.

გარეულის, დაგვითხე ე ვარდა:
 „აქ ჩადა ხარ და არ ამშვენებ ბალსა?“
 მან მომიგო: „იქ ბერია ჩემგვარი.
 ე აქ მოველ, დაუამშენო ვინვარი!“)

არმლევენო ლექსში „მთვარე“ (1893 წელი) ნაჩვენებია
 პრელისა და ნათელის ბრძოლა. ლექსი პრიმიტიული ხასიათი-
 სა და ეს დიდი თემა პოეტურ სიმაღლეზე ვერა> აყვანილი.
 აგრძელებული ბრძოლის და ნათელის ბრძოლის იდეა მარც მკაფიოდ
 არა გამოხატული. ნათელის სიმბოლოა მთვარე, ხოლო ბნე-
 ლის - - გველეშაპი. აღრე ხალხში აჩსებული წარმოდგენით,
 როცა მთვარეს ღრუბელი გადაეფარება და ჩამოქალდება,
 ეს იმას ნიშნავს, რომ გველეშაპი ებრძებს და მისი გადაყლაპ-
 ვა სურს. როცა მთვარე, ამ ღრუბს, გასაქრიში ვარდება, ხალხი
 ცდილობს დაეხმაროს, ეს გველეშაპის თოფის სროლის აუტებს.
 ეს ჩვეულება მართლაც იყო ხალხში. და აი, ამ ლექსში ინო-
 ვან ევდოშვილი. ღლებს რა ამ ჩვეულებას, სიმბოლოს
 ძნიშვნელობას აძლევს მას და ცდილობს გვიჩვენოს ხალხის
 კუთილშობილი სწრაფვა სინათლისაკენ, თავისუფლებისაკენ.
 ხალხი უსაშილერო სისარული მოიცავს, როდესაც ღრუბელი გა-
 დიყრება, დედამიწას კვლავ ნათელი მოეფინება და საუსე
 ბრუარე თამამად გაასრიალებს მოწმენდილ ცაზე.

ეს ლექსები მნიშვნელოვანი იმითაა, რომ გვიჩვენებენ თუ
 რა შეითვისა ახალგაზრდა პოეტმა წინა თაობის მწერლებისა-
 ცან, რამ აანთო მისი გული. სამოციანელთა შემოქმედებაში
 პატრიოტიზმთან ერთად მკაფიოდ ისმოდა სამართლიანობისა
 და დაჩაგრულთადმი თანაგრძნობის მოტივები. პუმანური
 ძოტივები. იროდოთი ევდოშვილის უპრავლესად ეს მოტივე-
 ბი შეითვისა წინა პერიოდის პროპრესული მწერლებისაგან და

¹⁾ ლექსებისა და მოთხოვბების არინაშვილები მოგვავს იროდოთი ევდო-
 შვილის თხზულებაზა სამოციანოდან, რომელიც გამოვიდა შალვა რადი-
 ძის აედაქტით 1935-37 წ.

შეცტყვა, ოოცა ვეილრად დაუკავშირდა „კვალს“, გააღრმა-
ვა და განავთარა ისინი. ილიასა და აკაცის მებრძოლი პატირი-
ოტიზმი იზიდავდა ახალგაზრდა პოეტს, მაგრამ თავისი შემოქ-
მედებითი ცხოვრების პირველ ათეულ წელში ივი შანქც
უპირატესად სოციალური ჭავისუფლების მომღერალი იყო.
მართალია, „კვალელებს“, ე. ი. „მესამე დასელთა“ უმრავლე-
სობას „არასოდეს არ მიუყვანია კლასობრივი ბრძოლის იდეა
პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ გაე-
პარდე“, მაგრამ იგი „ატარებდა კლასობრივი დაფერენცია-
ციასა და კლასთა ბრძოლის. ოოგორც საზოგადოებრივ-ზოდ-
რუკური ცხოვრების შინაარსის იდეას“ (ლ. პ. ბერია).

აი, ამ იდეამ განსაზღვრა შინაარსი და მიმართულება ახალ-
გაზრდა პოეტის შემოქმედებისა. არ შეძლება აქვე არ აფ-
ენისნოთ ისიც, რომ იროვიონ ევლოშვილი ერთხანს „კვალე-
ლების“ ნილილისტურ გავლენასაც განიცილა და მათ შენგა-
სად მემკვიდრეობის შეუფასებლობას იჩენდა. ეს მან გამოა-
ელავნა ილია ჭავჭავაძისადმი დამოკიდებულების საკითხში.
ამ საკითხში, გარკვეული დროის მანძილზე „კვალის“ კალ-
ებრივ პოზიციაზე იდგა.

ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში დაუი პათოსით ასე-
ხა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის სოციალური ვითარება. კლასობრივი შინააღმდეგობა. ლექსში „გაზაფხული“ (1895 წ.)
ჯახატა ცხოვრების მართალი სურათი და თავისი უდიდეს-
კულისტიკილი გამოსთქვა არსებული საზოგადოებრივი
ცკულმართობის გამო. მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრ-
ვის რაობას პოეტი იძლევა ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრ-
ბის შეპირასპირების საფუძველზე. გაზაფხულია. ბუნება იღვი-
ჭებს, ჰყვავის, ლაპაზდება, ხარობს, ფრინველება თავისით
კიყებით ამხიარულებენ არემანებს. ზამთრის შემდეგ გაზაფ-
ხული, — ეს ხომ სიცოცხლეა, სიცოცხლის ნამდვილი ზეიძი!
კანა შეიქლება არ მოხიაპლას ადამიანი გაზაფხულის მშვენი-
ერებით! პუნების საერთო გამოლვიდებამ ბეჭნერერებით არ აკ-

სოს მისი სული!... მაგრამ არა! პოეტი უტყვითა აქთა ვხილავ-
ლების გვერდით მეტყველთა უსაზღვრო ტანჯვეს ხედავს და
გული სევდით ევსება. როგორ შეუძლია პოეტს ბუნების სიჭ-
შვერიერით დატკბეს და ილჩიოს, როცა ადამიანთა წამება უა-
მათი კვნესა გულს უკლავს.

ამ პატარა ლექსში დახატულია ორი კონტრასტული, ერთ-
მანეთისაღმი შეპირისპირებული სურათი, მასში დადი ემოცი-
ური ძალით არს გადმოცემული სოციალური უქმაყოფილე-
ბის მძიმე განცდა:

„კვლავ გაზაფხული, კვლავ და-ვარდი,
კვლავ ბერძულთ სტუნა დაგვიტუბობა სტუნა,
კვლავ სიხარული, ცვევა, ნაცირდი
და კვლავ ბუნება ეძლევა ლხენას!
შაგრამ ვით ფსკევრეტდე ვარდა და ის,
ვით შეგნტრფალო მზიანა დღესა,
ვით გამახაროს უტყვთა ვეჯლისმა,
ოდეს გულს ჰგმინავს შეტყველთა კვნეა?“

უკველ მომდევნო ლექსში პოეტი იზრდება, მისი მსოფლ-
მხედველობა თანდათან მწიფდება და ყალბდება. იგი უკვე
აზალი, რევოლუციური თაობის პოზიციებიდან იძრძვის, ამ
პოზიციებიდან შეიიწობს და აფასებს მოვლენებს. ლექსში
„ზოგიერთ მეგობარს“ (1895 წელი) იროდონ ევლოშვილი
დაპგმო სოციალურად და პოლიტიკურად დაჩაგრულთა ყალბი
„მეგობრები“, რომლებიც ერთ დროს მიტმასნილი იყვნენ მა-
თან, თითქოს მათი ინტერესებისათვის იძრძოდნენ, უბრალი
ადამიანთა მდგომარეობის გაუმჯობესებასა და თავისუფლე-
ბაზე ოცნებობდნენ, მაგრამ რა წამს საკუთარი მდგომარეობის
გაუმჯობესებას მიაღწიეს, დაივიწყეს თავიანთი ლამაზი იღე-
ლები, დაივიწყეს ისინი, ვისთვისაც მათ ადრე თითქოს გული
უცემდათ, და მშვიდ განცხრომას მიეცნენ. მათს სმენამდე ახლა
აღარ აღწევდა გაჭირვებულთა კვნესა.

რომლინ ევდოშვილის, როგორც მხატვრის მნიშვნელობა ამაში იყო რომ იგი სამწერლო სარბიელზე გამოსვლის პირ-ველ წლებიდანვე ქართული მწერლობისათვის სრულიად ახალ თემებს ეხებოდა და ამ თემებს თავისებურად აშუქებდა. თე-ვისა და დღეების სიახლეშ მაშინვე მოუხვეჭა მას საყვარელი მწერლის სახელი და პოპულარული გახდა იგი.

ლექსში „ზოგიერთ მეგობრებს“ ასახული თემაც ახალი იყო. მას მანამდე თითქმის არავინ შეხებია—მით უმეტეს ასე-თი გზნებით. ი. ევდოშვილს მხედველობაში ჰყავს ის „მე-გობრები“, რომლებიც გადაგვარდნენ, უღალატეს თავიანთ ადრინდელ კეთილშობილ მიზნებს და ეგოიზმის წუმპეში ჩა-ცვინდნენ. ამ ლექსში პოეტმა ზიზღით დახატა ის: ნი და მარ-დამი უდიდესი გულისწყრობა გამოსთქვა. ლექსის ყოველი ბარყვა, ყოველი სტრიქონი მამხილებელ მოძახილად გაისმის:

„ვე, — მეგობარო, ეგ იყო შენი
ალტკინებული აზრთა ტრაფიალი;
მცერმეტყველური სჯა და ბააი,
წმინდა დევიზი და იღვალი?!
თავი მიეცი მყულრო ცხოვრებას
და განცხრომაში ატაჩებ დროსა...
უკა კედელს შიგნით ტებილად ღილინებ,
კედლის გარედან ბანს გაძლევს კვერსა!“

პოეტის ამ პერიოდის ნაწარმოებებში ნათლად მოსჩავს, რომ ახალგაზრდა იროდიონ ევდოშვილს კარგად აქვს შეგნე-ბული თავისი მოქალაქეობრივი მოგალეობა, რომ იგი მთელი არსებით გამსჭვალულია ხალხის სიყვარულით. პოეტი თავის ლექსებში ხალხისადმი ერთგული სამსახურის იდეას ხატავს მოგორც წმიდათა წმიდა იდეას.

იროდიონ ევდოშვილს ესმის, რომ მან ძნელი და ეკლანი გზა აირჩია, მაგრამ სჯერა, რომ ამ გზაზე მას და მის ამხანა-გებს, რომელთაც გული სამშობლოსა და ხალხის თავისუფლე-

ბისათვის საბრძოლებელად უცემთ, შენ გაუძლებათ სიმართლე, როგორც მანათობელი ჩირალდანი და უძლეველი დროშა.

„კა, პეტებო, შეგვებდა უაში
შავბედიანი,
ჩვენ უნდა განვლოთ უდაბური,
გხა ეკლიანი,
ღლეს შეელას გვთხოვს დაშვრალი და
თვალცრუშლიანი“.

მაგრამ, პოეტი ანგარიშმცუცებელი ოპტიმისტი რაა. იგი რეალისტია, ცხოვრებისა და აღამიანების შესაჩიშჩავი მცოლნე. მან იცის, რომ ამ ძნელსა და კულან გზაზე ბევრის გული ვატყდება, ბევრი წამოაჩიქებს, ჩამოშორდება საქვეყნო საქმეს და, როგორც წინა ლექსში აღნიშნავდა, მშვიდ, იდილიურ ცხოვრებას მიეცემა. როცა მოსალოდნელი სინამდვილის სურათს წარმოადგენს, იგი თანაგრძნობის სხივით გაბრწყინებულ თვალებს იმათვენ მიაპყრობს, ვინც „წამების ჯვარს გოლგოთაზე“ აღტანს:

კუიქრობ: ვინ „ცის რამდენა ჩვეუგანა სიძნეულე გზია
მალას მოუკლახს, შეაფერებდა და დასუტან ძირსა;
კუიქრობ: რამდენი წააჩიქებს ეკლან გზაზე
და ვინ აიტანს წამების ჯვარს მენ გოლგოთაზე“¹⁾)

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ პირველ ხნებში, დაახლოებით 1895 წლის მეორე ნახევრამდე იროდიონ ეცდოშვილის პოეზიაში არ ისმოდა საბრძოლო მოტივები. იგი გამოხატავს უკმაყოფილებას, შეშფოთებას გაბატონებული სოციალური და პოლიტიკური უკუღმართობის გამო, თანაუგრძნობს ხალხს და მზადაა მის სამსახურში ჟალის სული, მაგრამ ჯერ კიდევ ნათლად არა აქვს წარმოადგენილი თავისუფლებისათვის, ხალ-

1) გოლგოთა—გორაკი იერუსალიმთან, სალაც, გადმიუმეთ. თითქოს ჯვარს აცვეს ქრისტე.

პ.ს. ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლის სწორი გზა. პოეტის პირული წლების შემოქმედებაში ჩენენ ვხედავთ მხოლოდ სო-ციალური ჩაგდრესად მძაფი, დამახასიათებელ სურა-თებს. უბედობაში მყოფი ადამიანის გულსაკლავ ჩივილს:

„ბედო ტალავ, ამა რად.
რად შემომიჩნდი ჭირადა?
არ გამალალე, ან იქნა,
ცრემლი მარგუნე წილადა;
რა ხანი გემუდარები,
არც თუ ჩამაგდე ჩირათ.
კაბუყი წელში მომღუნე,
გადაშაქციე მწირადა“.

ძნელია იმდროინდელ ქართულ პოეზიაში უფრო უკეთესი სუქსი მოინახოს, ვიდრე ოროდიონ ევდოშვილის „ყორნის ბრალია“, სადაც უაღრესად სადა და დამახასიათებელი ფე-რებით არის დახატული ჩარჩის თარეში და გლეხის გაჭირვება. ქართველი გლეხი წლიდან წლამდე ქედმოხრილი შრო-მობდა, მოსავალი მოჰყავდა, მაგრამ კალოდან შინ მას ვრთი მარცვალის შეტანა არ შეეძლო, ყველაფერი ბატონსა და მე-ვალეს მიჰქონდა; ახალ მოსავლამდე იგი კვლავ მევახშის ხელ-ში უნდა ყოფილიყო, მისი მძიმე პროცენტების გაღახდისათვის უნდა ეშრომა. შეჰყურებდა გლეხი კალაზე დახგავებულ ოქ-როსფერ ხორბალს, მაგრამ გული არ უღიმოდა, არ უხაროდა, მისი გონება შავი ფერებით იყო დამძიმებული:

„დილას ყორანშა დამჩხავლა,
ზედ კალოს გადამიარა:
პაშინვე თითზე ვიგბინე,
შეეძახე: „გაგატიალა“.
ვიფიტრე, ვოუი ფათრაქს
ოშეს შემათხვევს წყეული,
კარგად არ მყავს დაცდილი
შავი, შავკაბა, ვული...
არ გაუვლია ერთ წუთსა,

შევხედე როდის ომარა,
 ხელში უჭირავს ჩანაბი.
 ცხენს უკიდია ტოძრი.
 წამითინქა ხვავის წინ.
 შელავი მოუშეა, მოხარა.
 პურა ღია ჩივის, ულმეტოობა
 კინალამ მიწა მოთხარა!“.

რომელიან ველოშეილი ყველა-ფრე ამას ჩათლაშ ხედავს.
 რეალისტურად აგვარების. მაგრამ ჯერ კადევ არა დგას ამ
 სიცილური და პოლიტიკური უკულმართობის წინააღმდეგ
 რევოლუციური ბრძოლის თვალსაზრისშე; შეიძლება ითქვას,
 მას საკმარისად მააჩნდა კრიტიკა, მყაცრი და დაუნდობელი
 კრიტიკა და ამას იქნით იგი არ მიღობდა. სურავედ ეს თვალ-
 საზრისია გატარებული ლექსში „ჩემს ხანჯალს“. აქ პოეტის
 უნდა მოეწოდებინა ხანჯალისათვის, რომ მშე უნდა და მოვსპო-
 პტერი და ორგული, მაგრამ არა. პოეტს ხანჯალი უყვარს მხო-
 ლიდ იმიტომ, რომ ის აგონებს ბასრ ენას, რომელიც მდევრის
 კულტი ეკლად ესობა და ლხენას უსპობს.

„მიყვარხარ ჩემო ხანჯალო,
 საზავ და ბასრო ფეხინო,
 ფოლადო ცეცხლში ნაწილობო,
 ბორჩილო, ლაზათიანო.
 მიყვარხარ არა იმისთვის,
 რომ მტერი ვჩერო შენითა...
 ე განა გინდვრის სვავი ვარ.
 გაგძლე სისხლით და ლეშითა!
 მიტობ მიყვარხარ, მაგონებ
 უცნავით ბასრსა ენასა,
 ორგულს რომ მკერდში ესობა.
 მტერს რომ მოუშლის ლხენასა!“

საჭირო იყო თემის შებრუნება. მას მახვილი ენა უზღა
 შეედარებინა ბასრი ხანჯალისათვის, რომელიც სჩეხდა და
 სპობდა მტერს, და მოეწოდებინა ამ იარაღის მომარჯვებისა-
 კენ. მაგრამ პოეტი მაშინ, როგორც უკვე ვთქვით, ჯერ კიდევ

სამოციანელთა საკმაოდ ძლიერ იუეურ ზეგაულებას განიცდა-
და და არ შეეძლო თავიზანვე იარაღის შემართვების სულის-
კვეთება გამოეხატა. მაგრავ რადგან მდგომარეობა, ორგანი-
ლი კავშირი მშრომელ ხალხთან და იმდროინდელ რევოლუ-
ციურ თაობასთან აქეთებუნ მოუწოდებდა, პოეტი თანდათან
აუცილებლად რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის გზაზე
უნდა შემდგარიყო. ის გარემოება, რომ პოეტს „წარსულის
სიტყვის არარად მიაჩნდა აწმყოსათვის“, რომ იგი წინ იხედვ-
ბოდა და წინაპართა მზგავსად წარსულში არ ეძებდა თავის
იდეალს, თავდები იყო იმისა, რომ სულ მალე მონახულ
აუცილებლად შებრძოლი პოეტის სწორ გზას.

ამ ხანის მის პოეზიაში სკარბობს სოფლის თება და სამო-
ციანელთა მიერ დანერგილი პატრიოტიზმი. გლეხს იგი იცნობ-
და უშუალოდ, ამცრომ მის ლექსებში ეს თემა საკუთარ დაკ-
ვირებებთა აღქმითა განვითაცემული, ხოლო პატრიოტულ ლექ-
სებში უფრო ლიტერატურული ტრადიციის გავლენა მოსჩან.

თავის სამმობლოს ახალგაზრდა პოეტი ადარებს „დან-
გრეულ წმიდა ტაძარს“, „საღ ქებადქება სულს არ აჟაპობს.
გულს არ ახარებს“. ლექსში ირ. ევდოშვალი ღრმა ნალველის
და უამედობას გამოხატავს. სამშობლოსათვის, — გვეუბნებ-
პოეტი, — ცხოვრებას მთლად ჩაუკლავს სიცოცხლე და მწი-
რედ დასტირის იგი მოკლულ ძალას ცხოველმყოფელსაო. ირ.
ევდოშვილის პირველ ლექსებში ისმოდა მოთქმა „კელვ და-
ცუმულ საქართველოზე“, მაგრამ ეს თემა იმდენად ძლიერად
იქნა ჯამუშავებული და გაშუქებული აღრინდელ პოეზიაში.
რომ ირ. ევდოშვილის პირვანდელი ლექსების პატრიოტული
მოტივები რელიფიურად არ გამოიყოფოდა. ირ. ევდოშვალი,
როგორც პოეტს, ამ განცდების არ მიუქცევს ყურადღება.
მისა პოეზიის სიახლე გამოიხატა სწორედ მაშინდელი სოცია-
ლური ყოფის ღამახანათებლად ასახეაში. როცა როდიონ ევ-

დოშეილმა თავი დააღწია ინერტიულობას და მის ლექსებში საბრძოლო პათოსი შეიქრა და იმედიანი ხმა გაისმა—სწრაფად გახდა იგი პოპულარული პოეტი.

ჩ ა რ ი ჟ ხ ლ ი ს მ ა უ წ უ ე ბ ე ლ ი

მუშათა სტრესური მოძრაობა თანდათან ორგანიზებულ სახეს იღებდა. მარქსისტულად განათლებულ ინტელიგენციას სოციალ-დემოკრატიული იდეები შეპქონდა მუშებში. მუშათა ბრძოლაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა ამ ინტელიგენციაზე. სწრაფად ლვივდებოდა რევოლუციური მოძრაობა. იროდიონ ევდოშვილის მსოფლმხედველობაშიც მნიშვნელოვანი ევოლუცია ხდება. იგი თავის ჩანგის უღერას მთლიანად მუშათა ბრძოლის ხმას უკავშირებს და უერთებს. რამდენადაც პოეტი მჭიდროდ უკავშირდება ახალ მოძრაობას, იმდენად მის პოეზიაში მკაფიო ადგილს იქერს ახალი თემა, — თემა შრომის თავისუფლებისა, და რევოლუციური ოპტიმიზმი / „მას გული სტკივა თავისი ხალხის მძიმე მდგომარეობით, შომავალს იმეჯით შეპყურებს და სწამს, რომ „რაც არის აღარ იქნება... ხალხს გაუღიმებს დღის განთიადი“:

„მაგრამ მოვა დრო და სიტყბოებით
შენც გაგილიმებს დღის განთიადი,
იგი იქნება დრო განახლების...
დროი ბრწყინვალე, დრო დიადი!“...

იროდიონ ევდოშვილი მთლიანად საზოგადოებრივი ინტერესით იმსკვალება. იგი უარყოფს პოეტის ინდივიდუალურ სევდას. პოეტს საზოგადოებრივ მოქალაქედ სთვლის და მოითხოვს, რომ მას საზოგადოებრივი ჭირვარამით უცუმდეს გული. როგორ შეიძლება არ დამავიწყდეს ცრემლით წაბანი საკუთარი მკერდი, — ამბობს პოეტი, — როცა ვხედავ ჩემს

ირგვლივ მოძმეთა კვნესას, მაშერალი ხალხის მძიმე ტვირთ-შვეულ გმინვასო. ამ მოქალაქეობრივმა ონტერესმა აამაღლა პოეტი საზოგადოების თვალში და მაშინვე ხალხის აღიარებულ პოეტად გადაიქცა.

— არა, ნუ იშვევ სულს აყვავებულ ოცნების მხარეს, სა-დაც ადგილი არა აქვს ურვას, არც სიმწუხარეს, — მიმართავს პოეტი მუსიკას, — აბა რად მინდა ოცნებით ერთ წუთს ვსტკებოდე, მერე კი ისევ მწარე ცრუმლად ვიღვრებოდე, მე მინდა ჩემი ოცნებითაც იქ ვიყო, სადაც ხალხი არის და მის ტანჯვას ვიზიარებდეო.

იროდიონ ევდოშვილის პოეზიაში ახლაც გვხვდება სევდა, მწუხარება, ტანჯვა, მაგრამ ეს განცდები ახლა სხვა თვისებას იძენენ. ისინი კი არ აღუნებენ მკითხველს და მასში სულიერ დეპრესიას კი არ იშვევენ, არამედ, შურისძიების გრძნობას აღძრავენ და საბრძოლო განწყობილებებს აღვიძებენ მასში. ამიტომ ირ. ევდოშვილის შემოქმედების ამ პერიოდის „სევ-დიანი“ ლექსებიც შინაგანი ოპტიმიზმით არიან გამსჭვალუნი. მისი ასეთი ხასიათის ლექსების ლეიტონტივი მშვენივრადაა გაღმოცემული შემდეგ სტრიქონებში:

„ოხ, მეგობარო, უამსა მძიმება,
ოდეს ცრუმლები მოაწვეს თვალებს,
და, ვით ყორანი დაკოდილ არწივს,
შეაბედი მწარედ ჩაგიყრის ბრძყალებს,
ნუ, ნუ შედრები, ნუ დაეცემი,
სამარალისოდ ნუ გაიტეს გულს!
სხვა თუ არა-არა ცრუმლის ზღვა მაინც
დუხვირ ცხოვრებას ამოპხუთავს სულს!“

ლექსში „მოჩვენება“ (1895 წ.) ირ. ევდოშვილმა მომავალი მოქმედების ამოცანა გამოხატა. დალონებულ პოეტს, რომელიც დროთა სიავისაგან გულმოსული ფიქრებში იყო წასული, მშვენიერი ქალწული გამოეცხადა და გამოსავალ გზაზე

მიუთითა. „ოხვრა-ტირილი კერძოა შენ გარგებს, ვერც
ჯერადასა“ — ეუბნება ქალწული პოეტს. —

„აღსდექი, ყრმავო, გაღი ბრძოლადა,
უსამართლობას შენ შეეჭიდე
და ტანჯულ ერსა თვალზე ცრემლები
მით შეუშრალე და ჩამოშრიდე;
წამოაყენე სულდავრდომილი
და უგულისა ჩაუდე გული;
აღუგზნე ცეცხლი სიყვარულისა,
რომ სხვამ თავისად სცნოს სხვისი წყლული“...

ქალწული პოეტს ურჩევს გაბედულად იაროს თავისუფე-
ლების გზაზე და არავითარი დაბრკოლების წინაშე არ შედ-
რკეს:

„დევ, ხალხთა ბრძომ დაგდმოს, დავლახეროს,
არ დაიჩნიო გულს შიში, ძრწოლა,
პასუხი შენი მარად ეს იყოს:
„უკუღმართ სოფელს ბრძოლა და ბრძოლა“.)

„უკუღმართ სოფელს ბრძოლა და ბრძოლა“, — ასეთია
იროდიონ ევდოშვილის პოეზიის დევიზი. მის პოეზიას რეა-
ლური მოვლენების ჭირების, მასში ტიპოურის შეცნობის ძალა
ემატება; იგი ხედავს, რომ „ხალხის გულში სიმართლის ხმა
რფურჩქნება და მას ვეღარ აჭინობს ზამთრის სუსხი“.)

იროდიონ ევდოშვილის შემოქმედებაში გამოჩნდა პირვე-
ლად წარმოების მუშა და მისი ცხოვრების დამახასიათებელი
პხარეები. იროდიონ ევდოშვილი ქართულ მწერლობაში გამო-
ვიდა, როგორც პროლეტარიატის მხატვარი-პროპაგანდისტი.
მან თავის შემოქმედებაში წინ წამოსწია სწორედ მუშათა მოძ-
რაობისათვის დამახასიათებელი თემები, რათა ხელი შეეწყო
პროლეტარიატის პოლიტიკური გამოფხიზლებისა და მუშებში
კლასობრივი ბრძოლის მიზნების შეტანისათვის. ახალგაზრდა

პოეტი ეუბნებოდა მუშას, რომ დაფიქრებულიყო იგი, თუ რატომ ხდებოდა, რომ რასაც ჰქმნიდა, სხვას მიჰქონდა, მის ნაშრომს სხვა ითვისებდა, ეს სხვა ფუფუნებით ცხოვრობდა, თვითონ კი სიღატაკეში ღაფავდა სულს:

„რას უცერ, ძმაო ფანჯარაში მდიდრის ქულეჯას,
არა ჰგავს განა კონკადეცულს შენს ძელ ფარჯას?
შენ გააკეთო, შენ შექმენი, ძმაო, ეგ ფარჩა,
და რალაცა მანკანებით შენ კი არ დაგრჩა!
ის სხვამ წაილო, შენ გარგუნეს ეს კონკის ძველა,
ასე რათ ხდება? ჰყითხე შენ თავს მაინც ერთხელა!“

მხოლოდ მუშათა მოძრაობასთან მყიდროდ დაკავშირებულ ევლოშვილს შეეძლო ეგრძნო ის ცვლლებანი, რაც მაშინდედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხდებოდა. იგი მზად შეხვდა და დიდი აღფრთოვანებით შეეგება რევოლუციურ აღმავლობას. ქართული მწერლობა ირ ევლოშვილის წინაშე დავალებულია სწორედ იმით, რომ მის პოეზიაში აისახა პირველად და ძლიერად რევოლუციური ქარიშხლის მოახლოვების გრძნობა. მისმა მახვილმა პოეტურმა სმენამ შეიცნო შორეული ხმები განმათავისუფლებელი ბრძოლების ზეირთებისა.

„გრიალებს ქარი, გრიალებს,
ასკდება არებარება,
ხან ჩამოიკრის ბუხარში,
ხან მოაწყდება კარებსა.“.

პოეტის ლექსის სტრიქონებში იჭრება მხნეობისა და იმედის პათოსი, რაღაც მომავლის ურყევი რწმენა ასულდგმულებს:

„ვიცი რომ ბრძოლის შემდეგა
მზე გამოკრთება ცაზედა
და თავის სხივსა უმანქოს
აათამაშებს ნამზედა“.

რევოლუციონერი პოეტი არ კმაყოფილდება მარტო თავისი რწმენის გამოხატვითა და ფაქტების მხატვრული ფიქსაციით. იგი, როგორც პოეტი, უშუალო მონაწილე ხდება მუშათა ბრძოლებისა და რევოლუციისათვის თავდადებულთა ავანგარდში დგას. პოეტი წერს მძლავრი შემართებითი სულისკვეთებით აღსავსე ლექსებს, რომლებიც მუშებსა და რევოლუციურ მასებს გაბედული ბრძოლისაკენ მოუწოდებენ. ქართულ პოეზიაში ელვასავით გაანათა ირ. ევლოშვილის მიერ 1895 წელს დაწერილმა ლექსმა „მეგობრებს“. ამ ლექსით იგი პირდაპირ ბარიკადებისაკენ მოუხმობდა ხალხს, და, შეიძლება თქვას, თვით მოწინავე რევოლუციურ რუსულ პოეზიაშიც ამ პერიოდში იშვიათი იყო ასეთი მებრძოლი ხასიათის, ამაღლებული პათოსით გაუღენთილი და მხატვრული სრულყოფილობით დაწერილი ლექსი. ამ ლექსმა განსაკუთრებული პოეტურარობა მოუპოვა ევლოშვილს მუშებში. ეს ლექსი შეიქრა რევოლუციურ მასების ყოფაში და დიდხანს მღეროდნენ მას, როგორც საბრძოლო პიმჩის:

„მეგობრებო, წინ... წინ გასწით,
ნუ შედრება თქვენი გული,
დე, მეგადს სისხლის დალი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული
წინ, წინ, მედგრად შევებრძოლოთ
ჩარხუკულმართ ამ ჩვენ დროსა,
კირის ოფლში გავატაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა!“

ამ ლექსში მარტო ბრძოლისაკენ კი არ მოუწოდებს პოეტი. მან იცის, რომ იქ, სადაც ბრძოლაა, — შტრეიგბრეხერებიც არიან, არიან სულმდაბალნი, მშიშარნი, მლიქენელნი. მუშათა მოძრაობაშ იცოდა ასეთი გადაგვარებულნი, ხალხის საქმის მაღალატენი. რევოლუციონერი პოეტი მკითხველის ყურადღებას მათ მიმართაც ამახვილებს. „დე, უგვანო შვილთ კერპის

წინ ხარონ ქედი, — ფუ იმ ვაჟკაცს, ვინც ინატროს მათი სვე და მათი ბედი". მომავალი მათ თავისას მიუზღავს, „შეაჩვენებს იმათ საფლავებს, — სამარცხვინოს, საზიზღარსა,—ჩვეოკი წუ გვინდა ამისთანა სვე და ბედი, ბრძოლა იყოს ჩვენა ლხინი. სატრაფიალოდ — გულს იმედიო.

„მაშ უშიშრად შევებრძოლოთ
ჩარხუკულორთ ამ ჩვენ დროსა,
და ჩვენს რაზმს წინ წავუმდვაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა!“

ასეთი მოწოდებით ამთავრებს პოეტი ამ შესანიშნავ ლექსს. ამ ლექსში ჩვენ ეხედავთ პოლიტიკურად მომწიფებულ, მუშა-თა საბრძოლო ამოცანების კარგად მცოდნე პოეტს, რომელიც აუცილებლად ახლო უნდა მდგარიყო მუშათა მოძრაობასთან. ეს ის პერიოდია, როცა თბილისის მუშები ის-ის იყო ორაზმეუბოდნენ, იწყებდნენ პოლიტიკურ ბრძოლას თვითმკურობელობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ „მესამე დასძა“ რევოლუციური უმცირესობის ხელმძღვანელობით. ამ ბრძოლაში მათ წინ მიუძღვიათ „სიმართლის და ძმობის დროშა“.

მართალია, როგორც უკვე ვთქვით, იროდიონ ევდოშვილი ამ პერიოდშიც სწერდა სევდანარევ ლექსებს, მაგრამ ეს არ იყო სასოწარკვეთილების გამოხატულება. იგი ხედავდა მშრომელთა ტანჯვას, მათ მძიმე მდგომარეობას და გულისტკივრით აგვიწერდა მას, მაგრამ ასეთ ლექსებშიც იგი ამხნევებდა ტანჯვა-წამებაში მყოფ მეგობრებს, — „უამსა მძიმესა, ოდესი ცრემლი მოაწვება თვალს, — წუ, წუ შედრები, წუ დაუცუმი, სამარადისოდ წუ გაიტეს გულს“.

სევდა და ნაღვლისი განცდები თითქოს ბუნებრივიც იყო მგრძნობიარე პოეტისათვის. ირგვლივ საშინელება სუფევდა; მშრომელი მასები მატერიალურ სიღატაკეს განიცდიდნენ,

ზოელებული ცყვნეო ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს, სამშობლო პოლიტიკურ მონობაში ცყო. რას შეეძლო გაეხარებინა პოეტის გული, თუ არა მხოლოდ იმედს, რომელსაც აღუძრავდა ხანდახან გაელვებული მუშათა საბრძოლო ყიფინა. მშრომელთა ცხოვრების სულისშემხუთავი სურათების ხატვის დროს იმედს არასოდეს კარგავს. -- დედ მშეღვა, -- ამბობს იგი, — საბრძოლველად გამოიწვიოს ნატკენი გული, დედ. ცრემლებმა მორწყან ყამირი, მერე აღვალად გაივლის ბნულიო, და დასძენს:

„მე ამ იმედით აღფრთოენებული
სიამით განვევრეტ დიდებულ ხანას,
რომ მაშვრალ გულით ამოხეთქილი
გძინვა განთიადს ამცნებს ქვეყანას!“

იროდიონ ცედოშვილი თავისებური პოეტი ცყო და ძალი შემოქმედების შესწავლისას არ გამოგვადგება გაშაბლონებული მეთოდი — შევაფასოთ იმის მიხედვით თუ რამდენი ლექსი აქვს დაწერილი პათეთიკური და რამდენი სეცდიანი. ჩვენ უპირველესად უნდა გვარჩტერესებდეს მასი პოეზიის ძირითადი თვისება. ჩევოლუციონერი პოეტის შემოქმედებითი კრედოს გასაგებად საკმარისია გავითკალისწინოთ მასი ლექსი „გავჩუმდე“. ამ ლექსში პოეტი გვეუბნება, რომ იგი შეიძლია თავისი ეპოქისა, მაგრამ ურჩი შვილი, რომელიც ვერ შერიგებია და ვერც შეურიგდება არსებულ სინამდვილეს, ვერ შეურიგდება მშობელ ეპოქას: იბრძოლება იგი ამ დროის შესაცელელად, რომელმაც ჭარბოშვა, და რომ არ იბრძოლოს არც შეუძლია, რადგან გული მისი აღვსილია ბოლმით. მას სწყურია ლალი ცხოვრება, მიალტკა ვ. ცხავ-

რებლიაკენ და არაფერს ძალუძს შეაჩეროს მისი ეს მისურა-
ფება:

„მე დროს შეიღი ვარ, მაგრამ უჩჩი ჩემი მშობლისა,
დავკმობ მე მასში ჩაც ლირისია კრულვა-გმობისა!
გაუჩინდე? თითქოს ხელთა მქონდეს მე ჩემი გული,
განა თქვენ ძალგიძთ დაამშვიდოთ ზღვა აგზებული?!”

თვით იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება შეიცავ-
და წინააღმდეგობებს და არ შეიძლებოდა პოეტის შემოქმედე-
ბაში მას თავისი გამოხატულება არ ეპოვა. მაგრამ იროდონ
ევდოშვილი ამ ხანაში მაინც წარმოგვიდგება ერთგვარად
მთლიან პოეტად, — ვაჟყაცური შემართების პოეტად, პოე-
ტად, რომელიც უმღერის სიმართლის და შრომის დროშას,
ადიდებს გმირობას, ხალხისათვის, მშრომელი მასებისათვის
თავდადებას.

იროდონ ევდოშვილის გმირი შეუპოვარი და ზვიადია,
მან, როგორც ხალხის შეილმა და ხალხის მოჭირნასულება,
იცის თავისი თავის ღირსება და ამ ღირსებას იცი არასიდეს
არ შეარცხვენს. „და ვიდრე გმირებს გული უცემთ ხალხთ
სიყვარულით, — გვეუბნება პოეტი, — ძირს არ დაუშვებს
საბრძოლველად ამართულ ხელებს“.

და ყველაფერ ამას პოეტი წერდა მაშინ, როცა მუშათ
მოძრაობას ჯერ კიდევ არ მიეღო მყაფიო პოლიტიკური ხა-
სიათი. მართალია, საქართველოს მუშათა კლასის გამოფხიზ-
ლება იწყება გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან,
თანდათან იზრდება მუშათა გაფიცვები და ეს გაფიცვები
ოთხმოცდაათიანი წლებისათვის, რამდენადმე ორგანიზებულ
ხასიათს იღებს, რაც იმას მოწმობდა, რომ განვლილი ბრძო-
ლების გამოცდილების შედეგად მოწინავე მუშებს უკვე შეეგ-
ნოთ, რომ ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეთა წინააღმდეგ სა-
ჭირო იყო გაერთიანებული მოქმედება, მაგრამ მათ ჯერ კი-
დევ როდი ესმოდათ თავიათი კლასობრივი ინტერესები. თა-

ვიანთა ისტორიული როლი. მათ აკლდათ რევოლუციური შეგნება. ეს იყო მუშათა მოძრაობის სუსტი მხარე მაშინ. „მესამე დასის“ უწრავლესობა, წარმოადგენდა რა ლეგალურ-მარქსისტულ. ოპორტუნისტულ მიმდინარეობას, უარყოფდა მუშათა კლასს ფართო მასებში პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლას, პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციის აუცილებლობას და კმაყოფილდებოდა ლეგალურ პრესაში მარქსიზმის პროპაგანდით და ვიწრო წრეობრივი საგანმანათლებლო მუშაობით. ისინი არსებითად წინ ეღობებოდნენ მუშათა მოძრაობის ფართო პოლიტიკურ რელებზე გადასვლას, აფერხებდნენ მუშათა მასებში რევოლუციური შეგნების შეტანას. მაგრავ ლეილურმა პარქსისტებმა მალე დაკარგეს „ნდობა“ და „გა-ლანა“ (თუ კა მათ ასეთი ჰქონდათ) მოწინავე მუშებში. 1898 წლის ავენიტოში ამხანაგი სტალინი შევიდა „მესამე დასში“ და მის მუშაობაში სიახლე შეიტანა. „მესამე დასში“ მაშინ კერძისახა და ჩამოყალიბდა რევოლუციური უმცირესობა—მარქსისტულ-ლენინური ჯგუფები.

„უმცირესობა (ამხანაგები: სტალინი, კეცხოველი, წულუკიძე) „მესამე დასში“ უმრავლესობასთან გადამჭრელ ბრძოლაში, — ამბობს ამხანაგი ლავრენტი ბერია, — აფართოებს რა თავის გავლენას მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებში 1899-1900 წლებში, ახერხებს თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის გადაყვანას ვიწრო საწრეო პროპაგანდიდან მასობრივ აგიტაციაზე და პოლიტიკურ ბრძოლაზე თვითმეცნილობის წინააღმდეგ“.)

ამიერკავკან თბილისის, საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობაში სწრაფი გარდატეხა იწყება. იგი უდიდეს პოლიტიკური აღმავლობის გზაზე დგება. „მესამე დასის“ რევოლუციური უმცირესობის ხელმძღვანელობით

¹⁾ ი. ი. ლ. 3. ბერია—„ამიერკავკასიის გოლშევიკური თრგანიზაციაზე“ ისტორიულ საკითხისათვეს“, გვ. 17.

თბილისის ფაბრიკებსა და ქარხნებში, რეინიგზის მთავარ სა-
ხელოსნოებში, დეპოში და „კონკაზუ“ ეწყობა მთელი რიგი
დიდი გაფიცვები, რომლებიც აშკარა პოლიტიკურ ხასიათს
ატარებდნენ. 1899 და 1900 წლებში თბილისში, ქალაქების
მიაჩინება პირველ მასობები, ხოლო 1900 წლის აგვისტოში
ამხანაგ სტალინის მეთაურობით მოეწყო თბილისის რეინიგზის
სახელოსნოებისა და დეპოს მუშების გრანდიოზული გაფიც-
ვა, რომელმაც ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა ამიერკავკა-
სისა და მთელი რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

ამ გაფიცვას დღიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საზოგადო-
ებრავი აზროვნების განვითარების, მისი პროგრესის თვალ-
საზრისით.

„თბილისის მთელი მუშა მოსახლეობა, — ვკითხულობთ
ერთ-ერთ იმდროინდელ პროკლამაციაში, — ფეხზე დადგა,
ყველანი აღელვებულნი არიან, გაიფიცნენ. რატომ?

იმიტომ, რომ მათ თანდათან შეიგნეს თავიანთი ინტერე-
სები!...“

მეორე პროკლამაციაში ვკითხულობთ:

„...ახლა, ძმებო, ერთსულოვნად ვიდგეთ ჩვენს მოთხოვ-
ნებზე და ვუჩვენოთ ჩვენს სისხლისმსმელებს და მთავრობის
მაჩანჩალებს, რომ შათ საქმე აქვთ არა უბადრუკ მონებთან
და პირუტყვებთან, არამედ ადამიანებთან, რომელთაც უნარი
შესწევთ მოითხოვონ, უნარი შესწევთ იბრძოლონ, და თუ სა-
კირო იქნება, ეწამონ კიდეც წმინდა საქმისათვოს!

ერთსულოვნად გავჭიოთ წინ, გამარჯვებისაკენ, ამხანა-
გებო!“ .

ამ დიდმა მოვლენებმა საქართველოს პროლეტატის
ცხოვრებაში დადგებითი ზეგავლენა მოახდინეს პოეტზე, რო-
მელმაც თავიდანვე თავისი კალამი მშრომელი მასების სო-
ციალური ინტერესების სამსახურში ჩაყენა. მეგობრებო, წინ,
წინ გასწით, ნუ შეღრება თქვენი გული, — ამხნევებდა ადრე

რგი მკითხველს. ახლა უკვე ჩეცოლუცის ქარიშხა და გადატყუბებს და ძველი ბურუუაზიული ქალაქის კონტრასტულ სურა-
თებს გვიხვატავს. გვიჩვენებს კლასობრივად დაყოფილ საზოგადოებას, სადაც ერთი ბედნიერები არან. მეორეზე კი კუ-
პირვებულნი, მშერ-მწყურვალნი. ლექსში „საღამო ქალაქში“
დახატულია ლამაზი, მთვარიანი საღამო. „დიდი ქალაქი, ტურდა
ქალაქი, ლელავს ვითა ზღვა ქარიშხლიანი“, ქალაქის ცენტრში
თვალს იტაცებს ფარჩის შრიალი, ვაჭართ მეჯლისი, — განცე-
უბნებში კი, — სადაც მუშები ცხოვრობენ, — შიმშილა და
გაჭირვება: „აქ გლახა ლუქმას ყიდულობს ცრემლით. 330-
უბნება პოეტი, — იქ სატრფო—სატრფოს უკოცნის ტუჩებს“.
აი, როდალმაც დაიგრიალა, თოთქოს სრმის მოხუდა სხიდი მოვა-
რისა. მშვიდმა საღამომ, ტებილმა საამომ, სჩანს, ვიღავას გუ-
ლი წახალისაო“, და მიმართავს ამ განცხრომაში მყოფა,
მდიდრებს: ბედნიერებო გამოდით გარეთ, მხოლოდ თქვენ-
თვის ანათებს მთვარე, შენ საწყალო კი — ამ მეჯლისიდან
გაიპარე, ნუ შეჰყურებ მას, თორემ ტკივილებსა და წყლუ-
ლებს აგიშლისო:

„ბედნიერებო, ტურფა საღამოს
ეხოლებდ თქვენთვის, ანათებს მთვარე-
შენ კი, საწყალო, არ გაქვს ადგილი,
ამ მეჯლისიდან, სჯობს გაიპარე!
გარშმუნებ ძმო, მწვავე იყრა
გულს აგეშლება და გაგამარებს,
ეს ტურფა ლამე თვით ოცნებაში
შავსა ნაღველსა შემოგაპარებსა“

ეს ლექსი უშუალო შთაბეჭდილებათა ნაყოფია და ამიტო-
მა ასე ძლიერი სულიერი განცდით დაწერილი. — ბედნიე-
რებო, დარბაზებიდან გარეთ გამოდით, გადაპხედვთ ქალაქს.
გადაპხედეთ ქვეყანას და ნახეთ რა მძიმე და აუტანელ მდგო-
მარეობაშია ხალხი. პოეტის ამ შეძახილში ისმის სოციალური

შურისძიების მდლავრი ხმა, ხმა, რომელიც მიმართული იყო აჯეული და ასეული აღამიანების გამოსაფხისლებლად.

იროდათ ევდოშვილის მთელი თანაგრძნობა მიმართულია პოლიტიკურად და სოციალურად დაჩაგრული ასეულებისა და ათასეულებისადმი, იგი მათი სულიერი განცდების მხატვარია, მაგრამ არა მშვიდი მხატვარი, არამედ ბობოქარი თანამგრძნობი და ბშთოთვარე მაძებელი გამოსავლისა. ამ ბნელ ღამეში, — მიმართავს მუშებს პოეტი, — მოიგონეთ შორით მორბედი განთიადი, მომავალი სხივები მზისა, ღროშა სიმართლის და გეირგვინი სიყვარულისა და იმედს გაუსხენით გული, რათა კვლავ შეგწევდეთ ძალა ბრძოლისა:

„მოიგონევით განთიადი ამ ბნელ ღამეში,
შორით მორბედი მომავალი სხივები მზისა,
მაღლმოფენილი ღედამიწა ყვავილ-ვარდებში,
ღროშა სიმართლის და გვირგვინი სიყვარულისა!
მოიგონევით უბედურნ, რომ ტანჯულ სულა
იმედმა მაინც მწარე ხვედრი შეუმსუბუქოს
და განთიადსა გაუსხენით კარი გულისა
რომ წყლულებიდან ძალაშ კვალად ამოიფეთქოს!

პოეტს სწამდა „შორით მორბედი, მომავალი სხივები მზისა“, მას შინაგანათ ესმოდა რევოლუციური ქარიშხლის ხეა და ლექსში „სიმღერა“ ქვეყანას აუწყებდა იგი ამ ხმას.

„და, ბურ გაჭიოდეს, სდარაჯობდეს წყვდიად ლამეს,
გველ-ბაყაყიც აიშალნენ და მოედვენენ არემარეს,
მირც ელით განთადა, გაიპნევა ლამე ბნელი.
მა - სხივებზე აყვავდება, შეიძენა მთა და ველი“.

ეს ლექსი („სიმღერა“) გამოხმაურება უნდა იყოს სწორედ 1900 წლის აგვისტოს თბილისის მუშათა გრანდიიზული პოლიტიკური გაფიცესა, რამაც მთელი ამიერკავკასიისა და რესეთის უცრანლება მინქცია, და რაც იმდროინდელმა ხელის-

უფლებმა შეაფასეს, როგორც თვითმპურობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ამბოხება.

პოეტმა მუშათა ამ გრანდიოზულ გაფიცვას განთიადის მოციქული ქარიშხალი უწოდა და აღფრთოვანებული სტრიქონები უძღვნა:

„უკვე ადგა ქარიშხალი
და გრიალებს კიღით კიდე,
რომ ცას პირზე შეახის
სუდარა და შავი რიდე!
უკვე ადგა ბრაზით სავსე,
შაშაცი და ფრთა მეღგარი,
რომ განთიად გადაუხსნას
შიჯაჭვული კლიტით კარი!“

ასე აუწყა პოეტმა თავის ხალხს მეოცე საუკუნის გარიერაზე ქარიშხლის დასაწყისი, რევოლუციის მოახლოვება.

1900 წლის აგვისტოს ისტორიული გაფიცვა დამარცხდა, მაგრამ ეს არ იყო საბოლოო დამარცხება და მას არც უკვალოდ ჩაუვლია. სტალინურმა გაზეთმა „ბრძოლამ“ ამ გაფიცვას ასეთი შეფასება მისცა: „აი, ამ წუთოდან მუშათა მოარრაობა ჩვენში მტკიცედ ადგება პოლიტიკური ბრძოლის გზას... ჩვენი მუშები და მთავრობა პირისპირ დაუდგნენ ერთმანეთს და სამყვდრო-სასიცოცხლოდ შეეტაქნენ. რაღა თქმა უნდა, პირველ შეტაქებაშივე სრული გამარჯვება ძალიან ძნელი იყო მუშათათვის და აღრე თუ გვიან იძულებული უნდა გამხდარიყვნენ იარაღი დაეყარათ. ეს კიღეც ასე მოხდა: მუშებმა მართლაც დაყარეს იარაღი, თოთქოს დამარცხდნენ. მაგრამ ეს დამარცხება ბევრ გამარჯვებას აღემატებოდა თავისი მნიშვნელობით და შედეგებით. ეს დამარცხება ერთნაირი გამარჯვება იყო დამარცხებულთათვის; ყოველ შემთხვევაში ეს დამარცხება მომასწავებელი იყო გამარჯვების მოახლოებისა... და მარც ხდნენ რა მუშები გუშინ, ამით მათ გამარჯვება მოიმზადეს დღეისათვის“ (გაზ. „ბრძოლა“, № 2-3).

ცნობილია თუ რანაირად გაუსწორდა მეფის მთავრობა ვაფიცულებს. რვაასზე მეტი მუშა დაპატიმრეს. აქედან სამას-ზე მეტი ეტაპით გადაასახლეს შორეულ ციმბირში. სწორედ ამ პთაბეჭედილებას გადმოგვცემს პოეტი ერთ მაშინდელ ლექსში, საცა წერს:

„ჩე! შეკრთა ქერძი... ეს არ იყო ხმა მუსიკისა
მდიდარ დარბაზის სარემულიდან გამოკეტილი,
არა, უღარუნებს რკინის ჯავჭი, მოდის ბორკილი,
მოდის, უღარუნებს ხელფეხებზე გამოკედილი!“

არ შეიძლება ამ დიდ ამბებს არ აღეგზონ პოეტი. იგი და-
ვშეიდებული ვერ შეხვდებოდა მუშების ასეთ მასობრივ და-
ჯას, დაპატიმრებას, გასამართლებას, გაღასახლებას. პატიმარ-
თა ბორკილთ უღარუნი მისი გულის ქვითინს უერთდება, მაგ-
რამ პოეტი ჯანსაღად აფასებს მოვლენებს და სინანულს არ
ვანიცუდის, გულში კვლავ რედის ცეცხლი ულვივის და სწამს,
რომ ბორკილთ უღარუნი მიღიონებს გამოაღვიძებს:

„დევ, ვერ ნახო! შეგობარი მოლლიქა მკლავშა,
დევ, ცხოვრებამ გადამთელოს, ჩამთქას ჟაფლავშა,
ვაინც იმედის ნაპერწკალი არ გამიქრება,
თუ ჩემი ჩანგი ვისაც უკვენესს, მის გულს მიწვდება!“

შემოდგომაში თუმცა მზეს ნისლი მოახვია. მაგრამ პოეტს
ვაინც სჯერა:

„გაზაფხულის პირველი მზე
კვლავ გაგვიშლის ფერად დროშას,
ახლა ძაბით შებურვილსა,
კვლავ სხივებით შეგვიმოსავს“.

ამაყად და სრული შეგნებით ამბობს იროდოონ ევლო-
შვილი:

„ჯერ კიდევ ვუმღერ მე ჩემს დილასა,
ჩემსა განთიადს ვეალერსები,
ჯერ კიდევ შემწევს ძალა და ლონე,
არ დამიშვია მე ძირს ხელები!“

ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ პოეტმა პირველი ბრძოლების დროებითი დამარცხების შემდეგაც შეინარჩუნა ოპტიმისტური განწყობილება, ჯანსაღად შეაფასა მოვლენები, ხელი არ ჩაიქნია მომავალზე და კვლავინდებური რწმენთა და ალფროთოვანებით განაგრძო სიმღერა მომავალი განთიადისა. ცხოვრება მრავალ სიმწარეს ასმევდა, მაგრამ მაინც თამამად მიჰყვებოდა იგი რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას. შთაგონებით უმღეროდა მუშათა სამართლიან ბრძოლას, შრომის თავისუფლებას. მის პოეზიაში მაგრად იყიდებს ფეხს მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება, საზოგადოებრივი უტილიტარზიმი. ცრემლი დავლვაროთ ორთავეშ.—ეუბნება პოეტი თავის ჩონგურს,—ეს ხომ ლაპირების წესია:

„ან ჩა დროს ქებად-ქებაა
გაზაფხულის და იასი,
კორდებზე გალალებული
ბულბულის ტია-ტიასი!
არა, ამ მწუხარ ღამეში,
გარს რომ მოისხა ვარდები,
შაშინ, ჩონგურო სიმწარით
ხელიდან გამიგორდები.
არა, ისევ და ისევა,
ისევ მას დავკრავ სიმებსა,
რაც რომ სიმწარით ნალველა
შეაკრთობს. გაალეთება“.

სწორედ საზოგადოებრივი უტილიტარიზმი, საზოგადოებრივი მოავლეობის მაღალი შეგნება მატებდა ძალას პოეტს და მის შემოქმედებას ცხოველმყოფელი ენერგიით აქსებდა. იგი ღრმად სწორებოდა ცხოვრების შინაგან მოვლენებს და სჭირებული ხალხის მომავალ საბრძოლო ამქუხარებას. სრულიად ბუნებრივია, რომ მხოლოდ იროდიონ ეკლოშვილს მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის მომღერალ პოეტს შეეძლო, იმავე დროს, განეჭირიტა თავისი სამშობლოს ტურთა მომავალი, რადგან ამ მომავალს იგი განუყრელად

უკავშირებდა მუშათა განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. სხვა ძალა მისთვის მაშინ არ არსებობდა, არც შეიძლებოდა არსებულიყო. ამ ძალის შთაგონებით იყო, როცა ამბობდა:

„გალობს ბულბული... ხალხი იღვიძებს,
დაგვიდგა უამი გაზაფხულისა...
მთელდება წყლული მრავალტანჯულის
ჩვენის ივერის ტურფა გულისა.
მთელდება წყლული, მას ვმირი-ვმირზე
წამლად, მალამირ ედება ზედა.
აღზღექ, ამხედრო, ხალხო ტანჯულო
და გილაშქრე ბრძოლის ველზედა!“

დიახ, მთელი ათი წლის მანძილზე პოეტი აღტაცებით უმ-
ლეროდა განთიადს, იგი აუწყებდა ხალხს ქარიშხლის მოახლო-
ებას და გული იმედით უცემდა. პირველი რევოლუციის წინა
დღეებში რეალისტი პოეტი ამაყად გაპყურებდა სევდით
მოცულ არემარეს, სადაც ბუნების ცრუმლსა და კაეშანს ბუს
გულსაკლავი კვნესა უერთდებოდა, მაგრამ იგი არაფრად აგ-
ზებს „ბუნების გლოვას“, კაეშნით დაბურვილს „მალლა ცასა
და დაბლა ბარს“. ბნელით მოცულ არემარეში მან გაზაფხუ-
ლის სხივი შეიცნო და გულში სამუდამო იმედი ჩაესახა:

„გულში, გულში გაზაფხულის
სხივმა დაპკრა, გაიცინა
და იმედმა, ფრთაშესხმულმა,
აღმადგინა, აღმაფრინა!
ქარი კვნესის, ჩანგი მღერის,
სიხარულით თრთოლავს გული,
ეს პირველი სხივი არის:
შეგობრებო, გაზაფხული!“

ეს იყო პირველი რევოლუციის წინა დღეებში, როცა რუ-
სეთ-იაპონიის ომმა კიდევ უფრო გაამწვავა კლასობრივი წი-
ნააღმდეგობანი და გაზარდა რევოლუციური მოძრაობა მთელს
რუსეთში. ამ ომთან დაკავშირებით რ. ს. დ. მუშათა პარტიის

კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტი თავის ერთ-ერთ
სტალინურ პროკლამაციაში მუშებს, მშრომელ მასებს მოუ-
წოდებდა: „...მაშ, ჩვენ გამოვიდიძოთ, ამხანაგებო, გამოვიღ-
ვიძოთ და ვიმოქმედოთ! დრო საშურია!... ვისურვოთ, რომ ეს
ომი ყირიმის ომზე უარესი შეიქნეს რუსეთის თვითმპურობე-
ლობისათვის... მაშინ ბატონიშვილი დაიმხო, ახლა, ამ ომის შემ-
დეგ-კი ბატონიშვილის ღვიძლი შვილი — თვითმპურობელობა
თავის აყროლებულ მძოვრ პოლიცია-ჯანდარმებით დავმარ-
ხოთ ესურვოთ ეს, — და კიდეც ვიმოქმედოთ ამხანაგებო“.

ცნობილია, რომ ბოლშევიკები და მენშევიკები სხვადასხვა
თვალსაზრისზე იღვნენ ომისადმი დამოკიდებულების საკითხ-
ში. მენშევიკები მეფის, მემამულეთა და კაპიტალისტთა „სამ-
შობლოს“ დაცვის პოზიციებზე დადგნენ, ბოლშევიკები კი
ფიქრობდნენ, რომ რუსეთის დამარცხება ომში დასუსტებდა
თვითმპურობელობას და ფართოდ გაუხსნოდა ხელ-ფეხს რევო-
ლუციურ მოძრაობას. ასეც მოხდა. მეფის ჯარების ზედიზედ
მა წარუმატებლობამ ხალხის უფართოეს მასებს აშკარად დაა-
ნახა ცარიზმის სიდამპლე. მასებში დღითი დღე იზრდებოდა
თვითმპურობელობის სიძულვილი და მის წინააღმდეგ ბრძო-
ლის სულისკვეთება.

წინააღმდეგ მენშევიკებისა, რომლებიც მუშათა კლასის ინ-
ტერესებისადმი აშკარა ლალატის მოლიპული გზით დაეჭანენ,
ბოლშევიკები მასებს თვითმპურობელობის დასამხობად რაზ-
მავდნენ. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაცია, ამხანაგ
სტალინის ხელმძღვანელობით, მოუწოდებდა მშრომელ ხალხს
„გამოვიღვიძოთ და ვიმოქმედოთო“. პოეტი იროდიონ ევდო-
შვილიც ამ პერიოდში რევოლუციური მოქმედების თვალსაზ-
რისზე იდგა. მთელ რიგ ლექსებში იგი ზიზლს გამოსთქვამდა

მოღლილებისა, ლიბერალებისა და შემარცვებლების წინააღმდეგ, მისი ლუქსები მგზნებარე ნალარასავით აღვიძებდა ხალხს:

„გაფრინდი, ფიქრო, სალაში
შეგობრებს მიე გულისა,
უთხარ თან გამყვა იმედი
იმათი სიყვარულისა.

„გაფრინდი ფიქრო, სალაში —
შეგობრებს სიყვარულისა,
უთხარ რომ გამოილვიძოს
იმედმა გაზაფხულისა!“

ამხანაგ სტალინს ხელმძღვანელობით ჩევოლუციურმა მოძრაობამ ამიერკავკასიაში ფართო გაქანება მიიღო. „1904 წლის დეკემბერში ჩატარდა ბაქოს მუშების გრანდიოზული გაფიცვა, რომელიც გაგრძელდა 13-დან 31 დეკემბრამდე და დამთავრდა რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველი კოლექტიური ხელშეკრულების დადებით წავთის მჩერველებთან“ (ლ. პ. ბერია).

„ზაქოს გაფიცვა გადაიქცა ამიერკავკასიისა და რუსეთის მთელ რიგ რაიონებში ჩევოლუციური აღმავლობის დასაწყისად“. „...—ბაქოს გაფიცვა მთელ რუსეთში იანვარ-თებერვლის სახელოვანი გამოსკლების სიგნალი გახდა“ (ი. სტალინი). „ეს გაფიცვა, — წათქვამია საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში, — თითქოს იყო კექა-ქუხილის წინამორბედი ელვა დიდი ჩევოლუციური ქარიშხლის წინ“.

სწორედ ამაზე შეეძლო ეთქვა პოეტს:

„მთას ბურუსი შემორტყმია,
ნისლს ბინდორი დაუფარავს,
ქარი გმინავს და ბობოქრობს,
არემარეს აკრთობს, ზარავს!“.

ქართველის მომღერალი

(იროდიონ ევდოშვილმა, როგორც მუშათა კლასის მებრძოლმა პოეტმა, სახელი და სიყვარული პირველი რევოლუციის წინა ხანაში მოიპოვა. სამწერლო სარბიელზე გამოსვლისთანავე ყურადღება იმით მიიქცია, რომ მან ქართულ პოეზიაში ახალი თემები და მოტივები შემოიტანა. მან პირველმა დახატა წარმოების შუშისა და კატიტალისტური ექსპლოატაციისაგან გაღატაკებული იდამიანების სახეები, მათი შეურიგებელი, არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობისადმი მტრული სულისკვეთება. იროდიონ ევდოშვილის საბრძოლო პათოსით აღმოჩნდილი ლექსები კვალდაკვალ მისდევდნენ მოვლენებს და უშუალოდ ეხმაურებოდნენ რევოლუციური მასების მზარდ მოთხოვნილებებსა და განწყობილებებს.)

იროდიონ ევდოშვილის პოპულარობის საფუძველი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ მან ყველაზე უკეთესად გამოხატა მაშინ ქართულ პოეზიაში პირველი რევოლუციის ეპოქის მოწინავე მასების სულისკვეთება, რომ რევოლუციურ პოეზიას მოუნახა შესატყვისი რიტმი, ხალხის სამეტყველო, მოწოდებითი ფორმა, რომელიც, იმავე დროს, ადვილად ეგუებოდა მასობრივი სიმღერების ფორმას.

იროდიონ ევდოშვილი იყო ათას ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის მგზნებარე მომღერალი. ასეთად შევიდა იგი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ჩვენ დავინახეთ თუ როგორი უშუალობით გამოხატავდა იროდიონ ევდოშვილი თავის ნაწარმოებებში მშრომელთა ინტერესებს, მათს საბრძოლო მსწრაფებას მუშათა მოძრაობის აღმავლობის მთელს მანძილზე, ჯერ კიდევ ცხრაას ხუთი წლის რევოლუციამდე. მაგრამ, როცა 1905 წლის 9 იანვრის შემღებელ მუშებისა და რევოლუციური გლეხების განმათავისუფლებელი მოძრაობა, მათი გაფიცვები და ფჯანყებები მთელს რუსეთს მოედო, იროდიონ

ევდოშვილის შემოქმედებითს ცხოვრებაში უჩვეულო გააქტი-
ურება დაიწყო, ფრთხები შეისხეს მისმა ძმელებმა. პოეტმა
თვალებში შეხედა განთიადს და მისი ლექსის ყოველი სტრი-
ქონი მძლავრი შემართებითი პათოსით გაიმსჭვალა.

პოეტის სამშობლოში რევოლუციამ მძლავრად გაშალა
მხრები. საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში მუშათა გაფიც-
ვებს წმინდა პოლიტიკური ხასიათი ჰქონდათ. გლეხთა რევო-
ლუციურმა მოძრაობამ ხომ განსაკუთრებით ფართო ხასიათი
მიიღო. „გლეხთა მოძრაობა, — წერს ამხანაგი სტალინი სა-
კავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში, — სულ უფრო
და უფრო ფართოვდებოდა რუსეთის ცენტრში, პოვოლუიეში,
ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში“.

ამ ისტორიულ ეპოქას მხატვრულ მწერლობაში თავისი მე-
სიტყვე უნდა ჰყოლოდა და ეს მესიტყვე სწორედ იროდიონ
ევდოშვილი იყო, რომელმაც მთელი მიმდინარეობა შეკვეთია
მაშინ. პოეტის ყველა საუკეთესო აღრინდელი ლექსი: განსა-
კუთრებით ათი წლის წინათ დაწერილი ლექსი „მეგობრებს“
ზეპირად იცოდნენ მუშებმა, გლეხებმა, მოწინავე მოსწავლე
ახალგაზრდობამ.

საბჭოთა ეპოქის გამოჩენილი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვ-
სკი ხშირად აღნიშნავდა თუ რა გატაცებით ეწაფებოდნენ მო-
სწავლეები ირ. ევდოშვილის ლექსებს, როგორ უყვარდათ მათ
ძინი და რა გამარევოლუციონერებელ ზეგავლენას ახდენდა
ევდოშვილის პოეზია, საერთოდ, მასებზე. ვლ. მაიაკოვსკიმ ზე-
პირად იცოდა ირ. ევდოშვილის მთელი რიგი ლექსები და
როცა პირველი რევოლუციის მშთოთვარე დღეებს გაიხსე-
ნებდა, მაშინვე ზეპირად წარმოსთვალით ხოლმე:

„მეგობრები, წინ, წინ გასწით,
წუ შეღრეუბა თქვენი გული
დე, მეტედს სისხლის დალი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული

ზინ, წინ შედგრად შევებრძოლოთ
ჩარხულმართ ამ ჩვენ დროსა,
გირის ოფლში გავატაროთ
სიძართლის და ძმობის დროშა!“

ამით ვლ. მარჯოვსკი აღნიშნავდა იმ კეთოლმყოფელ გა-
ლენასაც, რაც იჩოდიონ ევლოშვილის პოეზიაშ მის მომავალ
შემოქმედებაზე მოახდინა.

(იჩოდიონ ევლოშვილი რევოლუციის ნამდვილი ტრიბუნია
იყო. წერ, როგორც უკვე ვთქვით, წერდა პათეთურ ლექსებს,
რომლებიც გამსჭვალული იყვნენ შემართებისა და შურისძიე-
ბის გრძნობით. როცა პოეტი ამ ლექსებს წერდა, მას სრულია-
დაც ფიქრად არ ჰქონია, რომ მათ ხალხი იმღერებდა; იგი
თავისი ლექსებისათვის ეძებდა მხოლოდ მოწოდებითს, უშუ-
ლო მიმართვის ფორმას, რაც გამოღვიძებულ და საბრძოლვე-
ლად ამდგარ მასებზე ძლიერ გავლენას ახდენდა. გაგრამ ქუ-
ჩებში გამოსულ ხალხს თავისი საბრძოლო სიმღერებიც ესა-
ჭიროებოდა და იგი ევლოშვილის ლექსებს თვითონ გამოუნა-
ხავდა ხოლმე შესაფერ ჰანგებს. სრულიად ბუნებრივი იყო,
რომ 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში არც ერთი პოეტი არ
ყოფილა ისეთი პოპულარული, როგორც იყო ევლოშვილი.
თვითმპურობელობისა და კაპიტალისტების ბატონობის წინა-
აღმდეგ მებრძოლ მასებს იგი სამართლიანად მიაჩნდათ თა-
ვიანთ პოეტად, რადგან მის ნაწარმოებებში ისინი ხედავდნენ
თავიანთი მღელვარე ფიქრების ყველაზე მკვეთრ გამოხატუ-
ლებას.

1905 წლის რევოლუციაშ ხელი შეუწყო აგრეთვე პოეტის
მთელი შემოქმედებითი შესაძლებლობის მომწიფებასა და გა-
მომქონებას. როგორც მწერალი, მთლიანად იგი ამ ხანაში
ჩამოყალიბდა. მგზნებარე რევოლუციურ ლექსებს გარდა მას
კალაბს ეკუთვნის უამრავი თარგმანები, მოთხოვნები, მძაფრ:
სატირული ნაწარმოებები; ამავე პერიოდში დაწერა მან
მახვილი იუმორისტული პიესა „მწვანე სუფრა“ და სხვ.

პოეტის მთელი შემოქმედება ერთი დიდი მიზნით იყო გამსცევალული. როგორც ორიგინალური წარარმოებები, მაგრამ გმანები თავიანთი შინაარსითა და იდეური მიზანდასახულობით მასების დარაზმვასა და საბრძოლველად აღძვრას ემსახურებოდნენ.

იროდიონ ევდოშვილი ამ პერიოდის წარარმოებებში გვიხატავს საზოგადოებრივი ცხოვრების ტიპები, დამახასიათებელ სურათებს. მას არ გამოპარვია თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც არ გამოშმაურებოდეს. პოეტი ძალიან ახლო იდგა ხალხთან, კარგად იცნობდა მუშებს, გლეხებს, მათს მდგომარეობასა და სულიერ ცხოვრებას. ამიტომ, როცა ვეცნობით მის შემოქმედებას, ჩვენს თვალწინერთვგვარი თანამიმდევრობით ცოცხლდებიან იმდროინდელი ამბები.

1905 წლით დათარიღებულ ლექსში „სურათი“ პოეტი ასახავს რევოლუციის წინა დღეებს. ლექსში მთავარ ლირიკულ ჯმირად გამოყვანილია მოწანავე გლეხი, რომელიც ხალხს ბატონების წინააღმდეგ აჯანყებს... ზაფხულია. გლეხი მინდორში ყანას თიბავს. შრომისაგან დალლილი მუხის ქვეშ ჩამოჯდება დასასვენებლად და თან „ნამგალს წყნარად ლესვას ჟაუწყებს“. ამ „მყუდროებაში“ ფიქრები შემოესევიან და მის ვონებას იქაურობას მოსწყვეტის. თვალწინ სოფელი და თავისი უმწეო ქოხი წარმოუდგებიან, გული ნალველით აევსება. მძიმე ყოფას, საერთოდ, თავისი ფიზიური კვალიც-კი დაუჩენდა პოეტის ლირიკულ გმირზე. — დაღარული აქვს მთლიანად სახე და მის თვალებში აღბეჭდილია მწარე ცხოვრება და სიკავლახეო. — გვეუბნება პოეტი.

ღრმა ფიქრებში წასულ გლეხს მოულოდნელად თავს პოლიციელი წაადგება. იგი განუცხადებს — იმის გამო. რომ ურჩობ, სოფელს აჯანყებ და არ გინდა ბატონს ემსახურო, დაპატიმრებული ხარო. ეს გარემოება ლექსის გმირისათვის მოულოდნელი არ აღმოჩნდა, იგი შინაგანად მომზადებული

შეხვდა ამ ამბავს და პოლიციულს სასტიკი წინაღმდეგობა გაუწია.

— ეგ მართალია, — მოუგო გლეხმა პოლიციულს, — გვეყოფა ტანჯვა, შოთმინების ფიალა აივსო, ახლა უღელში ვეღარ შეგვაძამენო. მიმსვლელსა და დამხვდურს შორის ცხარე დიალოგი გაიმართა. როცა უფროსის ბრმად მოჩინილმა პოლიციულმა შეუყვირა და თან თოფი მოიმაჯვა, გლეხმა ვეღარ მოითმინა, მისმა ნამგალმაც იელვა და ორივე სასიკელილოდ დაჭრილი ძირს დაეცა.

პოეტი, როგორც ბრწყინვალუ რეალისტი, დამაჯერებლად გვიჩვენებდა, რომ მშრომელ მასებს „მოთმინების ფიალა“ აევსოთ და საჭირო შემთხვევაში ისინი მზად იყვნენ შემართებისათვის. თვითონ პოეტსაც არ ჰყოფნის მოთმინება იმის მოლოდინში თუ როდის ითეთქებს მასების აჯანყება, როდის დაუღება ხალხს გაზაფხული. მრავალი რევოლუციონერი მეფის ციხეებსა და გადასახლებებში იტანჯებოდა, ხალხს სულს უხუთავდა თვითმპურობელობა და ბურუუაზოული ექსპლოატაცია. 1905 წლის გაზაფხული დგებოდა, პეტერბურგის მუშაობა ცხრა იანვრის სისხლიანი ეპიზოდის შემდეგ ჩვენში ჯერ კიდევ მძლავრად არ იყო გაშლილი რევოლუციის ტალღები. პოეტი კი მოელოდა და სულ ახლოს სჭირებდა მას. ლექსში „მოლოდინში“ სწორედ ეს განცდა გამოხატა მან. ამ ლექსშიც, როგორც მრავალ ადრინდელ ლექსში, პოეტი ას თანაუგრძნობს ბუნების ზეიმს გაზაფხულზე. იგი საყველურით მიმართავს თავისუფლად მოშრიალე ვერხვს და ეუბნება, რომ შენ ირგვლივ ვარდ-ყვავილებით შემკული ველი გარტყია და ის კი არ იცი, რომ ანსებობს სხვა მდელოც, სადაც ეკალი სთესია და მხოლოდ ცრემლი იღვრებათ. მე გაზაფხულს იქველი, საღაც ხალხი იტანჯება, სადაც ჩეინა და ბორკილია, სად ამართულა საკანი ხალხთ გულის დასატანჯავადო.

„ეს, ვერბეო, რასა შრიალებ,
ნეტა რას მეჩურჩულები?
ნუ ამიშალე ნაღველი,
ნუ ამიშალე წყლულები!
შეპხარი ცბიერ გაზაფხულს,
ხან მცინარს, ხანაც მოღუშულს,
ნიავი კაბას გინაკეთავს,
ნამსაც სიგრილე არა შურს;
მაგრამ არ იცი ჩემთვისა
სად არის გაზაფხულია?
ნუ აშრიალებ ტოტებსა,
ნუ ამიშალე წყლულია!
მე გაზაფხული იქა მაჭეს,
სადაც რკინა და ჯაჭვია,
სად ამართულა საკანი...
მას ბევრი დაუტანჯია!
ჩემი ყვავილი იქ არი,
არ გადაშლილა ლამაზი
და მეც ვიმლერებ მაშინა,
როცა ფრთას გაშლის გავაზი“...

პოეტი ამ ლექსში პირდაპირ ლაპარაკობს იმის შესახებ,
რომ მე სხვა გაზაფხული, სხვა დილა გამითენდებაო; ეს დილა
დიდ მსხვერპლს მოითხოვს, იგი სისხლისფრად შეღებება,
მაგრამ „მის მორწყულ მდელოზე ყვავილი ამოღერდებაო“.
მწერალი შინაგანი ოპტიმიზმით შთაგონებული ელის ამ დი-
ლას:

„მე იმას ველი, იმის ბუქს,
ველი, ვერ მომითმენია,
რა ვუყოთ, თუ კი უშსხვერპლოდ
დამეს ვერ გაუთხინია!“

ამაშია საწყისი იმ საბრძოლო რომანტიკისა, რაც აյე და-
შახასიათებელი იყო იროდიონ ევდოშვილის ცხრას ხუთი
წლის რევოლუციის პერიოდის შემოქმედებისათვის. ამ რევო-
ლუციური პათოსითა და გაუტეხელი საბრძოლო ენერგიით
იყო აღბეჭდილი პოეტის ორიგინალური და ნათარგმნი ლექ-

სები, რამელთა დიდი უმრავლესობა იბეჭდებოდა იმჯროინ-დელ მიწინავე პრესაში. ლექსში „მეგობრებს“, რომელაც თითქოს ახალწლისადმია მიძღვნილი, არსებოთა-და ლაპარაკა-ხალხთა ცხოვრებაში ახალი ერის დასაწყისზე, როცა დაემხობა მონობა და მშრომელი ხალხი თავისი უფალ ცხოვრებას შეკუმნის. პოეტი აღიდებს იმ გმირებს, რომლებმაც თავი დასწეს ზავისუფლებისათვის. მათ, — ამბობს პოეტი, — სამარადისო შეგლი არვეს ხალხის გულში, ჩვენი წრე კი უფრო უნდა შე-ვამჟიდოროცოთ და განვამტკიცოდ ერთმანეთის სიყვარულით.

რევოლუციის ტალღა თანდათან იზრდებოდა. რეაქციის ხალები ძრშოდნენ, ბურჟუაზია და თავადაზნაურობა დამ-ფრთხალი იყო და სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, მშრომელ მასებში გამარჯვების ჩრშენა მტკიცებოდა. სახალხო პოეტის ლექსებსაც ცხოველმყოფელობა ემატებოდა. მატულობ-და მათში საბრძოლო განწყობილება, მტრისადმი შურისძიე-ბის გრძნობა. ევდოშვილის ლექსის სტრიქონები კვესივთ ნა-პერშელებს გამოსცემდნენ და როგორც აბედს ისე ედებოდნენ ეს ნაპერშელები დაჩაგრულთა გულებს, ანთებდნენ და სა-ბრძოლელად აღავზნებდნენ მათ. პირველყოვლისა, თეოდ პოეტში მტკიცებოდა ჩრშენა რევოლუციის გამარჯვებისა და მის აღფრთოვანებას საზღვარი არა ჰქონდა. ეს აღფრთო-ვანება მშვენივრად გამოხატა ევდოშვილმა ლექსში „ჩემს მტერს“. აქ იგი ტანჯულთა სახელით მიმართავს მტარვალს და ეუბნება:

„აბა დახედე ამ ჩემ წყლულებსა,
შენ, ჩემო მტერო, აწ კი მაახარავ,
შენ მონობაში გაკაედა მელავი,
აწ ვეღარ მოხრი, ვერ გადაძალავ!
დიდი ხანია შენ ფეხქვეშ ვეგდე,
არ შეისმინე ცრემლი, მულარა...
დათვალე დღენა, ჩადის შენი მზე,
სალამომ კუბო დაგისუდარა“.

პოეტის ლექსის სტრიქონები ხალისიანად უღერენ:

„იმედის ტალღამ გულს დაჟრა,
სიმებმა დაიწერიალეს,
ბალში იფეთქა კოკორმა,
შერცხლებმა შეიფრთხიალეს.
თანაც მღერიან ჭივჭიყით:
„ზღვა დელავს, ქარიშხალია,
და გაზაფხულის შემჯმნელიც
მხოლოდ მის ძალთა ძალია!“

იროდიონ ევლოშვილს ურყევად სწამდა, რომ „გაზაფხულის შემჯმნელი მხოლოდ ქარიშხელის ძალთა ძალია“, „რომ ბრძოლაშია მხოლოდ მშვიდობის ტკბილი ფიალა“, და „მაშინ ჩადგება გრიგალი, ზღვაც მხოლოდ მაშინ დაცხრება, როს მოშლილ გემის¹⁾ ნაფორი ჰაერში გადითანტება“.

„ოჳ, ჩქარა მეხი მედგარი, მოხდეს რაც მოსახდენია“ — ამაყად გაიძახოდა პოეტი და პროლეტარიატს ერთსულოვანი შეუპოვარი ბრძოლისაკენ მოუხმობდა. ერთ თავის სასიმღერო ლექსს „დუბინუშვას მაგიერ“, რომელიც მაშინვე გავრცელდა მასებში, ასე ამთავრებდა:

„პროლეტარებო შემოკრბით ერთად ძმურად!
წავიდეთ წინ წითელი დროშით.
პროლეტარებო, მტერს დავხედეთ ერთგულად
და გზა შევლებოთ სისხლით და ოფლით!
აბა, ძმებო, თამამად,
აბა, ძმებო, ერთგულად
წავიდეთ, წავიდეთ
წინ, წინ!“

პოეტმა მრავალი ორიგინალური ლექსი უძღვნა მუშათა კლასის ცხოვრების დახასიათებასა და მის სამართლიან ბრძოლას. მაგრამ პოეტის მსოფლმხედველობის დასახასიათებლად

¹⁾ მოშლილ გემში პოეტი გულისხმობს თვითმპყრობელობას.

საკმარისი არაა მხოლოდ ორიგინალური ლექსების გათვალისწინება. საკიროა თვალი გადავავლოთ მის თარგმანებშაც, რომელიც შერჩეული აქვს იდეურ-პოლიტიკური სიმახვილის თვალსაზრისით. ეს თარგმანებიც, მისი ორიგინალური ლექსების მსგავსად, ეხმაურებოდნენ მომენტის აქტუალურ მოთხოვნილებებს და მოწინავე პროლეტარიატის რევოლუციურ თვალსაზრისის გამოხატავდნენ.

„პირველი მაისი“, რომელიც რუსულიდანაა თარგმნილი, გამოხატავს პროლეტარიატის საბრძოლო ძალთა შემჭიდროებისა და დარაზმული ბრძოლის იდეას.

- „აბა ძმებო, მხარი მხარსა,
დარაზმული დაედგეთ ერთად,
მიკუთხატოთ ძალი-ძალსა
შტრის ბანაკის გასკვეთად!
კიდით კიდე, მიწის ზურგზე
დღეს ჩვენი ხმა მხიარული,
აქცედეს და აზმაურდეს
როგორც წმინდა ნაკადული!“

„საერთაშორისო სიმღერა“ (ინტერნაციონალი) ირ. ევდომი უკილმა თარგმნა სწორედ იმიტომ, რომ მასში საბრძოლო მოტივებთან ერთად გამოხატული იყო მუშათა ძალისადმი რწმენა. პროლეტარიატის ბელადები მუშებს ასწავლიდნენ, რომ მათი განთავისუფლება თვით მათს ხელშია და ისინი სხვა, გარეშე ძალაზე არ უნდა ამყარებდნენ იმედებს. ამ თარგმანში იროდიონიც ამას უსვამდა ხაზს — „მუშებო, ღმერთი ჩვენ ვერ დაგვიხსნის, ვერც მეფე, ვერც ტრიბუნი, თვითვე დავიხსნათ ჩვენ ჩვენი თავი“... „ვიდრე ცხელია, ჩვეო რკინა ვაწროთ, ჩვენვე ჩავბეროთ ჩვენსა ქურასა“.

იროდიონ ევდომშვილი თარგმნის დროს არჩევდა უმთავრესად ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც შედარებით ზედმიწებნით გამოხატავდნენ 1905 წლის რევოლუციაში მუშათა კლასის საბრძოლო ამოცანებს. ამ პერიოდში ერთ-ერთი მთავარი

ლოზუნგი იყო რვა საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნა. რვა საათიან სამუშაო დღესთან ერთად მშრომელები მოითხოვდნენ შოლიტიურ თავისუფლებას, — სიტყვისა და პრესის თავისუფლებას. მუშათა ეს მოთხოვნები შესანიშნავად იყო გამოზატული პოპულარულ რუსულ ლექსში „რვა საათი“. ლექსში ავტორი მუშებს ეუბნებოდა, რომ თქვენი მდგომარეობა პრატყვის მდგომარეობაზე გაცილებით უარესია და თუ თქვენი ტანჯვისა და ტკივილის შესახებ თქვენ თვითონ არ ამოიღებთ ხმას, მაშინ, გარწმუნებთ, „თვითუტყვი ქვა თქვენსა მაგივრად დაიქვითინებსო“. ხმა სიმართლისა მოგვიწოდებს და თამამად გავუვეთ ჩასო. იროდიონ ევლოშვილმა ეს ლექსი მაშინვე თარგმნა, რადგან იგი ავსებდა და ანვითარებდა ქართველი რევოლუციონერი პოეტის შემოქმედების თემატიკას და მოტივებს.

შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა მაშინდელი რუსული რევოლუციური პოეზიის არც ერთი მნიშვნელოვანი ნიმუში, რომელც ირ ევლოშვილს არ ეთარგმნოს. განა თვით პოეტის ლექსის სტრიქონებს არ მოგვაგონებს გას მიერ თარგმნილი რუსული ლექსის „ძმებო, დროშა გაიშალა“ სტრიქონები:

„ძმებო, დროშა გაიშალა,
ხედავთ წითლად გადიფერა,
შევაჯეროთ ჩვენი ძალა
და დავხახოთ კვლავ სიმღერა!
მაღლა ასწით, ამ ქუჩაზე
ტალღასავით გავიღვაროთ,
გადავაღვათ მელავი მელავზე,
წინ, მუშებო, წინ ვიაროთ!
მზე ამოდის, ხალხს ვახაროთ:
წითლადა უღერს განთიადი!
კრიმანეულში დავიძახოთ:
გვითენდება დღე დიადი!“

ან ქიდევ:

„დაიგუგუნე ჩვენო სიმღერავ,
ჩვენი ალამი ქვეყნად ფრიალებს,
თან მოაქვს ბრძოლა, შურისძიება,
ირგვლივა სთესავს თავის ძალთა-ძალებს!“

სხვა ლექსში ვკითხულობთ:

„ძმებო, გმირულად მკერდით მივაწვევთ
და გაეარღვიოთ შავი კედელი,
დუბკირ ბრძოლაში ჩვენ გამოვიწვრთეთ,
დავცეთ ბორჯილის გამომჭედელნი!“

რევოლუციის ზრდა, რევოლუციური შეგნების ამაღლება
მუშათა კლასში თავის ძლიერ იდეურ ზეგავლენას ახდენდა
პოეტზე, მის მხატვრულ შემოქმედებაზე. „თუ იანერის შე-
ჯახებაზე ვამბობდით, — წერდა 1906 წელს ამხანაგი
სტალინი, — რომ მას რევოლუციური შეგნება არ მოეძევე-
ბოდაო, სამაგირულ, დეკემბრის შეჯახებაზე უნდა ვთქვათ,
რომ მას ასეთი შეგნება ახლდა. თერთმეტი თვის რევოლუ-
ციურმა ქარტეხილმა საქმაოდ აუხილა თვალი რუსეთის მებ-
რძოლ პროლეტარიატს და ლოზუნგები: ძირს თვითმპურობე-
ლობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკა! — ყოველ-
დღიურ ლოზუნგებად, მასის ლოზუნგებად გადაიქცა. აქ ვე-
ლარ ნახავდით ვერც ეკლესის ბაირალებს და ველარც ხა-
ტებსა და მეფის სურათებს, — მათს ნაცვლად წითე-
ლი დროშები ფრიალებდა და მათს აღგილს მარქს-ენგელსის
სურათები ამჟობდნენ. აქ ვეღარ გაიგონებდით ფსალმუნებისა
და „ბოუე, ცარია ხრანი“-ს გალობას, — ამის მაგრერ „მარ-
სელიეზასა“ და „ვარშავიანკას“ სიმღერა გაისმოდა და ყურს
სურუებდა დამჩაგვრელებს“:?)

) იხ. ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 190-191.

ცხრა იანვრის სიხლიანმა ამბებმა სამუღამოდ აუჭილეს თვალები მუშებს. როგორც სამართლიანად ამბობდნენ მა-შინ, „პროლეტარიატი ათი წლის პროპაგანდით ვერ შეიგ-ნებდა იმდენს, რაც მან აჯანყების დღეებში შეიგნო“. ირო-დიონ ევდოშვილი სტიქიურად არ მისდევდა ამ ბობოქაჩ ტალღებს. ამიტომ იყო, რომ მის პოეზიაში უშუალო გა-მოვლინებას პოულობდნენ რევოლუციური პროლეტარია-ტის საუკეთესო მოტივები. სწორედ ეს სიმღერები, — „მარ-სელიეზა“ და „ვარშავიანკა“, რომელთა ხმაც, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს, ყურს უყრუებდა დამჩაგვრე-ლებს, მაშინვე სთარგმნა ირ. ევდოშვილმა. მის მიერ თარგმ-ნილი „ვარშავიანკა“ დამსახურებული პოპულარობით სარ-გებლობდა ქართველ მუშებში. მხნეობასა და შეუდრევლო-ბის სულისკვეთებას მატებდა თვითმეცყრობელობის წინააღმ-დეგ ამდგარ მასებს ლექსის სტრიქონები:

„ძებო, შაგბედი თავს დაგვტრიალებს,
შავი ძალანი გვიკერენ ხლართსა,
ჩავებით ოში და არ ვიტით დღეს
რა გადახდება ხვალე ჩვენ თავსა!
მაგრამ ამაყად ავწევთ დროშასა,
წმინდა საქმისთვის საქვეყნიეროდ
და ნუ შევწევეტავთ მტერთან ბრძოლასა
ვიდრე ჩვენ მიზანს არ მივალწიოთ!...
ვინც ამ ბრძოლაში, დიად ბრძოლაში
სისხლით მოსერილი ძირს დაეცემა,
მისი სახელი ჩვენს სიმღერაში
შთამამავლობას გადაეცემა!“

პოეტი სრულიად სამართლიანად ამბობდა თავის თავზე: „ჩემი სატრუკა აწ ქარიშხალი, ზღვა აღგზნებული, ზღვა ბობოქარი, ხალხის გულიდან ამოვარდნილი ჰექა-ქუხილი და ნიაღვარი“. რევოლუციის პერიოდში მთელის ძალით იჩია თავი პოეტის შინაგანმა სტიქიამ, მისმა შემოქმედებითმა ენერგიამ. იგი, როგორც რევოლუციის შეუპოვარი ჯარის-

კაცი, მთელი შესაძლებლობით იბრძოდა, მხატვრული აზ-როვნების ყველა უანრში შექონდა მას თავისი რევოლუციური პათოსი. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია აგრეთვე პოეტის სატირული ნაწარმოებები. არასოდეს არა პქონიათ მის სატირულ ლექსებს ისეთი სიმძაფრე და სიმახვილე, როგორც პქონდა ამ პერიოდში. იროდიონ ევდოშვილის სატირულა-ლექსები, რომ იტყვიან, პირდაპირ სამართებელივით ჰქვეთ-დნენ და მღულარესავით თუთქავდნენ მტერს. ამ ლექსები-დან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ „ვაი ჩვენ თავს“.

„ვაი ჩვენ თავს“ მიმართულია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მასში გამოხატულია ეშმაკეულთა (გაბატონებული კლასების) შეშტოთება იმის გამო, რომ მათი ავადმყოფი სასიცვდილოდაა დაავადებული და, რომ მისი მდგომარეობა დღითა დღე უარესდება.

„მაგრამ ჩაც დღე-ლამე გადის,
მით სუსტდება ავადმყოფი,
საცა არის დაობლდება
ჯოჯონეთის სრა-სამყოფი.
ეშმაკები ზარს ამბობენ,
გულს ჰეიღიათ ავარიაზი,
ვაი ჩვენ თავს, ვაი ჩვენ თავს,
კვდება, კვდება ტარტარზი!“

ტარტარზი სიმბოლოა თვითმპყრობელობისა, ეშმაკები კი — ბურუუებისა და მემამულებისა, რომელიც თავიანთ ხსნას მეფის რეემის გადარჩენაში ხედავდნენ. იროდიონ ევდოშვილის სატირული ლექსებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. მახსოვს, იგონებს, მწერალი დავით კასრა-ძე, ერთმანეთს რომ ვხვდებოდით, ხუმრობით ასე ვესალმე-

ბოლით: „ვაი ჩვენ თავს, ვაი ჩვენ თავს, ავად არის ტარტა-
როზი!“

* * *

იროდიონ ევდოშვილი, როგორც უკვე ვთქვთ, ქართული
კლასიკური ლიტერატურის პატრიოტულ ტრადიციებსაც მიჰ-
ყვებოდა, მაგრამ რევოლუციის ეპოქაში იგი სრულად ახა-
ლი თვალსაზრისით განიხილავდა მას. იროდიონი იყო ნამდ-
ვილი პროლეტარული, რევოლუციური პატრიოტიზმის გა-
მომხატველი იმ დროინდელ ქართულ პოეზიაში. პოეტი არა-
სოდეს არ ივიწყებდა სამშობლოს, მაგრამ განსაკუთრებულ
ყურადღებას აქცევდა მუშათა კლასის რევოლუციურ მოძ-
რაობას. ამ მოძრაობის გამარჯვებაში ხელავდა იგი სამშო-
ლის ნამდვილი თავისუფლების საწყისებს. რევოლუციის
პატრიოტის ირ ევდოშვილი სრულიად განსხვავდებოდა ბურ-
უაზიული ნაციონალიზმით დაავარებული პოეტებისაგან,
რომელიც ცდილობდნენ პროლეტარიატის სამართლიანი სა-
ბრძოლო ინტერესებისათვის დაეპირისპირებინათ ყალბი პატ-
რიოტული იდეები, ბურუუაზიული სამშობლოს დაცვის
იდეები. ირ ევდოშვილი ებრძოდა ასეთ დამუავებულ „პატ-
რიოტებს“. იროდიონ ევდოშვილი შორს იდგა მაშინ „ეროვ-
ნული ერთიანობის საფუძველზე ყველა კლასის გაერთიანე-
ბას“ თვალსაზრისისაგან, იგი თავის შემოქმედებაში ცავდა
და ანერთარებდა კლასთა ბრძოლის პრინციპებს. ამაში იყო
მისი პოეზიის განსაკუთრებული პროგრესული ხასიათი.

იროდიონ ევდოშვილი სამშობლოს, მშობლიური ხალხის
თავისუფლების იდეას ორგანულად აკავშირებდა მუშათა
კლასის რევოლუციურ ბრძოლასთან. პოეტი ისეთივე შინაგა-
ნი უშუალობით წერდა თვითმკურობელური რესეთის კო-
ლონიდან გადაქცეული საქართველოს ბეჭზე, როგორც პრო-
ლეტარიატის სოციალურ და პოლიტიკურ ყოფაზე. როცა
პირველმა რევოლუციამ იფეთქა და მისი ტალღები აზვირთ-

დნენ, პოეტს მაშინვე „მიჯაჭვული ამირანის“ განთავისუფლების იმედით აუძგერდა გული და მთელის ხმით შესძახა:

„იფეთქა აღმოსავლეთშაც,
წითელი დროშა გაშალა,
კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს
სხივები გადააყარა!“

პოეტი ხედავდა, რომ ქართველი ხალხი, — რევოლუციური მუშები და გლეხები უთანასწორო ბრძოლაში იყვნენ ჩაბმული, მაგრამ მაინც ამხნევებდა სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებულთ:

„მეგობრებო, ვაჟეაცურად,
გულადობა უსწორ ომში,
წინ წავიდეთ ჩვენ ერთგულად,
დავიხოცნეთ სამშობლოში!
კვნესის ხალხი, იტანჯება,
შველასა გვთხოვს ლვიძებს,
თუ საფლავი გაგვეთხრება,
ისევ ხალხი დაგვიტირება!
და ახლა კი ნუღარ ვფიქრობთ,
წინ წავიდეთ უსწორ ომში,
გამარჯვება ტანჯულ ხალხსა,
დავიხოცეთ სამშობლოში!“

* * *

რევოლუცია რთულ ფაზაში შედიოდა. რუსეთის მეფის მთავრობამ დააჩქარა იაპონიასთან ომის დამთავრება, რათა ძალა მოეკრიბა და შური ეძია ხალხზე, ანგარიში გაესწორებინა რევოლუციური პროლეტარიატისათვის. რეაქციამ თანდათან ფრთხები გაშალა, დაიწყო აჯანყებების იარაღით ჩახშობა, აჯანყებულთა დაპატიმრება, გადასახლება. არააღმიანური სისასტიკე გამოიჩინა მეფის მთავრობამ განსაკუთრებით რუსეთის ჩაგრულ ხალხთა წინააღმდეგ. თითქმის მთელი საქართველო აჯანყებებით იყო მოდებული და დამსჯელი რაზმებიც თითქმის ყველა კუთხესა და სოფელში იღდა. ამ

გარემოებამ რევოლუციის თანამგზავრთა წრეში, კერძოდ ინტელიგენციაში, რღვევა გამოიწვია. მშერლობაში ფეხი მოიკიდა დაცემულობამ, სკეპტიციზმმა, მაგრამ იროლიონ ევდოშვილი ამ მძიმე ვითარებაშიაც ერთხანს საკმაოდ მტკიცედ შერჩა თავის ძველ შეხედულებებს. მის ლექსებში კვლავ სმოდა გაუტეხელი ნებისყოფის რევოლუციონერი პოეტის მგზნებარე ხმა.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იროდიონ ევდოშვილს ახლო არ გაჰკარებია უიმედობისა და დაცემულობის განწყობილება. ლექსში „ტალღა ტალღაზე მიდის, მიგორავს“, რომელიც დაწერილია 1906 წელს, თვითმპყრობელობას პოეტი მოშლილ გემს ადარებს და ზღვის ტალღებს (ხალხს) შესძახის — იარე წინ, განთიადისკენ, „დაჰკარი მოშლილ გემს და გამარჯვება სხივებს შესძახე!“

არ, ლექსი „ღამე“. გვინდათ, რომ ეს ლექსი შავი ფერებით იქნება დამძიმებული. შესავალში მართლაც ასეთად აგვიწერს პოეტი გარემოს. ბნელა, ცა მოქუშულა, ირგვლივ მდუმარებაა, მხოლოდ მიყიოტი გაჰკივის და პოეტის გული შავ ფიქრებს მიაქვს. მაგრამ არა, სასოჭარკვეთილებას არ ეძლევა, მას გული უკვნესის, მაგრამ გულგატეხილობისაგან შორს დგას. ამ წყვდიად ღამეშიც განთიადი აგონდება: „ველი, ოხ, ველი, როდის იქნება ცამ აიხადოს შავი პირბადეო!“

რევოლუციის ტალღები გაიშვიათდნენ, დარჩნენ ცალკეული ზეირთები, რომლებიც არა ცხრებოდნენ და კვლავ დასაქუხებლად ემზადებოდნენ. არ, ამ ზეირთებს მიპყევით მეღგრად, მოუსვით მკლავი, აქ გადასწყდება ბედი და განთიადზე დროშას ამართავს თამამი ნავოო. — ამბობს ირ. ევდოშვილი. ეს განცდა უფრო თამამად არის გამოხატული ლექსში „ჩონგურს“. გვეყო ცრემლი და წუხილი, — ეუბნება თავის ჩონგურს პოეტი, — ყური დაუგდე, ტყესა და ბარში

ქუხილი გაისმა და ჩვენც ამ ქუხილის ხმას უნდა გავყვეთო:

„ავუკეთ ქარიშხალს, იმის ბანს,
ის არის ჩვენი ნუგეში,
ის დაგვძახოდა იმედით
ჩაგრულთ ტრემლების გუბეში!...
გაშ, დაუკრათ, დავაგუგუნოთ:
ადგა, აქუხდა ქარიო
და წითლად შეიღებება
აღმოსავლეთის კარიო!“

1907 წელს დაწერილ „ბრძოლის სიმღერაში“ იროდიონ ევდოშვილი გამოსთქვამს რწმენას, რომ კვლავ განახლდებიან მედგარი ბრძოლები და რევოლუციისათვის თავდადებულ გმირთა საფლავებზე ხალხი მალე გამარჯვების ზეიმს გადაიხდისო.

„ამართება მალლა დროშები,
იფეთქებს ძმობა და სიყვარული,
დაივიწყებენ ძეელსა იარებს,
დადგება შეება და გაზაფხული!“

— გვიანდა არის უკან დახევა, — ამბობს პოეტი, — სულ-ერთი არის, ხომ ვიხოცებით ბორკილებსა და შავ-ბნელ ცი-ნეში, რად გაუუხადოთ ყორნებს საჭირისუფლოდ ჩვენი საფ-ლავი და ჩვენი ლეში, „დავიწყოთ მედგარი ბრძოლა და იე-რიში. — შორს ჩვენგან ძრწოლა, შორს ჩვენგან შიში!“ პოეტს იმედი არ დაუკარგავს — „ვიცი, რომ მალე დაპ-კრავს საათი და მიწა წითლად შეიღებებაო“. ამ მოტივებს ეხმაურება უფრო გვიანდელი ლექსი „დაპრა საყვირმა!“. ლექსში ვკითხულობთ:

„დაპრა საყვირმა, ადექი მუშავ!
გაპრარ შალაშინს, გაუსვი რანდი.
დეე, ეძინოთ საფლავის შეიღებს,
შენ კი დასძახე: გვწამს განთიადი!“

ნათელი ოპტიმიზმით არის აღმოჩენილი აგრეთვე არსენ ჯორჯიაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი „გმირს“. პოეტი ქებათა-ქებას ასხამს შეუპოვარ მებრძოლს, რომელსაც „ტანჯული ხალხის ცრემლებმა გული აუნთეს“ და „თამამი ხელით ხალხის ავაზაკს მოუღო ბოლო, გაპეტირა“. დრო და-დგება და მტარვალს, — ამბობს პოეტი, — იმავე თოკზე ჩამოჰკიდებენ, რომლითაც ჩამოალრჩვეს არსენ ჯორჯია-შვილი. მაშინ ჯალათს წყევლა-კრულვით მოიხსენიებენ, ხალხისათვის თავდადებული გმირი კი ქებაშესხმული გა-ცოცხლდება.

განსაკუთრებით საგულისხმოა ლექსი „გმირის საფლავ-ზე“. ეს ლექსი მიძღვნილია ლადო კეცხოველისადმი. ლადო კეცხოველი იყო დიდი რევოლუციური მოღვაწე, ამხანაგ სტალინის ერთგული თანამებრძოლი, „მესამე დასის“ უმ-ცირესობის აქტორი წევრი, რომელიც შეუპოვრად იბრძოდა „მესამე დასის“ უმრავლესობის წინააღმდეგ ლენინური „ისკრის“ პრინციპებისათვის. დიდი იყო ლადო კეცხოველის როლი ამიერკავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში. კავკა-სიის კავშირის კომიტეტი ასე ახასიათებდა მას:

„ლადომ პირველმა შექმნა ქართული რევოლუციური ლი-ტერატურა. მანვე პირველმა გამართა ჩვენში სარევოლუციო სტამბა, მანვე პირველმა გამოსცა ქართული რევოლუციო-ნური დროგამოშვებითი ორგანო, მანვე პირველმა ჩათესა ბაქოს მუშებში რევოლუციის თესლები... აშკარაა ლადო უსაშიშრესი მტერი იყო თვითმპყრობელ მხეცებისა და ყვე-ლა მტარვალებისა. ამას თვით ეს უკანასკნელნიც კარგად გრძნობდნენ და კიდეც ამიტომ ასე ყოვლად უსინდისოდ, ასე ყოვლათ საზიზლრად და ვერაგულათ მოჰკლეს იგი“ (იხ-



ლადო კეცხოველისადმი მიძღვნილი იროდიონ ევდოშვილის ლექსი, რომელიც დაწერილია 1906 წელს, უაღრესად საყურადღებო დოკუმენტია პოეტის შემოქმედებითი ცხოვრების შესწავლისა და მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების დაზუსტების თვალსაზრისით. იგი საშუალებას იძლევა ნათლად გავარკვიოთ, ერთის მხრივ, პოეტის სულიერი განწყობილება პირველი რევოლუციის დამარცხების პირველ წლებში, ხოლო, მეორეს მხრივ, გავითვალისწინოთ მიზეზები იმ ლრმა და უშუალო კავშირისა, რომელიც ჰქონდა იროდიონ ევდოშვილს მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან მთელი მისი აღმავლობის ხანაში, ხოლო, მესამე მხრივ, გავიგოთ მისი პოეზიის რევოლუციური პათოსისა და ოპტიმიზმის სათავე.

იროდიონ ევდოშვილი და ლადო კეცხოველი ჯერ კიდევ სასულიერო სემინარიიდან უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. ცნობილია, რომ ლადო კეცხოველმა სრულიად ახალგაზრდამ, თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფემ, 1893 წელს მხურვალე მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა ორეულობაში, რისთვისაც იგი სასწავლებლიდან გამორჩეს. იროდიონ ევდოშვილიც სწორედ ამავე წელს დაითხოვეს სემინარიიდან მოწაფეთა ორეულობაში მონაწილეობისათვის. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ლადო და იროდიონი ერთი და იგივე შემთხვევის გამო იყვნენ გამორიცხული სემინარიიდან, რომ ისინი თავიდანვე ახლო იცნობდნენ ერთმანეთს და ბოლომდე კარგ მეგობრებად დარჩნენ. როგორც ვიცით, იროდიონ ევდოშვილზე ძლიერ გავლენას ახდენდნენ მოწინავე სოციალ-დემოკრატები და ამ გავლენაში თვალსა-

ჩინო რეფლი უნდა ეთამაშე დაქორელს. ცნობილია, რომ პირველ ხანებში იროდიონ ეკლესიური მართლიანობა მშრომელი იყო უურნალ „კვალისა“, როცა ეს უურნალი „მესამე დასის“ უმრავლესობის ხელში გადავიდა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც „მესამე დასის“ უმცირესობასა და ოპორტუნისტულ უმრავლესობას შორის მწვავე უთანხმოება ჩამოვარდა და აშკარა ბრძოლა გაჩაღდა, პოეტმა თანდათან დაპყარგა ნდობა „მესამე დასის“ უმრავლესობისადმი. „ლეგალური მარქსისტები“ ყალბ თვალსაზრისშე დადგნენ და „კვალის“ ფურცლებზე აშკარად მცდარ გაშუქებას აძლევდნენ ეროვნულ საკითხესაც, წარსული მემკვიდრეობის საკითხსაც. ყოველივე ამის შედეგად ოროდიონ ევდოშვილი თანდათან ჩამოსცილდა მათ. სწორედ ეს პეტრე მხედველობაში პოეტს, როცა შემდეგში ერთ თავის მეგობარს სწერდა, რომ „ეს მოხდა ჯერ სე 1903 წელს, მაშინ მივანებე კიდეც „კვალში“ თავი მუშაობასა“. .

აი რატომ მიგვაჩნია ლექსი „გმირის საფლავზე“ პოეტის შემოქმედების კანონზომიერ ნაყოფად, მისი პირველი რევოლუციის პერიოდის მსოფლმხედველობის ერთგვარ შემაჯამებელ ნაწარმოებად. ოროდიონ ევდოშვილი მეაცრად ემიჯნებოდა მენშევიკებსა და სხვა წვრილბურეუაზიულ პარტიებს, რომლებმაც რეაქციის წლებში მშვიდი, ლეგალური თავშესაფარის ძებნა დაიწყეს. პოეტი ამ დროს უდაოდ ბოლშევიკებს თანაუგრძნობდა, ბოლშევიკებს, რომლებიც განაგრძობდნენ შეუპოვარ ბრძოლას მეფის მთავრობისა და კაპიტალის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში ყველა ლეგალურ და რალეგალურ საშუალებას იყენებდნენ. მენშევიკებმა დაიწყეს წუწუნი და მონანიება: იარაღი არ უნდა აგველო ხელში, ბოლშევიკები კი იარაღს არ ჰყრიდნენ, ძირს არ ხრიდნენ პროლეტარიატის სისხლის. შესუბლებულ წითელ

დროშას. ამხანაგი სტალინი 1906 წელს წერდა: „არა. ამხანა-
გებოთ. ჩუსეთის პროლეტარიატი არ დამარცხებულა, მან
შეოლოდ უკან დაიხად და დღეს ის ახალი სახელოვანი ბრძო-
ლისათვის ემზადება. ჩუსეთის პროლეტარიატი ძირს არ დახ-
რის სისხლით შეღებილ დროშას“!)

იროდონ ევფოშვილმა კარგად იცოდა, რომ ლალო კეც-
ხოველი ეკუთვნოდა სოციალ-დემოკრატიის იმ სახელოვან
ფრთას, რომელიც რევოლუციის დამარცხების შემდეგაც
ძირს არ ხრიდა ხალხთა თავისუფლების დროშას და მომავა-
ლი შეტევისათვის ემზადებოდა. ჩვენ სრულიად ბუნებრი-
ვად გვეჩერება, როცა ის. ევფოშვილის იმდროინდელ პოე-
ზიაში პირველი რევოლუციის დროებითი დამარცხების
ბრძნული და შორსმცვრეტელური სტალინური შეფასების
ერთგვარ გამოძახილს ვხვდებით, რომ ევფოშვილის პოეტურ
სტრიქონებში ხშირად გამეორებული და გადმოცემულია
სტალინის წერილებისა და სტალინური პირკლამაციების აზ-
რი. აյეთ შემთხვევაში პოეტის ლექსებს მუდამ წარ უსწრე-
ბენ მოვლენების სტალინური შეფასებანი და ისინი აძლევენ
შთაგონებას, ისინი წარმართავენ მათ იღეურად. როცა ირო-
დონ ევფოშვილი აღიდებს ლალო კეცხოველს და მის გმი-
რულ საქმეებს უკვდავად სახავს, ამით იგი აღიდებს და იცავს
„მესამე დასის“ რევოლუციურ-მარქსისტული ინტერიციონა-
ლისტური ფრთის მიერ განვლილ გზას, ბოლშევიკური ორ-
განიზაციის ბრძოლის პრინციპებს.

საგულისხმოა, რომ ის. ევფოშვილის „გმირის საფლავზე“
დაწერილია კავკასიის კავშირის მიერ ზევით დასახელებულის-
ბროშურის გამოცემის შემდეგ და მასში ამ ბროშურის აზრია.
გალექსილი.

— აწამეს, მოპელეს, სხვაც ბევრი არი ჩვენ ამხანაგთა
ველზე სამარე.—ამბობს პოეტი და მტარვალს მიმართავს, —

¹⁾ იხ. ზ. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 195.

შაგრამ იცოდე, მისი საქმენი საღიდებელნი არა კვდებიან, გმირის ადგილას თავგანწირულნი ისეუე გმირნი იძალებიან. პოეტი ჰემობს გულგატეხილობასა და უკან დახევას, მხოლოდ წითელი ღროშით ბრძოლაში ხედავს იგი აზრს, ბეღნაური მერმისის სათავეს:

„წეულიც ვიყოთ გულგატეხილნი,
უკან დახევა ვინც განვიზრახოთ,
ჰაშინ ხოვ, ძმებო, მათი საფლავი!¹⁾
უნდა წავმილწოთ და გადავლახოთ!
არა და არა, მათშია ძალა,
თავგანწირულად ვინც რო კვდებიან,
ჩვენი ღროშია ქვეშ, წითელ ღროშია ქვეშ
ვინც იბრძოლებენ, არ შედრებიან!
შურისძიება დაუნდობელი!
აქ სხვა გზა-შველა მეტი არ არი.
ჩქარა, აივსო ტანჯვის ფიალა,
ჩქარა ბრძოლისა ჩამოვკრათ ზარი!“

ამ სტრიქონების (და არა მხოლოდ ამ სტრიქონების) ავტორი არ შეიძლება მთელი თავისი რწმენით, მთელი თავისი პოეტური ინტერესით ამ გმირთა მებრძოლი იდეების აქტიური თანამოზიარე, დამცველი და განმახორციელებელი არა ყოფილიყო. „ჩვენი ღროშია ქვეშ, წითელ ღროშია ქვეშო“— წერს იგი და, მართლაც, მისი საბრძოლო ღროშა პროლეტარიატის წითელი დროშა იყო.

მაგრამ განა შეიძლება, რომ პოეტი პროლეტარიატის წითელი დროშის ქვეშ მდგარიყო და ამავე დროს რევოლუციური გლეხობის სულისკვეთებაც არ გამოეხატა? რასაკვირველია, არა. რევოლუციური გლეხობაც პირველ რევოლუციაში მუშათა სისხლით შეღებილი დროშით გამოდიოდა. ამასთან, პირველი რევოლუციის დროს, როგორც უკვე ვთქვთ, გლეხთა მოძრაობას ისეთი ფართე ხასიათი ასაძ არ მიუღია, როგორც მიიღო მან საქართველოში. (იროდიონ ევდო-

¹⁾ აქ იგულისხმება ლ. კეცხოველი და მისებრ დალუბული გმირები.

შეიძლოც ძალიან კარგად, დამახასიათებლად გვიხატავდა ამ მებრძოლი გლეხების სულისკვეთებას. გაზაფხულია, ფეთქავს კოკორი, მინდორი ღელავს. მკის დრო დამდგარა. მაგრამ გლეხი ნამგლის მაგივრად ხანჯალსა ჰუკერავს, ჰუკერავს და თანაც ზედ დაღრღინებს: „ბევრი ვმკე, ვთესე, მაგრამ ამაռა, ცოლ-შეილი მაინც მშიერი დამრჩაო“. „ოხრადა გდია ჩემი გუთანი, კალოს ყორანი დასჩეავის მწარედ. საწყალ ქოხს ფრთები ჩამოუშვია, ეზოს დასცემერის ის მგლოვიარედ“.

„მაგრამ ფიალა უკე აივსო,
ზეცა ვთხოულობ კაცურ უფლებას,
ამიერიდ, ჩემი ხელები
მუქთა მევაშელებს არ გამოყენებავს!
კურა, ან ტყვია, ან სამართალი
მშიერ-ტიტელო, შეილო, ნუ სტირი,
ჩაგრული ხალხი აღ-დგა, აზერთდა,
უკე მეძახის ბრძოლის საყვირი“.)

აი რატომ ვაკუთვნებთ ჩეენ ამ პერიოდის იროდიონ ევ-
ზოშეილს რევოლუციურ ხალხს, რევოლუციურ მუშებსა და
გლეხებს. აი, რატომ უნდა ჩაითვალოს იგი აგრეთვე პრო-
ლეტარული პოეზიის მამამთავრად. ამ უკანასკნელი სტუცე-
ბის აზრი რომ ჩეენთვის უფრო ნათელი გახდეს, საჭიროა
პოეტის შემოქმედების თემატიკისა და ესთეტიკური პრინცი-
პების ზოგიერთ მხარეს შევეხოთ.

იროდიონ ევდოშვილი საქმაოდ ფართო შემოქმედებითი
ფანტაზიის პოეტია. მართალია, უმთავრესად ლირიკოსია,
მაგრამ იგი არ იფარგლება მხოლოდ წმინდა ლირიკულ გან-
წყობილებათა გადმოცემით. საბრძოლო სულისკვეთებით
გამსჭვალული მოწოდებითი, რიტორიკულ-პათეთიკური ლექ-
სების გვერდით მას აქვს მთელი რიგი პოეტური და პროზაუ-
ლი ნაწარმოებები, რომლებშიც რეალისტურად, მხატვრული
სიმართლითა და დიდი უშუალობითა წარმოსახული იმ-
დროინდელი საზოგადოებრივი ყოფის სურათები. ამ ნაწარ-

მოებებით მწერალს მაშინდელი ცხოვრების სიღრმეში შევყევართ და მის შინაგან კლასობრივ წინააღმდეგობას გვაცნობს, გვიხსნის და გვიჩვენებს ყოველი მოვლენის სოციალურ არსა.

იროდოონ ევდოშვილის შემოქმედებას თავიდანვე პოლიტიკური და სოციალური სიმახვილე დაჟყვა, რაღან პოეტის ესმოდა, რომ მაშინდელი საზოგადოება შეურიცებელ ანტაგონისტურ კლასებად იყო დაყოფილი, რომ ერთ მხარეზე იყვნენ უბედურნი, ხოლო მეორე მხარეზე—ბედნიერნი — ექსპლოატირებული და ექსპლოატატორები, ჩაგრულები და მჩაგვრელები, ღარიბები და მდიდრები. მაგრამ მისი დამსახურება მხოლოდ ამაში როდია. იროდოონ ევდოშვილმა პირველმა შექმნა ქართულ პოეზიაში ქალაქის პროლეტარიატის ცხოვრების დამახასიათებელი სურათები, კაპიტალისტური ექსპლოატაციის შედეგად გაღატაკებული, ქუჩაში ულუქმაპუროდ და უნუგეშოდ დარჩენილი აღამიანების მხატვრული სახეები. მან გვიჩვენა აგრეთვე თუ, როგორ წევევდა კაპიტალიზმის შეჭრა სოფელში გლეხთა დიფერენციაციას. გალატაკებული გლეხები იძულებული ხდებოდნენ მცეტოვებინათ მშობლიური სოფელი და სხვაგან, ქალაქში ეძებნაოლუქმაპური. მწერლის მხატვრული ოსტატობა მეღავნდება მშრომელთა ცხოვრების ღრმა ცოდნაში, მის დამახასიათებელ ხატვაში. მას არაფერი ისე არ აღელვებდა, როგორც უფლებრივად დამცირებულთა და მატერიალურად ხელმოკლეთა ყოფა. ამ აღამიანებში ეძებდა პოეტი მხატვრული აღმის მასალას. მისი მორალურად კეთილშობილი, მაღალი ზეობრივი თვისებების მქონე აღამიანები მშრომელთა — მუშათა და გლეხთა წრეს ეკუთვნიან. შრომა აკეთილშობილებს აჯამიანს, ამაღლებს მას პოეტის თვალში. მწერალს ეზიზლება და მკითხველსაც აძულებს იგი მუქთახორებს, რომლებიც სხვას შრომას ითვისებენ,—არაფერს ქმნიან, მაგრამ დროს გარცხომაში ატარებენ, „ტკბილად ლილინებენ“ მაშინ, როცა ის,

გარც შექმნა ქვეყნად სიმდიდრე, ქუჩაში კვნესის, შიმშილში ღაფავს სულს და შიმშილშივე ელოპება მას ცოლ-შეილი.

იროდონ ევლოშვილის მთელ რიგ ლექსებსა და პოოხობებში მუშისა და გლეხის მწარე ხეედრი ისეთი ფსიქოლოგიური სიმძაფრით არის გადმოცემული, რომ არ შეიძლება თქვენც უშუალოდ არ განცადოთ ის. მწერლის ამ ნაშარმოებთა წაკითხვა შეუძლებელია მშვიდად, აულელვებლად. პოეტი ამას აღწევს არა რაღაც განსაკუთრებული მხატვრული ფერების გამოყენებით, არა სურათების ხელოვნურა გამუქებით, არამედ მოვლენების მიმართლით ასახვით, ე. ი. მათი ისეთად ასახვით, როგორადაც ისინი სინამდვილეშია. სინამდვილეში კი ისინი ისეთად არსებობდნენ, რომ მწერლისაგან მათ ზედმეტი ფერების მიმატება არა სჭირდებოდა. ცხოვრებაში არსებული ყოველი კონკრეტული შემთხვევა თავისთავად იმდენად ზოგადი თვისების შემცველი იყო, რომ მათი „ზედმეტად განზოგადება“, მხატვრის ფანტაზიით რაომეს მიმატება საჭირო აღარ იყო.

განა რამე შეფერადებას მოითხოვდა ცხოვრება ღარიბი გლეხისა, როცა იგი იძულებული ხდებოდა მიეტოვებინა ოჯახი და წასულიყო სხვაგან, ევლო სოფელ-სოფელ. ან ქალაქში ჩასულიყო და იქ მექარხნისათვის მიეყიდა შრომა, რათა ლუქმაშური ეშვევ, რომ ოჯახი შიმშილით არ ამოსწყვეტოდა. განა რაიმე კომენტარიები ესაჭიროება გლეხის ფიქრებს:

„მოიტა გოგო ე გუდა,
ნაბადი არა მქონია,
ორიოდ მჭადი ჩაგდე
და ცოტა ძროხის ქონია!
წავალ საითმე, ვისთანმე,
გადვივლი სოფელ-სოფელა,
ხო ხედავთ, ჩემი მშველელი
არავინ არა ყოფილა!
ვერ მოვისვენებ ზამთარშიც,

კერ მოვასვენებ ძვალმანა. ა.
 კოტა ჩვარი რამ წაუგე
 გარში გაცვეთილს ქალმანსა!
 უნ იცის საღამდე ვიული,
 ან-კი ვიპოვი რამესა?
 უს მივადგები კარებზე,
 აად გავათენებ ლამესა
 არა, ძმავ, ლარიბ გლეხეაცსა
 როდეს გაუთენდება,
 თუ მუქთამჭამელთ ულელი
 ასევ კისერზე ედება.
 პანამლისინ კი ყოველთვის
 ფიქრები გამიცრულება,
 ყოველთვის ასე შიშშილით
 კოლ-შვილი ამილმულება!"

ასეთიც სიმართლითაა დახატული მოჯამაგირის ხვედრი:

„ჩემი დღენი და სიცოცხლე
 პიდის, ილევა სხვის კარზე,
 სხვის კალო, სხვისი სათიბი,
 სხვასთან ვენახში, გუთანზე!"

„ლუქმა რა არის, ლუქმაც კი შურთ ჩემთვის,—ჩივის მო-
 ჯამაგირე,—ქალამანს წონით მაძლევენ, ფქვილს სახმიადეს
 არწყვითა, ორ კვირას მამუშავებენ ერთ კვირის სამყოფ-
 საგძლითა“. ამ ლექსში იროლიონი გვიხატავს პირველი რე-
 კოლუციის დროის მოჯამაგირეს, რომელსაც მუშათა მოძ-
 რაობამ თვალები აუხილა. ეს მოჯამაგირე ოცნებობს მოი-
 პოვოს მაშა და თავისუფლება, მოიპოვოს არა თხოვნით და
 შუდარით, არამედ ბრძოლით:

..ნებით თუ არას მაძლევენ,
 ქალა შეც შემწევს მკლავშია,
 ზავალ და შევალ ჩემ ძმების
 აავგანწირულთა რაზმია...
 ეც იძათი ვარ ძმობილი,
 ქალს ცალთან უნდა ცალება.
 გაუბო, გვეყოფა სხვის კარზე
 პიშშილ-წეურუეილი, ვაება!"

იგრეთ ღდეა გაძოხატული ლექსში „სოფელი“. მძიმე მდგომარეობამ გლეხი თანდათან გამოათხიზლა. იგი ხედაკა, რომ პატიოსანი შრომით მას არ შეუძლია მდგომარეობა გაიუმჯობესოს. რასაც ქმნის სხვას მიაქვს და თვითონ მუდან ცარიელი რჩება:

„მუშაობ მაინც მშიერი რჩები,
არა მუშაობ — უარესია,
ის არი უფრო ფუფუნებაში.
კინც მყის, სადაც არ დაუთვესია!“

გლეხი იწყებს გამოსავალის ძებნას, თუალს იგი ოკულუ-
ციური ბრძოლებისაკენ მიაპყრობს და მასში დაინახავს
ხსნის იმედს. გლეხი ამშვიდებს ცოლ-შვილს — „მალე ცრემ-
ლები მომეწმინდება, ან პურს მოვიტან ოჯახისათვის, ან
ბრძოლის ველზე დამეძინებაო“. „სხვა გზა არ დამრჩენია,—
ამბობს გლეხი, — გავალ ჩემს ძმებთან და მტერს შევებმება.
უმჯობესია გამგმიროს ტყვიამ, ვიღრე ცოლ-შვილი ვნახო
მშიერიო“.

სწორედ ამ ხანებში პოეტმა „შექმნა საქიმლერთ ლექსი
„ურმული“, რომელშიც მყაფიოდ მოსჩანს მშრომელი გლეხის
მძიმე მდგომარეობა და მის მიერ ახალი გზების ძებისადმი
სწრაფვა. ლექსში აღწერილია თუ, როგორ ყვლეფერ და აშა-
მებენ გლეხს „ჩინოვნიყი“ და ვაჭარი, მღვდელი და მამასახ-
ლისი, გზირი და ჩაფარი, ბატონი და მისი მოურავი. გლეხი
დარწმუნდა, რომ მეფის დაპირებებც ფუჭია, რომ იმედი
არავისი არ უნდა ქონდეს და „თავის თავს თვითონვე უნდა
უშველოს“. ლექსის პირველი ნახევარი ასე თავდება:

„ჰარალო, ჰარალო, ჰარალო,
ჰარალო, ბიჭო გელაო,
ურმის კოფოზე ნუ ვზიევართ
სავა გზით თავს უნდა შველა!“



აქ გამოხატულია მოწინავე გლეხის ფიქრები, აზრები. ეს გლეხი გადაწყვეტს მხარში ამოუღეს მებრძოლ ძმებს—მუშებს და საერთო ძალით მოიპოვოს თავისუფლება:

„პარალო, პარალო, პარალო,
პარალო, ბიჭო გელო,
ურმის კოფოზე ნუ ვზივართ
მებრძოლ ძმებს უნდა შეელაო!“

იროდიონ ევდოშვილის სოფლის თემაზე დაწერილი მხატვრული ნაწარმოებები მოკლებულია იდილიურ განწყობილებებს, რაც ასე ძლიერი იყო მაშინდელ პოეზიაში. ამაშია მწერლის შემოქმედების ერთი მთავარი თავისებურება. იჩ. ევდოშვილისათვის უცხოა მოვლენების პასიური, ინერტიული ჰქონება. მის შემოქმედებაში ავტორის სუბიექტური განზრახვა და ნაწარმოების ობიექტური სენტენციები მთლიანია; პირველი მუდამ სათავეა მეორისა.

* * *

პირველი რევოლუციის წლებში იჩ. ევდოშვილს შემთხვევით არა პქონდა მოხვეული ფართო პოპულარობა მუშებსა და მშრომელ გლეხებში. პროლეტარული პოეტისათვის დამახასიათებელი რევოლუციური მგზნებარებითა და მთელის შთაგონებით უმღეროდა იგი მიმღინარე მომენტის იმ საბრძოლო ამოცანებს, რომლებსაც ბოლშევკები აყენებდნენ. როცა სტალინი წერდა „სახელი გავუტეხოთ სათათბიროს და თავი მოვწრათ მას ხალხის თვალში, — აი რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ“, — იროდიონ ევდოშვილი სატირულ ლექსებში მასხარად იგდებდა და დასცინოდა სათათბიროს:

„არა, ძმავ, რა ვქნა, ამევსო
გოთმინებითა ფილა,
ეგ თქვენი „დუმა“¹⁾ უფალმა
დასწყევლა, გაატიალა!“

¹⁾ სათათბირო.

1906-7 წლებში ოროდიონ ევფოშვილი აქტიური და მახლობელი თანამშრომელი იყო ბოლშევიკური პრესისა. გაზეთებში „ახალი დროება“, „მნათობი“, „ჩვენი ცხოვრება“, „დრო“, რომლებიც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გამოდიოდნენ. პოეტი, ლექსებს გარდა, პუბლიცისტურ-სატირულ ფელეტონებს ათავსებდა სხვადასხვა ფსევდონიმებით.¹⁾

ამ გაზეთებში მოთავსებული ირ. ევფოშვილის ლექსები გამოირჩეოდნენ პოლიტიკური აქტუალობითა და იდეური სრულად განვითარებით. ისინი წარმოადგენდნენ ბოლშევიკების მიერ წამოყენებულ საბრძოლო ამოცანების ერთგვარ ლიტერატურულ ილუსტრაციას.

ამხანაგი სტალინი თავის ცნობილ ბროშურაში „დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის გაერთიანებული ყრალობა“, იძლეოდა რა ღრმა მეცნიერულ, მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს მიმდინარე მომენტისას, ამბობდა: „დღეს უკვე ცხადია, რომ ხალხის რევოლუცია არ ჩამქრალა, რომ, მიუხედავად „დეკემბრის დამარცხებასა“, ის მარც იზრდება და უმაღლესი წერტილისაკენ მიექანება. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ასეც უნდა იყოს: რევოლუციის მამოძრავებელი ძალები ისევ ცოცხლობენ და მოქმედებენ, მრეწველობის გაძლიერებული კრიზისი უფრო და უფრო ძლიერდება, სოფლის ამაფორიაქებელი შიმშილობა დღითი-დღე ძლიერდება. — ეს კი იმას ნიშნავს, რომ შორს აღარაა ის დროს, როცა ხალხს რევოლუციური მღელვარება მრისხანე ნიაღვრად გაღმოხეთქავს. ფაქტები გვეუბნებიან. რომ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვებაში მზადდება ახალი გალაშქრება. — უფრო მწვავე და ლონიერი, ვიდრე დეკემბრის გალაშქრება. ჩვენ აჯანყების წინა დღეებში ვიმყოფებით“.²⁾

¹⁾ იხ. ლ. ასათიანი — „ი. სტალინი და ჭართული რევოლუციური პოეზია“, გვ. 34.

²⁾ იხ. ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 236-237.

ეს ის პერიოდი იყო, როცა რევოლუციას უკვე შემოე-ფანტნენ მერყევი თანამგზავრები, როცა ლიტერატურაში უკვე ფეხს იყდებდა დაცემულობა და წერილბურჟუაზიული ინტელიგენცია მშვიდ თავშესაფარსა და შეგუების გზას ეძებდა. იჩოდიონ ევდოშვილი კვლავ ამაყალ მისდევდა რევოლუციის ეკლიან გზას და თავის ლექსებში გაბეჭულად უმღერდდა იმ ახალ გალაშქრებას, რომელიც მაშინდელი რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მზადდებოდა; ამ მხრივ, მის სხვა ლექსებთან ერთად, მართლაც საგულისხმოა გაზეთ „მნათობის“ 1907 წლის საახალწლო ნომერში დაბეჭდილი ირ. ევდოშვილის „საჩუქარი“, რომელიც შთაგონებულია ამხანაგ სტალინის ზევით მოყვანილ ციტატში გამოხატული დღადი აზრით. ლექსში პოეტი ჭატავს რეაქციის თავაშვებული თარეშის სურათს და მასებს რევოლუციური ბარიკადებისაკენ მოუხმობს:

7

„მეგობრებო, ამ ახალ წელს
მსურს მოგიძლვნათ საჩუქარი:
ამხანაგთა საფლავები
და დღეების გლოვის ზარი
მეგობრებო, ამ ახალ ეწლს
მსურს გისურვოთ მხოლოდ ერთი, —
იგივ ბეჭი, იგივე გზა,
გოლგოთასთან შემართი
მეგობრებო, ახალ წელსაც
არსადა სჩანს განთიადი,
მაშ საჩუქრად მომიძლვნა
თქვენთვის წმინდა ბარიკადი!“²⁾

ამ პერიოდის ირ. ევდოშვილის ყველა ლექსი შემართების, გაბეჭული ბრძოლის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული.

²⁾ იხ. ლ. ასათიანი — „ი. სტალინი და ქართული რევოლუციური პოეზია“, გვ. 33-34.

* * *

ჩვენ ზევით საქმაოდ ნათლად დაეინახეთ თუ როგორი ღრმა ცოდნითა და დიდი შინაგანი უშუალობით გვიხატავდა პოეტი პროლეტარიატის ცხოვრებას. ზოგი ფიქრობს, რომ შეურლის შემოქმედება, ამ მხრივ, თემატიკურად შეზღუდულია. ეს არაა სწორი. ირ. ევდოშვილი მეტად დამახასიათებლად იძლევა ქალაქის მშრომელთა ცხოვრების თავისებურებას. ამავე ღროს იგი დოფერენცირებულად წარმოგვეღვინს მათ სახეებს. ერთის მხრივ გვიხატავს მუშებს, რომლებიც მძიმე პირობებში იმყოფებიან, მაგრამ მაინც სულიერად არ უცემიან, თავიანთ ბეღზე თვითონ ზრუნავენ, ორგანზებულად ირაზმებიან. და იწყებენ სოციალური უკულმართობის წინააღმდეგ ბრძოლას, მეორეს მხრივ, იგი ხატავს მეორე ნაშილს მუშებისას, რომელიც მძიმედ განცილის სოციალურ ჩაგვრას, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულა და ვერ შეუგნია თავისი კლასობრივი ამოცანები. მესამეს მხრივ — ევდოშვილი გვიჩვენებს თუ, როგორ წარმოშობს თანდათან ბურჟუაზიული ქალაქი, კაპიტალისტური ექსპლოატაცია ფსკერის ადამიანებს, დეკლასიურ ელემენტებს. ეს დეკლასიური ელემენტები დაგვიხატა მან „განკიცხულსა“ და „მატანტალაში“. ამასთან გვიჩვენა ამ დეკლასირების. ფსკერის ადამიანთა წარმოშობის ღრმა სოციალური მიზეზები.

კაპიტალისტური ურთიერთობის ღროს შიმშრილი მშრომელი ადამიანის განუყრელი თანამგზავრია. განსაკუთრებით მძიმეა ქალის მდგომარეობა. ფიზიკურად სუსტი არსება ამ საზოგადოებაში მრავალმხრივ შევეწროვებასა და დამცირებას განიცდის. მდგომარეობა ზოგჯერ აიძულებს მას უღირს გზას დაადგეს, გაჰყიდოს სხეული, პროსტიტუციით ირჩინოს თავი. განკიცხული სწორედ ასეთი ტიპია. პოეტი, რასაკვირველია, არ თანაუგრძნობს განკიცხულის საქციელს, მაგრამ იგი ებრალება, როგორც მოუწესრიგებელი საზოგადოებრივი

ცხოვრების მსხვერპლი. „იქნებ ლუკმისათვის, უბედურმა, გაყიდა თავი, დუხშირ ცხოვრებამ გადულახა ყმაწვილი გული, ანუ სახლიდან გამოაგდო ლოთმა დედამა და ახლა ჰქვია ქუჩის გოგო და „განკიცხული“. — ამბობს პოეტი გულისტეკივილით. იგი თანამიმდევრობით აგვიწერს განკიცხულის მძიმე ყოფას და უსაზღვრო სიძულვილს იწვევს მკითხველში იმ გარემო პირობებისადმი, რომლებმაც უმწეო ქალი ასეთ მღვმარეობამდე მიიყვანეს: ახალგაზრდა ქალი არ იცნობდა ცხოვრებას, მას არც ნათელი წარმოდგენა ჰქონდა ადამიანებზე. გავირვებულს ცხოვრების გზაზე ვიღაც ვერაგი და გულცბიერი შეხვდა, მოატყუა და ნამუსახდილი ქუჩაში დასტოვა იგი. „საცოდავმა არ იცოდა რა მოელოდა, როცა იკლავდა გულცბიერთან პირველად ტჩაჭობას“, მაგრამ როდესაც მწარე სინამდვილის წინაშე დადგა, ცხოვრების გზასთან ერთად გონებაც აერია და მთლიანად გარუკნილ ყოფას მიეცა: დაკარგა სინდისი, მორიდება, სირცხვილი. როცა მას შვილი გაუჩნდა, აღარც მშობლიური გრძნობა აღმოაჩნდა, უმანკო ბავშვი რომელიღაც სახლის კართან მიაგდო და მიატოვა.

ეს შვილიც წამოიზარდა და უპატრონოდ დარჩენილი დედის გზას გაყვა. დედა და შვილი ერთმანეთს არ იცნობენ, არც აფიქრებთ ერთმანეთის ბედი, მათ აღარც გული აქვთ, აღარც გრძნობა. — ასე გადააგვარა უსულგულო, სოციალურ უთანასწორობაზე აგებულმა საზოგადოებრივმა ყოფამ უმწეო ადამიანები. ამ ლექსში იროდიონ ევდოშვილი იმდენად განკიცხულის კრიტიკას არ იძლევა, რამდენადაც აშიშვლებს მაშინდელი ცხოვერბის კლასობრივ არსს.

ამავე თემას ეხმაურება ლექსი „მატანტალა“. „განკიცხულში“ პოეტი გვიხატავს უმწეო ქალის ბედს, ხოლო „მატანტალაში“ — მუშა მამაკაცის ცხოვრების ისტორიას. ირო-

დიონ ევდოშეილი ამ ლექსის გმირს შედარებით თანაგრძნობით ხატავს. მის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეთა შორის მატანტალა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განზოგადოებული სახეა. „ოდეს ჭაბუქსა, სიცოცხლით სავსეს, ჯან-ლონე გვეკონდა, შენ ოფლსა ღვრილი... და იგი კი სხვა კაცს მიპქონდა, მაშინ უნდოდი ქედ-წახრილი მუშა სოფელსა,—უკუღმართს... გულქეს და სიმართლის დამაგმობელსა! ახლა კი, როცა გაგიტყდა ჯანი, გისუსტა მკლავმა, — წუთისოფლისთვის შეიქენი ზედმეტი ბარგი“ — ეუბნება მუშას გულქვა სოფელზე (ე. ი. მაშინდელ გაბატონებულ ცხოვრებაზე) აღშფოთებული პოეტი. მოხუცი და ულუქმაპუროდ დარჩენილი, ძონძებში გახეეული მუშა ქუჩა-ქუჩა დაიარება, „ლონე მიხდილი უმკლავდება წყურვილს და შიმშილს“. მას ხშირად გვერდით გულგრილად ჩაუვლიან ძვირფას ფარჩაში გამოწყობილი ადამიანები, რომელთაც სიმღიდღე ამ მუშის შრომით აქვთ მოპოვებული. ახლა ისინი აღარ ამჩნევენ მათვის „ზედმეტ ბარგს“.

ირ. ევდოშეილი მუშას, რომელსაც მატანტალას, ქუჩა-ქუჩა მოხეტიალეს უწოდებს, თანაუგრძნობს. მატანტალას საარსებო საშუალება არა აქვს, არც ვინმე შემბრალე და გამკითხავი ყავს. მაგრამ პოეტი მას არ ამდაბლებს იქამდე, რომ მათხოვრად გახადოს, კარი-კარ ატაროს ხელგაშვერილი. არა, ასეთ სიცოცხლეს სიყვდილი სჯობია. ამაზე დამამცირებლად ადამიანისათვის მწერალს სხვა არაფერი მიაჩნია და თავის საყვარელ გმირს იგი აქამდე არ აქვეითებს. მოუხედავად უდიდესი გაჭირვებისა ბოლომდე უნარჩუნებს მას ადამიანურ სისპეტაკეს და სიამაყეს. მუშისათვის, რომელსაც არასოდეს მუქთად არ უცხოვრია, „მოწყალების მოთხოვნა შხამია“. „უნდა ითხოვოს... მაგრამ ვერ ბეჭავს, გული უწუშდება, სამოწყალოდ გაწვდილი ხელი უკუ ბრუნდება“. შეპყურებს რა ასეთ შემზარავ სურათს, პოეტი მიმართავს თავის გმირს:

„ნურც გამოელი უბედურო, თანაგრძნობასა, შენ მატანტალას აუ არავინ გიზამს ძმობასა“.

იროდონ ევლოშვილის პოეზიიდან მუშათა ცხოვრების ასახვისა და მწერლის ესთეტიკურ შეხედულებათა გარკვევის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს პოემა „მუშა და მუზა“—ამ ეპიურ ნაწარმოებში ავტორს გამოყვანრლი ყავს ორი გმრი—მუშა და მუზა (პოეტი). თვითონ იგი მუშის მხარეზეა და მუშის მცერ გამოთქმული შეხედულებები გამოხატავენ მწერლის თვალსაზრისს პოეზიის დანიშნულებაზე. ამ პოემაში ირ ევლოშვილი მწერლობის ამოცანად სახავს ხალხისადმი, მუშათა კლასისადმი ერთგულ სამსახურს. პოემა „მუშა და მუზა“ ირ ევლოშვილის, როგორც პოეტის ერთგვარ სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს, ხოლო მისი ამ პერიოდის შემოქმედება—ამ პროგრამის განხორციელების ლუსტრაციის.

პოემის ექსპოზიციურ ნაწილში ავტორი გვიჩატავს მუშის მძიმე შრომისა და ცხოვრების სურათს. მუშა აქ მას შშრომელის განზოგადებულ სახეთ ყავს წარმოლგენილი: აშენებს დარბაზებს—ბინა არა აქვს, მიწას ამუშავებს, ხნავს, თესავს, მოსავალი მოჰყავს—კვდება მშიერი; ქალაქიც და სოფელიც მუშის შექმნილია, „მათ მისი ოფლის ბეჭედი აზის და მისი სული თავზე ევლება“, მაგრამ მას მაინც იქ წილი არა აქვს, ცხოვრების გერად არას მიჩნეული, სევდიანად კვნესის ბნელ სარდაფში. უფრო ნათლად, რომ წარმოიდგინოს და მძაფრად განიცადოს მეითხველმა მაშინდელი საზოგადოებრივი ყოფის მთელი უბედურება, პოეტი ეპიზოდურად თვალშინ წარმოუზგენს მდიდართა ცხოვრების სურათსაც. ეს მკვეთრი კონტრასტული სურათები ნათელსა და ადვილად გასაგებსა ხდიან პოემის იდეას. მუშის ბნელი სარდაფის პირდაპირ გაჩირალდ-

ნებული დარბაზია, იქ მდიდრები მხიარულებენ, ბეჭნიერ განცხრომას ეძღვიან, მათი სიცილ-ხარხარი ატემარეს აყრუებს.

დილის მზემ სხივები თანაბრად მოპფრინა მიღამოს, გამოაცაცხლა ბუნება, მოულოდნელად „სინათლემ მუშის სარდაფუ-შეც შეაშუქა და აციმციმდა“. მაგრამ ეს სინათლე მზის სხივი არ იყო. როცა მუშამ მას შეხედა, გაუკვირდა. მის წინ იდგა მუზა, — „ბეღნიერების გამართობელი, შესტკირე ოქროს დარბაზებისა“. მუშასა და მუზას შორის დამახასიათებელი და მრავალმეტყველი საუბარი გაიმართება. ამ საუბარში ჩვენ დავინახავთ, რომ იროდიონ ევდოშვილი ლოტერატურის პარტიულობის პრინციპზე დგას. რომ იგი მწერლობის წმინდა მოვალეობად სთვლის ღრმად ჩასწევდეს ხალხის ცხოვრებას, სიმართლით დახატოს იგი და ნამდვილი ადამიანური ცხოვრებისათვის აუძგეროს მკითხველს გული.

ამ პოემით იროდიონ ევდოშვილი ბრძოლას უცხადებს ზეკლასობრივ, ურდეო, ყველასათვის „თანაბრად“ მომღერალ პოეზიას. მუშა რეალისტია, მან კარგად იცის, რომ სინამდვილეში არ არსებობს ასეთი მწერლობა. ბურეუაზიული მწერლობის „აპოლიტიზმი“ ფაქტიურად ღრმა პოლიტიკური აზროთა გამსჭვალული და მიზნათ მშრომელი მასების მოტყუებას, მათს პოლიტიკური შეგნების მოდუნებას ისახავს.

„მაგ შენ თვალებში სიცოცხლის ტალღა,—ეუბნება მუშა მუზას,—სულ სხვაფრად სცემს, სხვაფრად ლელავს, სჩანს შეზი ნაზი მკერდი ბროლისა ჯერ მწარე ცრემლებს არ დაუფარავს“. შენ სულ სხვაგვარად, მე სულ სხვაგვარად გვიცემს გული და გვილელავს გრძნობა, „შენ გაჩენილხარ სამხიარულოდ, მე თითქოს მხოლოდ სამგლოვიაროდ“.

მუზა უცხო სტუმრით გაოცებულ მუშას მშერდად მიმართავს და არწმუნებს, რომ იგი არც მდიდრებს ეკუთვნის და

არც ლარიბებს, რომ მისთვის სუსველა ერთია და ყველას თანაბრად უმღერის:

„ნუ მირისხდები, ბედთან გამწყრალო,
შე ყველასათვის ერთგვარად ვდღერავ,
ცისა და ქვეყნის მოციქული ვარ,
ორთავ ერთგვარად ვმოსავ და ვფერავ!
განა შენ არ ხარ ადამიანი,
შენთვისაც არის ხომ სიყვარული,
შენც ხომ გაქვს გრძნობა, გიყვარს სიცოცხლე,
შენც ხომ გითხოოლავს მკერდის ქვეშ გული?!”

მუზის სახით იროლოონ ევდოშეილი გვიხატავს ხალხისაგან მოწყვეტილ პოეტს, რომელსაც ყალბად ესმის ლიტერატურის დანიშნულება და ბურუუაზიული ესთეტიკის გაცლენაში იმყოფება, არ იცნობს ცხოვრებას და თვითონ ბედნიერს სხვაც ბედნიერი ჰგონა. მუშა გადასწყვეტს გააცნოს მუზას ცხოვრება, იგი წინ გაუძლვება და შემოატარებს მუშათა სარდაფებს, სადაც მხოლოდ ცრემლი და კვნესაა. მუზა გაოცდა და შეძრწუნდა, როცა მუშათა სარდაფებში მხოლოდ შიმშილი და ოქროსა და ფულის მიერ ადამიანის წმინდა სიყვარულის უხეშად გათელვა იხილა.

პოემა 1905 წლის რევოლუციის პერიოდშია დაწერილი და მასში ნათელ გამოხატულებას პოულობს ამ პერიოდის საბრძოლო განწყობილება. მუშა მიუთითებს მუზას განთიადზე, როს აღმოსავლეთით ცა წითლად იღებება და ათასობით გულები ეგებებიან მას. „შეუხმატებილე მათ შენი ჰანგი,—ეუბნება მუშა მუზას,—იყავი გმირი იმათთან ერთად, დე, ქარიშხალმა ძირს დასცეს კერპი, ადამიანი გადაიქცეს ღმერთად!“.

მწარე სინამდვილე მუზას ამაოების გრძნობას აღუძრავს. იგი დაჭვმობს „სიცრუეს ცისას და სიტყვას ლვთისას“. მუზა წარმოიდგენს, რომ „ზედმეტი ბარგია ამ ქვეყნად“ და გადასწყვეტს „ზღვის ტალღებს მისცეს ჩანგი თავისი“. მაგრამ აქაც მუშა უჩვენებს სწორ გზას, — აუხსნის მუზას, რომ

კვლავ სცდება. ახლა იგი კი არ უნდა განუდგეს ცხოვრებას, არამედ, პირიქით—მხარში უნდა ამოუდგეს მშრომელ მასებას და მათ კეთილდღეობას მოახმაროს თავისი ძალა და ენერგია. ჩამოხსენ ძველი სიმი მაგ მშვენიერ ჩანგა, ღმერთებს გადუგდე გასართობელად, ჩვენი ცხოვრება სულ სხვას გააბამს და ხმას მქუხარეს გამოსცემს ქვეყნაზღვა. მუზას იმედი დაუბრუნდა, „აათროთოლა ჩანგი და ათი ათას ხმას შეუერთა მან საბრძოლველი თავისი ჰანგი!“

ცხოვრებასთან უშუალო კავშირმა მუზაპოეზია ხალხის სამსახურში ჩააყენა და კეთილშობილი აღამიანური იჯეალებით აღაგზნო იგი. ასე იბრძოდა იროდიონ ევფოშეილი ლიტერატურის საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამაღლებისათვის, მისი ხალხთან დაკავშირებისა და კლასობრივი შინაარსით გამდიდრებისათვის. იროდიონ ევფოშეილისათვის უცხო იყო აპოლიტიკური, უიდეო, თვითმიზნური პოეზია. იგი წინა პლანზე სწევდა შინაარსს და მომენტის აქტუალური საკითხების დამუშავების ამოცანას.

მაღალიდეური მწერლობის ამოცანად პოეტი მშრომელი მასების პოლიტიკური გათვითცნობიერებისა და საბრძოლო დარაზმვის ინტერესებისათვის სამსახურს სთვლიდა. მისი ამ პერიოდის შემოქმედების სფეროში შედიოდა ყველა ის საკითხი და თემა, რომლებსაც აყენებდა მოწინავე პროლეტარიატი. ეს იყო საკითხი კლასთა ბრძოლისა, თვითმპურობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მშრომელი მასების ამხედრებისა, სამშობლოს სოციალური და პოლიტიკური თავისუფლებისა, თუ ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისა. არც ერთი იმდროინდელი მწერლის შემოქმედებაში არ უპოვია ისეთი მკაფიო გამოხატულება ინტერნაციონალისტურ სულისკვეთებას, როგორც პპოვა იროდიონ ევფოშეილის მწერლობაში. ისეთ თემებთან დაკავშირებითაც კი, რომლებსაც სხვა მწერლები წმინდა ნაცონალისტური თვალსაზრისით აშუქებ-

ლნენ, ეცდოშვილი ცდილობდა გამოეხატა ძმური თანამეგობრობის გრძნობა და ექადაგა ერთმანეთისადმი პატიცისცემის და დახმარების იდეა.

ამ მხრივ, მრავალ სხვა ნაწარმოებთან ერთად, საინტერესოა მისი პოემა „ლეკი ისმაილ“. ცნობილია, რომ მთის ლეკების მესვეურები ხშირად სარგებლობდნენ თავიანთი ხალხს ზოგიერთი ფენების ჩამორჩენილობით, აღგენდნენ მათგან რაზმებს, ესხმოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს და მის მოსახლეობას აწიოკებდნენ, იტაცებდნენ ქალებსა და მამაკაცებს; რომელთა განთავისუფლებისათვისაც დიდ გამოსასყიდს. მოითხოვდნენ. ქართველ ხალხს ხშირად უხდებოდა თავდაცვითი ბრძოლა მოთარეშე ლეკთა რაზმების წინააღმდეგ.

მართალია, ლეკთა მოთარეშე რაზმები დიდ ზიანს აყენებდნენ ქართლ-კახეთის მცხოვრებლებს, მაგრამ მამაც ქართველ ვჯყაცებსაც მრავალჯერ დაუმარცხებიათ შემოსეული მტერი და შესაძლებლობა ჰქონიათ შური ეძიათ მასზე. ქართულ მწერლობაში მოიპოვება ზოგიერთი ნიმუში, სადაც ავტორები ლეკი ხალხის მიმართ შურისძიების გრძნობას აღვიძებენ. ფეოდალურ-ბურუუზაზიულ ნაციონალისტური ლიტერატურისაკვის დამახასიათებელი ეს გზა პროლეტარული რევოლუციონერი პოეტისათვის მიუღებელი იყო და იგი ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისზე იდგა.

„ირ. ეცდოშვილის პოემა „ლეკი ისმაილ“ მთლიანად მეზობელ ხალხებს შორის ძმური მეგობრობის სულიკვეთებითაა გამსჭვალული. მთავარი გმირი ისმაილი ლეკია, მაგრამ მას გულწრფელად უყვარს ქართველები და მათთან მშვიდობიან თანამეგობრობაში ხედავს თავის სამშობლოს ბედნიერებას. ისმაილს სწამს, რომ თუ ამ (და ყველა მეზობელ) ხალხებს შორის ურთიერთ გაგება იარსებებს, გარეშე მტრები მათ ვერაფერს დააკლებენ. ისმაილმა შეიტყო, რომ ქართველთა სახელმოვანი მეფე ერეკლე გარდაიცვალა. ამ ამბავმა თავზარი

დასცა მას. „დაჯდა ისმაილ ციხის ძირს,—გვეუბნება პოეტი, —თავ-პირში იცემს „ვაითა“. ისმაილი მოხიბლულია ერეკლე შეფის არა მხოლოდ ვაჟა-პობით, არამედ მისი დიდი აზამიანური ბუნებრთაც. ერეკლეს სოკოლის იგი განიცდის. როგორც ქართველთა და ლეკთა თანაბარ უბეღურებას. როცა მას ეკოთხებიან, თუ რად სტირის, რა ჭირი დასიგონა თავის, ძობ ხომ არ მოუკლავთ მისთვის, ან ცოლ-შეილი ტყეეთ ხომ არ წაუკვანიათ,—ისმაილი გაოცებული უპასუხებს:

„—ვაირე, ხალხო, რას ამბობთ,
არ გიფიქრიათ თავზედა,
ვერ გაიგეთა ვარსკელავი
ჩაქრა სამშობლოს ცაზედა?
თუ თავსა ჭირში ვერა სცნობთ
ბრძები ყოფილხართ ბრძაზედა!
ომ, გული კვენესის, სიტყვანი,
რომ შაგონდება გმირისა,
პატარა კახიკ კახთ მეფის,
კახელთა დასატირისა“.

პოეტს ისმაილის სახე თანაგრძნობითა და სითბოთი აქვს დახატული. ეპიზოდურად, მაგრამ მეათიო ფერებით და განსაკუთრებული სიყვარულით წარმოგვისახავს ერეკლე შეფის. მართალია იროდიონ ევლოშეილი თავის თვალსაზრისს მთავარი პერსონაჟის—ისმაილის საშუალებით გაღმოგვცემს, მაგრამ ერეკლე შეფის სახეში აქსოვს იმ ბრწყინვალე დეეს ნათელს, რომელიც კეთილშობილ შუქს პფენს, როგორც ისმაილის პიროვნებას, ისე მთელ პოემას.

ისმაილი თავის ტირილსა და მოთქმაზე თავშეყრილ ხალხს ლეკთა და ქართველთა ჯარის ერთ-ერთი ბრძოლის ამბავს უყვება. ისმაილი თვითონ ყოფილა ამ ბრძოლის მონაწილე.

ლეკები, ამბობს ისმაილი, კახელებს „არ ასენებდნენ არც ზაფხულს, არც ზამთარსა“, ბოლოს მოთმინება დაკარგა ერეკ-ლემ და ლეკთა წინააღმდეგ ლაშქარი დასძრა. როცა შევხე-დეთ ქართველთა ჯარს, ჩვენც წინ ვაუკაცურად დავხვდითო-ისმაილი მიუდგომლად ახასიათებს, როგორც თავიანთ ბე-ლადს, ისე ერეკლეს, რომელსაც არასოდეს „მტრის წინ ქე-დი არ მოუხსრია თავისი ცოცხალი თავითა“.

ლეკთა ბელადი და ერეკლე ერთმანეთს პირისპირ შეხვდ-ნენ. როცა ერთმანეთს „შეებნენ ორი არწივი, ორივ ვეფ-ხვივით გულადი“, ქართველთა და ლეკთა ჯარი შეცბუნებული ერთ აღგილზე შედგა, თითქოს აქ ფალავნების საცერელად მოსულიყვნენ, ხელი ველარ გაანძრიეს და მღელვარებით ადევნებდნენ თვალყურს, თუ რით დამთავრდებოდა ორი გან-თქმული სარდლის შერკინება. ბრძოლა ლეკთა ბელადის და-მარცხებით დამთავრდა: ერეკლემ „ცხენი მიაგდო ფალავანს, თავიდან ხმალი დაუშვა, მთლად ჩაუარა ტალავარს“. შეკრთა ლეკების ჯარი, მაგრამ უკან არ დაიხია და „მტრის ხმლის ქვეშ ვაუკაცურად სული დალა!“

პოემაში ორივე მხარე თანაგრძნობითა დახატული. აქ არ არის ერთის გადაჭარბებული სიძულვილი და მეორეს გადა-ჭარბებული სიყვარული, რასაც შეუძლია მკითხველში ცუდი, ნაციონალისტური სიძულვილის და შურისძიების გრძნობა აღძრას. პოეტი სწორედ ისმაილს ალაპარაკებს ერეკლეს კე-თილშობილ საქმეებზე, რათა უფრო ობიექტური და დამაჯე-რებელი იყოს და მკითხველზეც უფრო ძლიერი იდეური ზე-გავლენა მოახდინოს. დავმარცხდით, ამბობს ისმაილი, ერეკლე ჯარით სოფელში შემოვიდა, გვეგონა მიგვლეწ-მოგვლეწა-

და, დაბრუნდებოდა დავლითა, მაგრამ დევგმირი ძალითა, გმირი ყოფილა სულითაც:

◆ „გარს ლეკი შემოიკიბა,
მიმართა ძმური სიტყვითა.
უთხრა: „ლეკებო, რას გვერჩიოთ,
რად არ გვანებებთ თავსაო...
ჩეენ არა ვემარობთ თქვენზედა
არც ხანჯალს, არცა ხმალსაო,
ამის მაგირ, თქვენც უნდა
ეძებდეთ ჩეენთან ზაესაო“.

ერეკლემ მამა-შეილურად დაარიგა ბოროტი ხელმძღვანელებისაგან გზას აცდენილი ლეკები და შინ დაბრუნდა. ერეკლეს ასეთმა მოქმედებამ მოხიბლა ისმაილი, იგი ჩაუფიქრდა თანამემამულეთა საქციელს და დარწმუნდა, რამდენად კეთილშობილური და ადამიანური იყო ერეკლეს მოქმედება—ამიერიდან არა მარტო ერეკლე შეუყვარდა ისმაილს, არა—მედ—მეზობელი ქართველებიც.

იროდიონ ევდოშვილის პროგრესული. შეხედულება, მისი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვთება, რისთვისაც დამახასიათებელია ხალხთა შორის ძმური მეგობრობა, ასე მკაფიოდ გამომჟღავნდა ამ, ჩვენს ლიტერატურაში ფრიად რთული თემის დამუშავების დროსაც. ეს პოემა-ლექსი ჩვენს დროშიც ინარჩუნებს ინტერესს. მას შეუძლია თანამედროვე მკითხველშიც სწორი ორიენტაცია გამოიმუშაოს და ჯანსალი სულისკვთება აღზარდოს. ამასთან, სახალხო გმირი მეფის—ერეკლეს სახე ასეთი ინტერპრეტაციით ჯერ არავის გაუშუქებია. იროდიონ ევდოშვილი ერეკლე მეფეს გვიხატავს. როგორც ჰუმანისტი, მეზობელ ხალხთა მოყვარულს და მათ შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების მოტრფალეს.

* * *

. როდესაც იროდიონ ევდოშვილის შემოქმედების თემატი-

ქაზე კლაპარაკობთ არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ მას საეთ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახულია მეფის დროის ციხე. იროდიონ ევდოშვილი ციხის თემასაც თავტებურად ამჟამებს; მეფის ციხეს იგი განიცდის მებრძოლი აზამიანის შეუპოვარი სულიკვეთების თვალსაზრისით და გაღმოვკეცემს ოკულუციონერის ურყევ, გაუტეხელ ნებისყოფას; მწვრალი ამ შემთხვევაშიც რეალისტურად უყურებს მოვლენებს. მისი ლირიკული გმირი სასოწარკვეთილებას არ ეძლევა, არ სწყებს სულიერ კავშირს ციხის გარეთ არსებულ მღელვარე ცხოვრებასთან. ბევრი მწერალი შეხებია ციხის თემას, მათ შორის ქართველი მწერლებიც, მაგრამ უმრავლესობას მუდამ გულგატეხილობა და სასოწარკვეთა გამოუხატავს. ციხე მათთვის ყოფილა სეთი ჯულრმული, საიდანაც მზის სხივების დანახვა არ შეეძლოთ, სადაც ადამიანის ფანტაზიაც უძლურდებოდა ციხის გარეთ არსებული ცხოვრების წარმოსადგენად. ასეთ მწერალთა ნაწარმოებებში ციხე პესიმიზმისა და სკეპტიკიზმისა მასაზროვებელი იყო. ისინი იმედს ჰყარგავდნენ, ხელს რღებდნენ ადრინდელ ლამაზ ოცნებებზე და გულგატეხილნი ბედს მიჰყებოდნენ პასურად. ქედმოხრილნი და დაუყილურებულნი. ეს განცდები და განწყობილებები იროდიონ ევდოშვილსიათვის უცხო იყო. მისმა შემოქმედებამ თავისი სულიერი სიკაბუკე აქაც შეინარჩუნა.

ლექსში „ციხეში“ (1905 წელი) მშვენივრადაა გაღმოცემული ციხის სურათი და იქ მყოფი პატიმრის განცდები. პოეტი ციხესაც დასჯორ პატიმარს ადარებს, მას გარშემო ყარაულები უჯგანან ხრშტებით და ხმის ამოღების საშუალებას არ აძლევენ. სიუმს ციხე, გულსაკლავ მყუდროებას მოუცავს იქაურობა, „სიჩუმეს არღვევს დარაჯისა მხოლოდ ფეხისხმა, ან პატიმრის ძილში მწარე ქვითნი, მოთქმა“. ლექსის ლირიკული გმირი, რომელიც თავის განწყობილებას გვიზრებს, ციხის პატარა სარკმელიდან გაშტერებული გაჰყურებებს შორს

ცას, საჭაც „ელვა გრეხავს ოქროს რეალებსა“. სურს ამ თავისუფალ ელვას გადაეხვიოს, შეუერთოს თავისი ფიქრები, მაგრამ ეშინიან ბორკილები არ შეარხიოს და მყუდროება ციხესა არ დაარღვიოს. იგი მაინც ვერ ძავენებს ციხეს ყრუ კელლებს შორის, სული ეხუთება; ალელვებული და ოლშფოთებული კადაპყურებს ქალაქს, რომელიც მშვიდ ძილს მისცემდა. და ამა-ყავ მომართავს,—გაიღვიძე, აღსდექი და მიპასუბ—..” თა ჯა როთვის დამამშეყვდე, სული შემიხუთე?“

რასაკვირველია. ამ ლექსის გმირი რევოლუციონერი არაა; მწერალს არც ჰქონია განზრახვა მასში რევოლუციონერის გან-შეყობილება გაღმოეცა. ლექსში დახატულია ჩვეულებრივა მშრომელი ადამიანი, რომელიც განუწყვეტლივ მუშაობდა, ენერგიას არა ზოგავდა, მაგრამ ცოლ-შვილი მაინც შემშელით ელსპებოდა, მის ტანჯვა-მოთქმას არავინ უსმენდა, „იჩვე-ლივ ყრუ იყო წუთისოფელი“. და შემდეგ, როცა ცხოვრებაში აიძულა ზიზღით შეეხედა სოციალური უკულმართობისათვის და დაეშეო მდგომარეობიდან გამოსავლის ძეგბა, იგი ციხეში ჩაამშეყვდიდეს „და ავაზაკის დაწერეს ზურგზე სახელი“. ირო-დონ ევლოშვილის პატიმარი ქედს არ იხროს მტარვალთა წე-ნაშე. მისი მზერა მარად სარკმლისაკენა მიპყრობილი და სა-ზოგადოებრივი ცხოვრების განთიადს ელის.

უფრო დამახასიათებელია ამავე პერიოდში დაწერილა ნოველა „კიხეში“. ეს ნოველა ძლიერი შენაგანი ექსპრესი-ითა დაწერილი. იგი აღსავსეა მამხილებელი სიმართლით, არსებული წყობილების უსაზღვრო სიძულვილით და მომავ-ლის რწმენით. ნოველაში აღდგომის დილაა აღწერილი. ირურავა, — გვეუბნება მწერალი, — ახმაურდა ქალაქი, ეც-ჩებში ხალხი სანთლებით ხელში მიღი-მოდიოდა, ზარები სამ-რეკლობიდან დასძახოდნენ ქალაქს: „ქრისტე აღდგა“.

„— ქეშმარეტად!“ — გაისმოდა ყოველ კუთხეში. ყველაზე ერთმანეთს ულოცავდნენ დიდებულ დღესასწაულს. ყველას

პირზე რაღაც სიხარულის ღიმილი უკრთოდა, ბედნიერებას ჟაშალა ფრთა და მას აჟყოლოდა დედამიწაც „... „დილის განთიადზე ძმობა და ერთობა დაჰქროდა, მას დაჰხაროდა ვარ-სკვლავებით მოჭედილი ცა, მას უგალობდა ხალხის გული, მისკენ მიურინავდა სული და მოტყუებული ოცნება...“

ციხის ფანჯარას მიყრდნობილი ტუსალი მესამე სართული-დან გადაჲურებდა მის წინ გადაშლილ ქალაქს. ფიქრებში წასული, ხედავდა, რომ ხალხს, რომელსაც ასე სწყუროდა ძმობა და თავისუფლება, ატყუებდნენ. ამ ზეიმში მხოლოდ „მოტყუებული ოცნება“ მოსჩანდა.

—„მაშ, აღსდგა ქრისტე?“—გაიმეორა ტუსალმა თავისთვის და კარებთან მდგომ დარაჯს მოჰქრა თვალი.

ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო მხატვრულ დეტალში ბევრი რამ არის ნათქვამი. ეს სიმბოლიური შტრიხია, რომელიც სრულიად ამყლავნებს აღწერილი „ზეიმის“ სიცალიერეს. ტუსალი აენთო, სარკმლის რეინებს ხელები ინსტიქტორად მოუკირა და მთელის ხმით შესძახა:

—„ქრისტე აღსდგაო, ძმებო!—ქრისტე აღსდგაო!“ ვერა ხედავთ, როგორ ლიტანიობს ხალხი! ვერა ხედავთ, როგორ შეპხარიან სიმართლის აღდგენას, ბოროტების დათრგუნვას, ძმბა-ერთობის გამეფებას, ცრემლების გაქრობას, სიხარულს, სიყვარულს! დაუგდეთ ყური ზარების გრევინვას, თვით ჰერსაც კი ატყობინებენ ქვეყნის ბეღლიერებას! ვაშა, ვაშა, ქრისტიანებო! მაგრამ დახედეთ თქვენს ბორკილებს, შეხედეთ თქვენს კარებზე აყუდებულ დარაჯს, სულშეხუთულ თავსუფლებას, სისხლში ამოსვრილს! დაუგდეთ ყური თქვენს ქვითინს, მოიგონეთ თქვენსკენ გამოწვდილი ხელები დედმამისა, შვილებისა, სატროვისი, ძმებისა! გადახედეთ შიღშილს, როგორ იცინს ოცნებით გატაცებული ხალხის ურიამულზე. გადახედეთ, როგორ უღარუნებს ბორკილი ამ წუთით გატაცებულ ხალხზე! გადახედეთ მძინარე ლომს—თავისუფლებას,

როგორ დასჩენის მას თავზე უვავ-ყორანი. აქა, ეს ჯვარიც, ეს ჩევნი ციხეც, რამდენია ჩევნში ბარაბა, რამდენისთვის აღმართულა ჯვარი და კიდევ რამდენს მოელის! მაშ, აღსდგა ქრისტე? სტყუის ზარი, სტყუის სამრეკლო!

ოცნებაა ხალხის ლიტანია, სტყუიან ზარები!—დაიძახა მან უკანასკნელად და მოხარა სარკმლის რკინები!

— შესდეგ!—შეუყვირა დარაჯმა და ტყვიით განგმირულმა გულმა მაინც კიდევ ამოიკვნესა:

— სტყუიან ზარები!..

მხოლოდ მჩეულმა გასცა უბედურს პასუხი“...

ასე ამთავრებს ამ მშვენიერ ფსიქოლოგიურ ნოველას მწერალი. „ციხეში“ ქართული ნოველის ერთ-ერთი სუკეთესონი მიმუშია. მასში მოვლენების სიმართლესთან ერთად გადმოცემულია გმირის განცდების სიმართლეც. აქ ჩევნ ვხედავთ, თუ მწერალი როგორი მხატვრული ოსტატობით უპირდაპირებს ერთიმეორეს ოცნებასა და სინამდვილეს. ხალხი ზერმობს, მაგრამ ამ ზეიმში, გვეუბნება ირ. ევდოშვილი, მისი დღევანდელი დღით კმაყოფილება კი არ არის გამოხატული, არამედ ოცნება, მისწრაფება ნამდვილი თავისუფლებისაკენ. რამდენადაც დიდია წყურვილი თავისუფლებისა, იმდენად ძლიერია მასებში ამ წყურვილის გამოხატულება. ამას მწერალი მოტყუუბულ ოცნებას უწოდებს.

ნოველა სხვა მხრივაცაა მნიშვნელოვანი.

მის გმირში ნაგულისხმევი უნდა იყოს დიდი რევოლუციონერი ლადო კეცხოველი. თუ გავიხსენებთ იმას, რა პირობებშიაც მეფის ჯალათებმა ლადო კეცხოველის მოკვლა მოაწყეს, აღვილად წარმოვიდგნო. რომ მწერლისათვის ეს ნაშელა ამ მხეცურ მკვლელობას შთაუგონებია. ლადო კეცხოველი უკანასკნელად მეტების ციხეში იჯდა. აქ მას „მტკიცებულის თავი, როგორც ეს ნამდვილ პროლეტარულ რევოლუციონერს შეჰქონის, იგი გამოდილდა პოლიციურ ჯალათთა

წინააღმდეგ ბრალმდებლის როლში და პატიმრებს შორის ეწეოდა აგრძაციას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ“ (ლ. 3. ბერია). მეფის ჯალათები ლადო კეცხოველში თვითმპყრობელობისათვის საშიშ პიროვნებას ხედავდნენ. დაპატიმრებული კეცხოველიც კი მოსუენებას უფროთხობდა მათ. ამრტომ გადასუსტეს შური ეძიათ მასზე, „რაიმე განსაკუთრებული ზომებისათვის“ მოემართათ. ეს „განსაკუთრებული ზომები“ ჩვენთვის ცნობილია. მოსყიდული დარაჯის საშუალებით ლადო კეცხოველი ტყვით მოჰკლეს საპატიმრო საკანში, როცა იგი მართლაც „რეინის ფანჯარასთან მრყუდებული... წინ გადაშლილ ქალაქს გადაჰყურებდა“.

ეს არის ბრწყინვალე მხატვრული ნოველა. იგი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ერთხელ კიდევ ზედმეტად ნათელყოფს იმ სულიერ კავშირსა და ახლო პირად ურთიერთობას, რომელიც თავიდანვე უნდა არსებულიყო პოეტსა და ლადო კეცხოველს შორის.

ე ვ დ ო უ ვ ი ლ ი ს პ რ ო ზ ა

იროდონ ევდოშვილი ბუნებით პოეტი იყო. იგი თავდავიწყებით ეძლეოდა გატაცებას, როცა შემოქმედებითს სამყაროში გადასული მხატვრულ სახეებს ძერწავდა. ამ დროს პოეტი იდეალური მიზნებითა და ლამაზი ოცნებით ცხოვრობდა. ეს ბრწყინვალე რევოლუციური რომანტიკოსი, ამავე დროს პრაქტიკული გონების, ცხოვრების ღრმა მცოდნე და დაკვირვებული ადამიანი იყო. ხასიათის ეს შინაგანი სიმდიდრე, რაც მეტნაკლებად ყველა ჭეშმარიტი მწერლისათვის არის დამხასიათებელი, მკაფიოდ აღიბეჭდა მის შემოქმედე-

ბაში. როგორც მწერალი, ეკლოშვილი გაცალებით უფრო რთულია, ვიღრე ეს ერთი შეხედვით გვაწერება. ამის მიზეზი ისაა, რომ ევდოშვილის სამწერლი მოღვაწეობა ჯერ კიდევ არ არის მთლიანად შესწავლილი. როდესაც საფუძვლიანად ეცნობით ევდოშვილის შემოქმედებითს ცხოვრებას, ხედავთ, რომ ეს შესანიშნავი პოეტი, იმავე დროს ბრწყინვალე პუბლიცისტი და საუკეთესო ბელეტრისტი იყო. ევდოშვილმა მხატვრული აზროვნების ყველა უანრში გამოამეოლავნა ჭეშმარიტი სამწერლო ნიჭის ძალა.

ჩევნ დავინახეთ, თუ როგორი პოპულარობით საჩერებლობდა ევდოშვილის იუმორი ცხრასახუთი წლის ჩეკოლუციის პერიოდში. იგი ამ უანრის ერთი საუკეთესო წარმომაზგენელია. ამასთან, ევდოშვილი ნიჭირი ბელეტრისტია. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, როგორც მცირე ფორმის მხატვრული პროზის ოსტატი. პროზა ევდოშვილის შემოქმედების ერთი ძირითადი უანრია. ამ უანრშიც ნათლად გამომეოლავნდა მწერლის ძლიერი შემოქმედებითი შესაძლებლობა, მხატვრული ფერების თავისებური შეგრძნობისა და მოვლენების რეალისტური აღქმის უნარი. შეიძლება უფრო მეტიც ითქვას. იროდიონ ევდოშვილს პროზაშიც საკუთარი სტილი, წერის მკვეთრად განსხვავებული მანერა ჰქონდა. თუ ევდოშვილის პროზა საზოგადოებასა და ლიტერატურის ძრობიაში დამსახურებულ ყურადღებას არ იქცევდა, ეს უმთავრესად იმით უნდა აისანას, რომ იგი უპირველესად პოეტი იყო, ხოლო, მისი პოეზიის დიდი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი რეზონანსი ერთგვარად ანელებდა ინტერესს მწერლის შემოქმედების სხვა უანრებისადმი.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის

დასაწყისში, საბას შემდეგ, პირველად იწყებს ალორძინებას მცირე ფორმის პროზა: ვითარდება ეგრეთ წოდებული მინიატურული, წვრილი მოთხრობების უანრი. განსაკუთრებით ალსანიშნავია ფსიქოლოგიური პროზის განვითარება. იროდიონ ევდოშვილი ამ უანრების ერთ-ერთი განმავრთარებელია.

მცირე ფორმის პროზის ალორძინება მჭიდროდ არის დაკავშირებული ფსიქოლოგიური ნოველის ბრწყინვალე ოსტატის შიო არაგვისპირელის სახელთან. შიო არაგვისპირელის პატარა მოთხრობებში დიდი შინაგანი ექსპრესიოთა და მხატვრული სიმართლით იყო დახატული ადამიანთა ყოფა, მათი სულიერი ცხოვრება. შიო არაგვისპირელის მოთხრობებისათვის დამახასიათებელია მძაფრი დრამატიზმი, პერსონაჟთა დადი ფსიქოლოგიური დაძაბულობა. ფსიქოლოგიურ პროზაში ყურადღება მიიქცია ჭოლა ლომთათიძემაც, მაგრამ ჭოლას პროზა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თავისი ფსიქოდეური განწყობით. მაშინ, როცა არაგვისპირელის მხატვრული აზროვნება საზრდოობდა საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცდილებით, ჭოლას პროზაში სკარბობდა :ინდივიდუალიზმი, კერძოულ შემთხვევათა „განზოგადოება“, პესიმისტური მოტივები. ეს პესიმისტური სენტენციები ხშირად ავადმყოფურ განწყობილებაში გადადოდა.

როდესაც იროდიონ ევდოშვილის პროზას ვიხილავთ, ბუნებრივად ამ ორი ბელეტრისტის სახელი გვაგონდება. იროდიონ ევდოშვილის შემოქმედების მეორე პერიოდში შექმნილ მოთხრობებში არის ისეთი ელემენტები, რომლებიც აახლოვებენ მას ჭოლა ლომთათიძის პროზის სტილთან, კერძოდ მის ინდივიდუალიზმთან (ბიოგრაფიული შტრიჩების განზოგადოება და სხვ.), მაგრამ ევდოშვილი უფრო ორგანიულად შიო არაგვისპირელთან არის დაკავშირებული. ამის მიუხედავად

ინოდათ ევლოშვილს მარც აქვს დამოუკიდებელი სახე. ევლოშვილის პროზაში მოვლენების ფსიქოლოგიურად აღქმასას ლირიკული განცდა და რეალისტური უშუალობა სკარბობს.

ევლოშვილის მოთხრობები ყურადღებას იქცევენ ცხოვრებისა და ადამიანის ლრმა და ყოველმხრივი ასახვით; ამასთან, ისინი გამოიჩინევიან ლაპიდარულობით, სტილის სრულით და გადმოცემული განცდების ზომიერებით. ევლოშვილის პროზა მეტყველი რეალიზმით ხასიათდება. მასში იგრძნობა ავტორის ნათელი ალლო და ტიპიურის შეცნობის უნარი. მისი მხატვრული ფანტაზია არასოდეს არა სცილდება სინამდვრებას. ევლოშვილის მოთხრობებით მკითხველი მუდამ ცხოვრებს უტყუარ სურათებს ეცნობა, მის თვალშინ გადაიშლება აღებული ეპოქის დამახასიათებელი მოვლენები თავიანთი შინაგანი სოციალური წინააღმდეგობებით.

ევლოშვილის მოთხრობებს მხატვრული თავისებურებაც გააჩნია. ისინი აგებულია კონკრეტულ ამბავზე, არაკზე. ამ არაკში აღმეცდილია უმთავრესად უშუალო შთაპეჭლილებები, — ის რაც მწერალს უნახავს, განუცდია.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარმოებას, რომ ევლოშვილის პროზა სრულია თავისუფალია უცხოური გავლენისაგან. ევლოშვილის პროზაც, ისევე, როგორც მისი პოეზია, მშობლიური ხალხის ინტელექტუალურ კულტურიდან იღებს საწყისებს. მწერალი მუდამ ცდილობს ერთგული დარჩეს, ერთის მხრივ, ფოლკლორისა, ხოლო მეორეს მხრივ, მეცხრამეტე საუკუნის ქართული კლასიკური პროზის ტრადიციებისა... მაგრამ კლასიკური მემკვიდრეობის საუკეთესო ტრადიციებისადმი ერთგულება ხელს აქ უშლიდა ევლოშვილს ნოვატორული გაბედულობით წასულიყო წინ, ეძებნა შესატყვისი ფორმები ახალი მასალისა და იდეების გამოსახუ-

ტავაზ. ეს ითქმის კურძოდ მის მიერ რეაქციის პერიოდამდე შექმნილ ნაწარმოებებზე.

იროდიონ ევდოშვილმა დაწერა მთელი რიგი მოთხრობებისა მუშათა და გლეხთა ყოფა-ცხოვრების, თემატიკაზე; ამ მოთხრობებში მკვეთრად იყო გამოხატული კლასობრივი ანტაგონიზმი, კაპიტალიზმის ექსპლოატატურული და მორალურად გამხრილი ბუნება. როგორც ამ პერიოდის პერიოდი, ისე პროზაშიც მწერლის თანაგრძნობა მიპყრობილია მუშებისა და მშრომელი გლეხობისაკენ. მათ მომავალ ბეჭრიერებაზე ფიქრი წარმოადგენს მწერლის შემოქმედების ჯაფრეტელ წყაროს,—სათავეს გზნებარე პათოსისა და რეკლამურური რომანტიკისა. ამიტომ იროდიონ ევდოშვილის პროზა ყურადღებას იქცევს არა მარტო თავისი თემატიკით. არამედ დღეური მიზანსწრაფვითაც. ამ შემთხვევაში იგი ანკათარებს დადი რეკოლუციონერი მწერლის—ეგნატე ნინოშვილის იდეურ ტრადიციას და მასთან ერთად სათავეს უქმნის ახალი საუკუნის პროგრესიულ-რევოლუციურ ბელეტრისტებს.

როგორც ზევით დავინახეთ, იროდიონ ევდოშვილი ადრილანვე დაუკავშირდა მუშათა კლასს და თავისი შემოქმედების აღმავლობის ხანაში შეუდარებელი საბრძოლო პოლიტიკური სიმღერები შექმნა. ამ დროს იგი, როგორც ბეჭრიასტური, მუშათა ცხოვრებით ინტერესდება. თამამად შეძლება ითქვას, რომ ქართულ ბელეტრისტიკაში იროდიონ ევდოშვილმა პირველმა დაწერა მოთხრობა საწარმოო თემაზე, სადაც ნაჩვენებია, ერთის მხრივ, მუშების აუტანელი და დამამცირებელი შრომა, ხოლო მეორეს მხრივ, მხილებული მეწარმეთა უსულებულო, არაადამიანური, მგლური ექსპლოატატორული ბუნება. ამ მოთხრობებიდან ყურადღებას იქცევს „შადრევანი“ (1898 წ.).

ბაქოში ყოფნისას ირ. ევდოშვილი წავთის სარეზოებზე მუშაობდა. იქ იგი მუშათა წრეში ტრალებდა, ეცნობოდა

მათ მდგომარეობას და საუგიტაცია მუშაობას ეწეოდა. ამ დროს წერს იგი მოთხრობას „შაღრევანი“, რომელსაც ავტორითა ესკიზი უწოდა. მოთხრობაში აღებულია ნაეთის საჩუ-შაოს ერთი პატარა უბანი. მწერალი სიუჟეტს ძირითადად ერთი ჭაბურლილის ამბავის გარშემო აგებს, მაგრამ ეს ცალკეული, კონკრეტული მოვლენა ისე დამახსიათებელი და მხატვრული სიმართლით არის აღწერილი, რომ მკითხველის თვალშიც მთელი ბალახანის სურათი იშლება: შუშათა შქმედია აუტანელ მდგომარეობასთან ერთად იგი ეცნობა ბურეულ-ზის მტაცებლურ ბუნებას. მოთხრობის შესავალში დახატულია ის მძიმე პირობები, რომელშიც მუშებს შრომა უხდებათ. „ღრუბლიანი, მაგრამ წყნარი დღე იყო. სამეცეცხლურე-ებისა და სახელოსნოების კომლი ორთქლთან ერთად ჯანყი-ვით შემოხვეოდა ჭაბურლილების კოშკებს. ამ ნისლწი ბალა-ხანა შორიდან რაღაც ზლაპრულს ტყეს მოგაგონებდათ. აქა-იქ ისმოვა ტუმბოების ტკაცუნი, ორთქლის ქვავებისა და მან-ქანების ხეაური. ქუჩებში ფაცაფულით მოძრაობდნენ შავი, მაზუთში მოსვრილი ადამიანის მზგავი არსებები. ჯაგვები ზედა მანებამდის ეფლობოდა მტკერში. პაერი გაუღენთილი იყო მაზუთის გაზით და რაღაცნარი განსაკუთრებული მყრა-ლი სუნით, რომელიც კაზარმების ღია კარებიდან და ორგვლივ დაყრილ დამპალი ნაგავიდან მოდიოდა“... შემდეგ მწერალი აღწერს დაძაბული შრომისაგან დალლილ-დაქანცული მუშების სულიერ განწყობილებას და მკითხველის ყურადღებას „რა-ღაც სასწრაო სამზადისისაეკნ“ მიაპყობას. „ორმოციოდე მუშა მიწის ზვინულს აკეთებდა და „ამბარს“ წმენდა მა-ზუთისათვის, სხვები მიღებს მიღებზე ამაგრებლნენ, აქეთ-ექით დარბოლნენ და რაღაც გადაპქონდ-გაღმოპქონდათ“.

მხოლოდ მოძრაობასა და ლაპარაკზე თუ შეატყობდით, რომ ესენი აღამიანები იყვნენ, — გვეუბნება მწერალი, — თორუმ მიწისგან გამოძერწილ აღამიანის მზგავს არსებებს ჰგვანდნენ.

შორიახლო ერთი ჩასუქებული და ნებიერი ადამიანი იჯგა
და მთელ ამ მოძრაობას თვალყურს აღევნებდა. ეს იყო სა-
რეწაოს მმართველი. იგი მალიმალ იმ შადრევანისაკენ მიაპ-
ყრობდა მზერას, რომელსაც მალე უნდა ამოეხეთქა და რომ-
ლისთვისაც მთელი ეს სამზადისი მიმდინარეობდა. მას განსა-
კუთრებით მხიარული გამომეტყველება ჰქონდა. მმართველს
მარტო ის კი არ ახარებდა, რომ მის ბატონს სიმდირის ახა-
ლი ნაკადული ემატებოდა, რომ ეს-ეს არის ამოხეთქავდა
შადრევანი და დაიწყებოდა ახალი მილიონების აზოფრევევა,
როგორც მწერალი ამბობს, არამედ ისიც, რომ მეზობელი
სარეწაოს მმართველი ჯავრით გასკდებოდა, რომ მის ბატონს
ახლა უფრო თამამად შეეძლებოდა ეფიქრა კონკურენციაში
მოწინააღმდეგის დამარცხებაზე.

„დაღამდა. მოქუშულ ცაზე აქა-იქ ვარსკვლავები ჩანდნენ.
მთვარე კი ლრუბლიდან მკრთალად ანათებდა ბალახანს რა-
ონს. ქუჩებში მოძრაობა შეწყდა“. სარეწაოში კი მუშაობა
მთელ ღამეს გრძელდებოდა. ამ ერთფეროვნებას დროგა-მომ-
ვებით არღვევდა ხმამალალი თათრული სევდიანი სიმღერა,
რომელიც მწუხარე კვნესას ჰგავდა. „მღეროდა ან მეცეცხ-
ლური,—ამბობს მწერალი,—რომელიც ორთქლის ქვაბებთან
იხრავებოდა, ან მძიმე მუშაობით გაწამებული ამომქასვ-
რელი“.

შადრევანი ჯიუტობდა. მმართველი მოსასვენებლად წავი-
და, მუშები კვლავ განაგრძობდნენ შრომას. საბრალო აბდუ-
ლას არაქათი გამოელია, ტყუილუბრალოდ ზიდავდა სილითა
და ქვით სავსე „უელონკებს“. „დალლილობისაგან თვალები
დაუკარისოვდა და ნაკვერჩხალივით აენთო, განუწყვეტელი
მოძრაობისაგან ხელ-ფეხი თითქოს წაერთვა და სხეულს მოს-
ცილდა; მთელ სხეულში ძვლები აუტანლად სტკოლდა“. ვაწა-
მებული აბდულა გრძნობდა, რომ სხვისთვის შრომობდა ასე
პირიტყვულად. „წყეულიმც იყავ, შადრევანო!—... რას მომ-

ცემს მე ეს შადრევანი?!“ კითხულობდა იგი ჩურჩულით. პასუხი აბდულასათვის ნათელი იყო, მაგრამ თავს ზევით ძალა არა ჰქონდა. არ, გაიფიქრა კიდეც შინ წასულიყო, მაგრამ მაშინვე გაახსენდა ოჯახი და თვალშინ საშინელი სურათი წარმოუდგა: „გაახსენდა თავისი ლეილა, რომელიც უკვე ნახევარი წელიწადია არ უნახავს, გაახსენდა იგი და მასთან ერთად თვალშინ დაუდგა თავისი ღარიბი მშობლიური კერის სურათი: მოხუცი მამა, ბებერი დედა და ნახევრად დანგრეული ქოხი. მწარე იყო აბდულასათვის ეს წუთები“... მოაგონდა თავისი ბავშვობა, როცა იგი მეგობრებთან ერთად ქურცივით ლალად ხტოდა ლამაზ ტყეებსა და მწვანე ხაერდოვან მინდვრებზე, გაახსენდა ისიც თუ როგორ მოულოდნელად გაქრა ეს „კეთილდღეობა“ და ამ ჯოჯოხეთში მოხვდა. „დალლილ აბდულს გაუწყდა მოგონებათა ძაფი“ და მის ცნობიერებაში ერთმანეთში აირია დაუმთავრებელი აზრები და ბუნდოვანი სურათები. „რალაც საშინელი კოშმარი დაეუფლა. მისი ხელები უნებურად დაეშვა მუხლებზე და იგი ჯიხურს მიეყრდნონ“. ამ დროს მოულოდნელი ხმაური გაისმა. აბდულა სწრაფად წამოიქრა ზეზე, მიხედა რაშიც იყო საქმე, იცოდა, რომ არ აპატიებდნენ ასეთ გაუფრთხილებლობას, მაშინვე აიქრა ჭაბურლილის კოშკზე და ზაუწყობორბალში გაჩხირულ „უელონკას“ განთავისუფლება. ამ დროს შადრევანში დუღილი ახალი ძალით განახლებულიყო. „უცბად გაისმა საშინელი მიწისქვეშა გუგუნი, ათროთოლდა ჭაბურლილის კოშკი და ერთ წუთში ნავთის სვეტზე, როგორც გაცოფებული ლომი, ხმაური ამოვარდა ღრულიდან. ერთი წუთის შემდეგ აღარ ჩანდა ჭაბურლილის კოშკის ზედანაწილები და დამტვრეული ფიცრები ხორცის რალაცა ნაკრებიანად წამოვიდა ძირს“. „გრანდიოზულმა შადრევანმა ამოხეთქა, ასე დიდხანს რომ ელოდნენ და ნატრობდნენ, — დასძენს მწერალი ირონიით, — დაიწყო მილიონებს ამოფრქვევა“...

ჭაბურღილის ორგვლივ ფუსფუსებდნენ ასეულობით მუშაბი, საბრალო აბდულა კი აღარსად იყო. მმართველი და პატრონი საკმაოდ შორს იდგნენ და იქიდან იძლეოდნენ გაუკარგულებებს, მეზობელი სარეწაოების მეპატრონები კი შურით შეჰყურებდნენ ახალ შადრევანს.

ამ ესკიზში მხატვრული უშუალობითა და რეალისტურად არის ასახული მოვლენები; იგი გამოირჩევა სიტყვის იშვიათი ეკონომიით, ფრაზის ლაქონიურობითა და ფსიქოლოგიური სიმართლით. მწერალი ამ პატარა მოცულობის ნაწარმოებში ახერხებს დამახასიათებლად დახატოს, როგორც ადამიანთა შინაგანი ცხოვრება, ისე გარემო პირობები.

იროდიონ ევდოშვილის ყველა მოთხრობაში ცხოვრების ყოველმხრივი ცოდნა, მახვილი მხატვრული თვალი და ფერების გრძნობის დიდი უნარი ჩანს. მწერალი ყველგან დიდ ზომიერებას აღწევს და იშვიათი დამაჯერებლობით აცოცხლებს აღებული დროის ტიპიურ მოვლენებს. მისი ნაწარმოებით თავისი დროის ერთგვარი მხატვრული ისტორიაა. მოთხრობაში „როგორ გაჩნდა ქვეყანაზე ჭაობი“—ასახულია თუ როგორ გადაგვარა კაპიტალიზმის განვითარებამ ადამიანები ზნეობრივად, როგორ აქცია ისინი ოქროს მონად. კერძო საკუთრების გაჩენასთან აკავშირებს მწერალი ადამიანთა ერთი ნაწილის მორალურ დაქვეცთებას. სანამ არ იყო იგი, სანამ არ იყო ოქრო, ადამიანებმა იცოდნენ სიყვარული, იცოდნენ მეგობრობა, ერთმანეთის გატანა, გაჩნდა ოქრო და ადამიანია ადამიანისათვის უცხო შეიქმნა,—გაჩნდა შური, სიძულვილი, მტრობა, გაუტანლობა.

დიდია ირ. ევდოშვილის მოთხრობების მნიშვნელობა სურად იმიტომ, რომ მათში შემოქმედებითი შთაგონებითა და მხატვრული დამაჯერებლობით არის ასახული პოლიტიკურად მახვილი და აქტუალური თემები. ირ. ევდოშვილის პროზა თემატიკურად ავსებს მის პოეზიას და დიდად ამზიდრებს,

საერთოდ, მწერლის შემოქმედებას. მას პროზაში დამუშავებული და გაშუქებული აქვს. მთელი რიგი ძეგლი პრობლემებისა, რომლებიც აინტერესებდა და აუზებდა მაშინ ჰუწინავე საზოგადოებას. რომ არაფერი ვთქვათ ისეთ ძობურაბებზე, როგორიცაა „ორი ობოლი“, სადაც ასახულია ერთის მხრივ, ღარიბთა და ობოლთა მძიმე ცხოვრება, ხოლო, მეორეს მხრივ, ბურუუზიული არისტოკრატის უსულგულო და არა-აუამიანური საქციელი, ან ზელაპარა „ძველი გულა“. საჯავა წაჩვენებია, თუ როგორ მექანიკურად სცვლიდა ახალი წელი ქველ წელს, როგორ მოჩვენებითი იყო ახალი წლის დადგომით გამოივეული სიხარული, რადგან ის არსებითად არათერს სცვლიდა ადამიანთა ცხოვრებაში და ავტომატურად განაგრძობდა ძველი წლის ტრადიციას, ანუ, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, მას შებლს უმშვენებდა ყვავილებით მოქარგული წარწერა:

„ახალი წელი!“
ხოლო ზურგა-კი:
ძველი გედა!“

ჩვენ წინ არის მოთხოვბა „სასუნელი ენოქი“. მასში გამოხატულია თურქ დამპყრობელთაგან აწირებული და დარბაზული სომეხი ხალხისადმი თანაგრძნობისა. და მეგობრობის წმინდა გრძნობა. მოთხოვბა პირველ პირშია დაწერილი. მწერალი აგვიწერს პირველ იანცარს. ახალწლის დღე იყო, გვეუბნება ნაწარმოების გმირი.—საზოგადოდ ამ წელს თბილი ზამთარი იდგა... თბილისის ქუჩები საკვე იყო ხალხით, აუარებელი ეტლები გვერდს ძლივს უქცევდნენ ერთმანეთს... მეც, როგორ მომწყინდა სიარული, შინ დავბრუნდი, ავანთებუხარი და მოვუჯექ გვერდითო.

ბუხარში ცეცხლი გიზგიზებულა. მოთხოვბის გვირი გაშტერებული მისჩერებოდა ბუხარს და ფერებს წელი... დიდხანს ცენტრი მდგომარეობაში, რომ მისი მყლდროება სა-

ლამურის სევდიან ხმას არ დაერღვია. იგი წამოიჭრა ზეზე, კარი გამოალო და მის თვალშინი საშინელი სურათი გადაიშალა: სალამურს, ოომლის სევდიანი ჰანგები მის სულიერ განწყობილებას ესალმუნებოდნენ, უკრავდა ჩოხაშემოხეული და კანკებ ტიტველი მოხუცი. მას „ბეღდიერებით თვალებდაბრმავებულთა“ ჯგუფი შემოხვეოდა გარს და ხარხარებდა. ამ ადამიანებს მწერალი მხოლოდ ერთი ფრაზით ახასიათებს: „ისე შემოსწოლოდათ გულზე გაღამეტებული საჭმელი, ოომძლივსლა ქშინავდნენ“. ამის შემდეგ მკითხველის ყურადღება ავტორს მოხუცზე გადაქვს და მის ვინაობას გვაცნობს. მოთხრობის გმირმა სალამურის დაკვრელი თავის ოთახში შეცყვანა და ვინაობის გამოკითხვა დაუწყო. პირველად მოხუცს უკვირდა თუ რატომ იჩენდა ასეთ ცნობისმოყვარეობას ეს უცხო ადამიანი. იგი უერ მიმხვდარიყო თანამოსაუბრის გულისთქმას, ეგონა სალამური მოეწონა და გასართობად შემიწვია. როცა მთხრობელი შეეკითხა — „ის შენ იყავი, რომ აკვენესებდი წელან სალამურს?“ მოხუცმა მშვიდად მიუგო — მე გახლდით და სალამური ტუჩებზე მიიდო, — ეგონა დაკვრას მოხოვსო. მთხრობელი შეეაჩერებს მოხუცს და ეტყვის — არა, მე მომეწონა შენი სალამურის დაკვრა და მიიდა გავიგო სადაური ხარ. მოხუცი ირონიულად გადახედავს სალამურს და მიუგებს:

„— სასუნელი გახლავართ. — ამ სიტყვებთან ენოქმა ისე ამოიკვნესა, რომ გეგონებოდათ გულ-ლვიძლში ხანჯლის წვერმა გაუარაო“. — გვეუბნება მწერალი.

ამის შემდეგ მოხუცი სასუნელი უყვება მოსაუბრეს თუ, ოგორ დაარბია მისი სამშობლო თურქეთმა, როგორ ამოწყვეტა უდანაშაულო ხალხი: „არც მე ავსცდი საერთო უბედურებას, მეც ჩემი თანამემამულეთა დღე დამადგა. მეც მქონდა ოჯახი, სახლი, კარი, მყავდა ცოლი, ქალიშვილი, ორი

ვაკი, ორივენი მტერს შეაკვდნენ. დედა ზედ დააჭრეს გაუპარულებულ ქალს. მამა? არ, მამა შენ წინ დგას და არ გაკვაჩს, რომ მას კიდევ უდგა სული?! არ ვიცი რა ცოდვა მიძირვის უფალთან, რომ მე ცოცხალი დამტოვა. ბევრჯერ ჩატვარდი მტერს მახვილქვეშ, მაგრამ სიკვდილი არ მეღრისა". აუკა ისე ამბობდა ენოქი, რომ იგი მართლაც გულშროფელად შენატროდა სიკვდილს. მწერალი იშვიათი სითბოთი და თანაგრძნობით ხატავს ენოქს. ეცნობა მკითხველი მის ტანჯვით აქსაცე თავგადასავალს, ისმენს მის სიკვდიან თხრობას და სულერი მღელვარება იპყრობს, სიძულვილის გრძნობა ეუფლება, თურქ დამპყრობელთა მიმართ, მძასაც სურს მაშინვე ძმური დასხვარების ხელი გაუწოდოს სამშობლოს მოწყვეტილსა და უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანს.

ირ. ევდოშეილი მარტო ამით არ კმაყოფილდება. იგი გვაცნობს თავისი გმირის სოციალურ ვინაობასაც. ენოქი მურობელთა წრეს ეკუთვნის. მას მწყემსობაში შეუსწავლია სალამურის დაკვრა, რომლის პანგებშიც ასე ბუნებრივად აქსოვდა თავისი ხალხის სულიერ ტკივილებს. ოდესლაც ენოქიც „ტკბილად“ ეგებებოდა ახალი წლის დღესასწაულს. ახლა კი კარისკარ დაწანწალებს ლუქმაპურის საშოვნელად და რომელ ქუჩაზე წამოეწევა სიკვდილი, არ იცის. მისი ძვლები „სიბერის დროსაც არ ეღირსება თავის სამშობლოში დამარხვას“.

ირ. ევდოშეილის მოთხრობებიდან არ შეიძლება არ გაცისხენოთ „დანგრეული კერპი“. ეს მოთხრობა დაწერილია პატველი რევოლუციის დღეებში. საცენზურო პირობების გამო მოთხრობის თემა მწერალს განზრას შორეულ წარსულში აქვს გადატანილი, სინამდვილეში იგი 1905 წლის რევოლუციას ეხმაურება და ასახავს, ხალხის შეუპოვარ ბრძოლას თვითმშეყრობელობის წინააღმდეგ. თვითმშეყრობელობა შედარებულია „კერპთან“, რომელიც სტანჯაჭა უა

აწამებს ხალხს. ცხრასხუთი წლის ამბებს მწერალი განიხლავს, როგორც მშრომელთა წარსული ბრძოლების გაგრძელებას, მის დაგვირგვინებას. მწერალი მოთხოვბაში იმ თვალსაზრისს გამოხატავს, რომ მშრომელთა არც ერთ აღრინდელ ბრძოლას უნაყოფოთ არ ჩაუვლია. სამართლიანი საქმისათვის დაღუპულთა სისხლმა გააპოხერა ნიაზაგი და ამ გაპოხერებულ ნიაზაგზე წარმოიშვა რევოლუცია:

„ბევრი, ძალიან ბევრი თამამი და თავგამოდებული დაიღუპა უდაბურს ტყეში, ბევრმა დალია სული მხეცების კლინიკებში, ბევრმა ხალხის შეილმა გააპოხერა მიწა თავისი სისხლით, მაგრამ არცერთი წვეთი სისხლისა არ იკარგებოდა ამაოდ, არც ერთი წვეთი ცრემლისა არ ქრებოდა უნაყოფოდ. ყოველი მოქნეული მკლავი იყაფავდა წინ ულრან ტყეში ბალიკს, რომელზედაც ხალხს კვნესა აბობოქრებულ ზეირთაკო მიისწრაფოდა წინ ერპისაკენ. — ამ დაკოერებულ, ეკალ-ნარისაგან დასერილ ხელებს ეჭირათ დროშა სიმართლისა, სიყვარულისა. ხალხი გრვენავდა დაჭრილი ლომიერთ, მის თავზე ფრინალებდა თამამი დროშა. უა აჲა, არ გაპქრა ამაოდ მისი მისწრაფება, მისი სლავები. მალე ათი ათასმა აწვდილმა ხელმა დასცა ძირს შეუტალებელი კერპი, რომელსაც ქვეშ მოყვნენ მისი ქურუმნოც.

მორჩა... შეიმუსრა ის, რაც დიდი ზანია მტკრალ უნდა ქლეულეცა... ხალხმა გაიმარჯვა”...

ირ. ევლოშვილის პროზის თემატიკა, საერთოდ მჩავალფეროვანია. მის მოთხოვბებში ასახულია საზოგადოებრივი და ყოფაცხოვრებითი ამბები, ინტიმური განწყობილებები, იდეური-პოლიტიკური და ზნეობრივი ხასიათის პრობლებები. ამასთან, როგორც უკვე ცოქვით, ევლოშვილის პროზა მხატვრული თავისებურებათაც იქციას ყურადღებას. იკვე საუცხოოდ ფლობს ენას, ბუნებრივ მეტყველებას. მაა კარგად იცის ანდაზები, ხალხური ტქმები და მარტონებულად იყე-

ნებს გთ ახრობის დროს. მწერლის თხრობა სადაა, ღინჯა, მაგრამ შინაგანად მღელვარე, თბილი, მიმზიდველი, ხატოვანი. მის მოთხრობებში გხიბლავთ და გრძაცებთ არა ამბავი, არა დაუა მხოლოდ, გხიბლავთ და გრძაცებთ მისი ლაპატარული სტატი, დაცეცილი ენა, თხრობის ლალი და ბუკბრავი მდინარება, განცდათა სითბო და სიფაქიზე.

ირ. ეკლოშვილის მოთხრობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭრავს ბუნების სურათებს, მაგრამ მის მიერ დახატულ პეზარებს თავისთავაზი, განყენებული, თვითმიზნური ხასიათი არა აქვთ. პეზარი ეხმარება მწერალს აღაშიანთა ხასიათის, მათი სულერი განწყობილებების ჩაფიოდ გამოვლინებაში. ირ. ეკლოშვილი ჩევნი სამშობლოს ერთი ულამაზესი კუთხის შვილი აყო და თუ არა მის, აბა ვის შემოქმედებაში შეეძლო ეპოვა გამოხატულება ჩევნი სამშობლოს ბუნების ან მშვენიერებას! ბუნების სურათების აღწერის დროს მწერალი ამეღლებს არაჩეულებრივ ზაკვირდებას. ნიუანსების ცოდნას; იგი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ერთმანეთსაგან მკვეთრად განსხვავებულ პეზარებს ქმნის. ირ. ეკლოშვილის მიერ დაჭატული ბუნების სურათები ლამაზი, ემოციური და მეტყველია. წაიკითხეთ პატარა მოთხრობა „რაღ მიყვარის აღაზანი“ და ზევით თქმული თქვენთვის მაშინვე ნათელი ვახდება.

ს პ ა ვ შ ვ რ მ ჟ ე რ ა ლ ი

საბავშვო ლიტერატურას ქართველი მოღვაწეები მულაშ დიდ ყურადღებას აქცევდნენ. თითქმის ყველა გამოჩენილი მწერალი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბავშვო ლიტერატურის განვითარებისა და მოზარდი ფალბის აღზრდა-განათლების საქმეში. ქართველი მწერალების წმინდა მოვალეობად სთვლიდა რამე დაეწერა მარტინებისათვის ჩატახელი შე-

շնչյու մատո ზեղոծրուցո და მოქალაქეობრივი პლზერდისათვეს. ჩოლა მეფის თვითმპყრობელობა ქართულ ენას საძრავი და სდევნიდა სკოლიდან, საბავშვო მწერლობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იარაღი იყო ამ დევნილი ენის დასაცავად. საბავშვო ლიტერატურა მშობლიური ენისადმი სიყვარულის და ეროვნული თვითმყოფობისათვის ბრძოლის სული-კვეთებას აღვივებდა, იგი ნორჩ თაობაში პოლიტიკური და სოციალური ჩაგვრისადმი სიძულვილს ზრდიდა, სამშობლოსა და ხალხისადმი უანგარო სამსახურის იღებას განამტკიცებდა.

ეს მაღალი იდეურობა განსაზღვრავდა ქართული საბავშვო ლიტერატურის ძირითადად პროგრესულ ხასიათს ნახევრად კოლონიალურ საქართველოში, კერძოდ 1905 წლის რევოლუციამდე.

იროდიონ ევდოშვილს ძალიან უყვარდა ბავშვები. თავისი შემოქმედებითი ენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი მან ბავშვების მხატვრული აღზრდისა და გონებრივი განვითარების ინტერესებს მოახმარა. მართალია, იროდიონ ევდოშვილი პროფესიული საბავშვო მწერალი არ ყოფილა, მაგრამ იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბავშვო უურნალების რედაქციებთან და მათი აქტიური თანამშრომელი იყო.

იროდიონ ევდოშვილი საბავშვო მწერლობაში აკადი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ლომოურის და შოთა მღვიმელის გზის გამგრძობი და განმავითარებელი იყო. იგი თავის საბავშვო მოთხრობებსა და ლექსებში გამოხატავდა პატრიოტიზმს, სოციალური ბოროტებისადმი შეურიგებლობას, დაჩაგრულთა და გაჭირვებულებისადმი თანაგრძნობას, ცხოვრების უკულმართი წესების წინააღმდეგ ბრძოლის სულსკვეთებას. იგი ნორჩ მკითხველებს უნერგავდა მეგობრობას გრძნობას და შრომასა და სწავლაში სიცეჯითეს. განსაკუთრებით ფართო ადგილი აქვს დათმობილი ევდოშვილის

საბაკშვილ ნაწარმოებებში სოციალურ მოტივებს. მწერალი ბაკშვებს გასაგებად უხსნის და ნათლად უჩენებებს, თუ რატომ არას, რომ ერთნი შეძლებულად ცხოვრობენ, ხოლო მეორენი სიღარაკეში ღაფავენ სულს. ამ მხრივ ევლოშვილი სავსებით განსხუავდებოდა იმდროინდელ საბაკშვილ მწერლებისაგან.

არ შეძლება იროდოთ ევლოშვილის განსაკუთრებულ დამსახურებად არ ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ, როცა: 1905 წლის რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის გამარტონების შემდეგ ქართულ საბაკშვილ ლიტერატურაშიც ერთგვარი ჟეკადანისი დაწყო: ფეხი მოაკიდა უცდელობამ, მან ამ უღალატა მოწინავე ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს და ამ უაღრესად შავბნელ ხანაშიც მტკიცებ განაგრძო თავისი გზა. რეაქციის პერიოდში გამრავლდა უიზეო საბაკშვილ მოთხრობები და ლექსები. იწერებოდა განყენებული მოთხრობები ფრინველებზე, ცხოველებზე, ბუნების სურათებზე, ზოგად „მორალსა“ და ადამიანის „კეთილშობილებაზე“. რელიგიურ თემებზე. იშვიათად შეხვდებოდით ისეთ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახული იქნებოდა სოციალური ჩაგვრის სურათები, სადაც გმირები გაბატონებული საზოგადოებრივი წყობილებისადმი სიძულვილით იქნებოდნენ გამსჭვალული და ნორჩ მკითხველებს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის სურვილით აუნთებდნენ გულს. მაგრამ იროდოონ ევლოშვილის საბაკშვილ მოთხრობების დიდი ნაწილი რეაქციის წლებშიც ამ თემებს ეხებოდა. ეს მოთხრობები ხელს უწყობდნენ მკითხველში პატრიოტიზმისა და სოციალური შეგნების გამომუშავებასა და განმტკიცებას. იროდიონ ევლოშვილს, როგორც საბაკშვილ მწერალს, არასოდეს არ უცდია დაემალა ბაკშვებისათვის იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების შავბნელი სინამდვილე. პირიქით, ცხოვრების დამახასიათებრელი მოვლენების მართალი, შეულამაზებელი ასახვა მიაჩნდა

მას საბავშვო მხატვრული ლიტერატურის ცრუ-ერზ უმნიშ-
დულოვანეს ამოცანად, რადგან მხოლოდ ასეთ ლიტერატუ-
რას შეეძლო აღეზარდა სულიერად ჯანსაღი მომავალი
თაობა.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ იროდონ
ევფოშვილი, როგორც ამას ქვევით დავითახავთ, არ იდგა
ალასობრივი ბრძოლის გაღვივების თვალსაზრისშე. მაგრამ,
როგორც რეალისტს, არ შეეძლო ეღალატა ფაქტუბსათვის
და სინამდვილე დაემახინჯებინა. როცა იგი სოციალურ პრო-
ბლემებს ეხებოდა, ცდილობდა ისინი „ობაექტივუსტური“
თვალსაზრისით წარმოექანა, მაგრამ რამდენადაც მოცლენებს
გვიჩვენებდა ისე, როგორადაც ისინი სინამდვილეში არსე-
ბობდნენ, იმდენად მწერლის მიერ დახატული ცხოვრების
სურათები ტიპური და მძაფრი იყო და მათ არსებითად
სრულიად სხვა შედეგი მოსდევდა. ასეთი ხასიათის მოთხო-
ბები სწორედ კლასობრივი თვითშეგნებისაკენ უბიძვებდა
ჩორჩ მჭითხველს.

იროდონ ევფოშვილის საბავშვო მოთხოვნების შინაგანი
ტენდენცია აიძულებდა ნორჩ თაობას ლრმად ჩაპევირებოდა
და ეფიქრა პოლიტიკური და სოციალური ჩავრის საკითხებ-
ზე, ეფიქრა იმაზე, თუ რატომ იყო, რომ ერთნი ბედნიერნი
იყვნენ, ხოლო მეორენი—უბეღურნი, რატომ იყო ზოგი უზ-
რუნველყოფილი, ზოგი კიდევ ელემენტარულ საარსებო სა-
შუალებას მოკლებული.

იროდონ ევფოშვილი სულ სხვა შინაგანი განწყობილების
მწერალი იყო. იგი თავისი თანამედროვეებსაგან იმით გან-
სხვავდებოდა, რომ არ შეეძლო გულგრილად ეყურა გაბატო-
ნებული სოციალური ბოროტებისათვის. როცა ამ თემაზე
ცერდა, იგი ყოველთვის აღშფოთებული იყო და თავის გუ-
ლისწყრომას მკითხველებს გადასცემდა.

უკელაზე მკაფიოდ ირ. ევდოშვილის საბავშვო პროზაშ შეინარჩუნა ბოლომდე ქლასობრივი სიმახვილე. მწერალი არ ცდილობდა სხვების მზგავსად დაემალა ბავშვებისათვის მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების წყლულები, საშინელებანი, შეელამაზებინა ფაქტები და ადამიანთა ურთიერთობის გულამაჩუყებელი სანტიმენტალური სურათები დაეხატა. ირ. ევდოშვილს აუცილებლად მიაჩნდა ცხოვრება ბავშვებისათვის ეჩვენებინა ისე, როგორც ის სინამდვილეში იყო, რათა თავიდანვე სწორი და ნათელი წარმოდგენა პქონოდათ ცხოვრებაზე და ეფიქრათ მის უკეთესად მოწყობაზე.

ესაა ის ღირსება, რითაც განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას იროდიონ ევდოშვილის საბავშვო შემოქმედება.

იროდიონ ევდოშვილის საბავშვო ნაწარმოებში გაძედულად არის მხილებული ფეოდალურ-ბურუუაზიული საზოგადოების კლასობრივი არსი, ვაჭრების, თავად-აზნაურების, მეფის მოზელების სულიერი სამყარო, მათი ზნეობრივი დაცუმულობა, მათი „ჰუმანიზმის“ არაადამიანური ბუნება. „ორ ობოლში“, რომელიც ზევითაც მოვიხსენიეთ, მწერალმა ამხილა ბურუუაზიული არისტოკრატიის სულიერი სიცალიერე. აი, თეატრის სცენაზე ქალბატონმა ორი ობოლი ბავშვის გაჭირვება ნახა და გული „აუჩუყდა“, ნიანგის ცრემლები დაღვარა, მაგრამ, როცა ასეთივე უპატრონოდ დარჩენილი, მშეირი და შიშველ-ტიტველი ბავშვები მას ხელგაწვდილი შეხვდნენ სახლის წინ და შეწყალება სთხოვეს, ზიზღით გადახედა შავ და გულცივად ჩაუარა გვერდით.

მშვენიერი საბავშვო მოთხოვნაა „მაამო პო-პო“...“ ქალაქელმა ვაჭარმა პეპომ სოფლელ გლეხს შვილი მოუნათლა და

შეპირდა, როცა წამოიზრდება ჩემთან წავიყვან და გავზრდიო. რამდენიმე წლის შემდეგ პატარა გიგას მშობლებს ნათლისა-გან წერილი მოუვიდათ—ბავშვი გამომიგზავნეთო... გაჭირვე-ბულ ცოლ-ქმრის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ფიქრობ-დნენ—ჩვენს შვილს ნათლია ქალაქში გაზრდის, ზრუნვას არ მოაკლებს და კაცად გამოიყვანსო. გიგას სიხარულიც უსაზ-ლვრო იყო, როცა გაიგო, რომ ქალაქში ნათლიასთან უნდა წასულიყო.

ქალაქში მოქიბლა გიგა. მის გაოცებას : საზღვარი არა ჰქონდა. ასეთი უზარმაშარი შენობები, ქუჩებში მოფუსფუსე ამდენი ადამიანი ერთად მას ჯერ არ ენახა. ქალაქში უეჭვე-ლად დღეობა არისო, — გაიფიქრა და გულმა უფრო მეტი სიხარულით დაუწყო ცემა, მოთმინება ეკარგებოდა, მალე უნ-დოდა ნათლიასთან მისულიყო. ეს სასიხარულო წუთებიც მა-ლე დადგა, მაგრამ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა იგი. პირველ დღესვე პეპომ ასე დაარიგა ბავშვი.

„—აი, ჩემო გიგოლი, რას გეტუვი... უველავერი უნდა გა- პიგონო, რაც გითხრა, დარჯერო, გაგზავნი საზმე—მარდად მიხეიდე და მოხვიდე, გაგატანო რამე, არ უნდა დაპკარგო, დუქანში, მართალია, ხილი ბევრია, ხელი არ უნდა ახლო, ეს გასასყიდვა, დილით აღრე უნდა აღგე, აილო ცოცხი ხელში და“... კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ახლად შემოსულმა მუშტარმა შეაწყვეტინა. გიგლა ნათლიას სიტყვებმა ჩააფიქ-რეს. მაშინვე იგრძნო, რომ ქალაქში ყოფნა მისთვის ისე სა- სიამოვნო არ იქნებოდა, როგორც პირველად ეჩვენა. გადიო- და დღეები და გიგლასათვის ქალაქში ყოფნა აუტანელი ხდე- ბოდა. პეპოს თავში ერთხელაც არ გაუვლია კეთილშობილ ფიქრებს ბავშვის მომავალზე. იგი დღედაღამ ამუშავებდა, მოსვენებას არ აძლევდა გიგლას, თუ რამე არ მოეწონებო- და, ყურებს აუსრესდა, ლოყებს აუშითლებდა. გიგლასათვის შეუძლებელი შეიქნა ნათლიასთან დარჩენა. იგი ოცნებით სო-

ფელში იყო და სულ იმაზე ფიქრობდა თუ როდის მოშორ-დებოდა აქაურობას და ნაცნობ მინდვრებში გაინავარდებდა ტოლ-ამხანაგებთან ერთად.

აი, ერთ დღეს პეპომ ლამპის შუშა გაატანა შინ. ის იყო გიგლა დუქნიდან გამოვიდა და თვალი მოჰკრა ურემს, რომლის კოფოზეც მისი ტოლი ყმაწვილი იჯდა და ხარებს მიერეკებოდა. გიგლას ყველაფერი დაავიწყდა, „მაშინვე თვალწინ წარმოუდგა თავიანთი ურემი, ნიკორა, კულვარდა და კოფოზე სახრით ხელში თავისი თავიც.

— მაამ ჰო-ჰო! — წამოიძახა თავისი დაუნებურად, მოიქნია ხელი და ლამპის შუშა სთხლიშა სახლის კედელს“. როცა გიგლამ შუშის ნამტვრევებს დახედა, საშინელმა შიშმა შეიძყრო და მისი ბედიც ამან გადასწყვიტა. ნათლიასთან დაბრუნება აღარ შეეძლო, მაგრამ როგორ წასულიყო სოფელში, არ იცოდა. ამ ფიქრებში რომ იყო, ურემი მიუახლოვდა და „წარმოიღინეთ მისი სიხარული, — გვეუბნება მწერალი, — როდესაც კოფოზე დაინახა თავისი მეზობელი ამხანაგი სოლო და მრსი მამა, რომელიც ურემს უკან მისდევდა“.

აქ სურათიც მშვენიერადა დახატული და ბავშვის განწყობილებაც იშვიათი დამაჯერებლობით არის გადმოცემული. ამ მოთხრობის წამყითხველს ბავშვს არ შეიძლებოდა პეპოსადმი სიძულვილი არ აღძროდა და, შემდეგში, როცა წამოიზრდებოდა, მტრულად არ ყოფილიყო განწყობილი ბურუუაზიული საზოგადოებისა დამი.

იროდიონ ევდოშვილის საბავშვო ნაწარმოებთა თემებია თავსუთულებრსაკენ სწრაფვა, მეგობრობა, სიბრალული და გაჭირვებულისადმი თანაგრძნობა, სწავლაში სიბუჯოებურალი კარგაღ ცწობს ბავშვს, იშვიათი თერალებით გვიხატავს მის ხასიათს, სიმართლით გადმოგვცემს ბავშვის ცოცხალ, მოუსკენარ, დაუცხრომელ ბუნებას.

პატარა მოთხრობა „რას გალობს შაშვი?“ თავისუფალი, ლალი ცხოვრების სიმღერაა. ზამთარში შაშვი დაიყირეს და გალიაში გამოამწყვდიდეს. მოვლას არ აკლებდნენ, მაგრამ მისი გული მაინც ვერ მოინადირეს. როცა გამოზაფხულდა და შაშვმა შეხედა მერცხლების თავისუფალ სრიალს ჰაერში, ტოროლების ქროლვას, შროშანის ფრთების ტყლაშუნს, გული ამოუჯდა, დაუსრულებელ მოთქმას მოჰყევა. ბავშვები ცნობისმოყვარეობაშ შეიძყრო—რას გალობს შაშვი ასე განუწყვეტლივ? — ეკითხებოდნენ ისინი დედას, და აქ პასუხი დედის მაგივრად თვითონ შაშვმა გასცა, მოუყვა იგი ბავშვებს თავის თავგადასავალს და დასძინა:

„მართალია, მე აქ საჭმელი არ მაკლია, შაქარიც კი მიძევს წინ, მაგრამ ყველა ეს ჩემთვის უგემურია, შხამია! არა, არ მინდა თქვენი ლალა-ძიძაობა, გამიშვით აქედან, რომ მეც ჩავუტრიშვირ გაზაფხულის აფერადებულ ტყე-ველს!

აი რას ვგალობ მე, ყმაწვილებო, და რას გემუდარებით!“

თავისუფლება—აი რა სწყურია და საით მიისწრაფვის ყველა ცოცხალი არსება.

თავისუფლებისათვის შეაკლა თავი პატარა ონავარს მერცხალმა. ერთ დილით მერცხალი შემთხვევით ოთახში შეფრინდა, ბიჭმა კარ-ფანჯრები ჩაუკეტა და დაჭრა დაუპირა („შემომიკალ?“). მერცხალი ყოველნაირად შეეცადა თავი დაესხანა, მაგრამ ვერაფერი გააწყო, ბოლოს ონავარ ყმაწვილს უგულო გულზე მიასკდა და თავი შეაკლა—„ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა“. მხოლოდ ამის შემდეგ იგრძნო ბავშვმა თავისი დანაშაული. „არასოდეს დამავიწყდება,—ამბობს იგი, — როგორ შემომხედა უკანასკნელად—ჯერ სიბრალულით და მერე ზიზღით“.

დიდი ხვეწნის შემდეგ ბიძამ ლადოს ქაყანათი გაუკეთა („ქაყანათი“). გახარებული ლადო, პატარა დასთან ერთად, მაშინვე ბელურებზე ნალირობას შეუდგა. ლადო და მარიცელა

გულისფანცქალით ელოდნენ როდის გაებმებოდა ბელურა მაჟხში. აი, კაკანათმა თავისი მოვალეობა შეასრულა და ბელურა აფრთხიალდა. როცა ბავშვები კაკანათთან მივიღნენ, მათ წინ უკვე უსიცოცხლო ჩიტი ეგდო. „ორივენი დალონებული დასკეროდნენ ფრინველს... კაკანათი რალაც ბოროტ იარალად მოეჩვენათ... ბალლები დამნაშავესავით იდგნენ უსიცოცხლო ჩიტის წინ“.

მოთხრობაში „გულითადი მეგობრობა“ გამოხატულია უანგარო მეგობრობისა და ერთმანეთისაღმი გაჭირვებაში დაზმარების იდეა. მწერალი. ასწავლის ბავშვებს, რომ ძალა კოლექტივიზმშია. ცალ-ცალკე ყველა სუსტია, მაგრამ თუ ერთმანეთს მხარს მისცემენ, სუსტიც კი უძლეველნი გახდებიან და მტერი ვერ მოერევა.

მთელ რეგ მოთხრობებსა და ლექსებში ირ. ევდოშვილი გვიხატავს ბავშვების წასარის; ხშირად იგი თამაშსა და გართობაში გამოავლენს მათს უშუალო ბუნებას. ამ მხრივ საინტერესოა „გულადი ბიჭები მარწყვზე“, „გაზაფხული“, „თოვლაობა“, „ჩვენი ფუმფლია“, „ვანო და თამრო“ და სხვ.

იროდოონ ევდოშვილი თავის საბავშვო ნაწარმოებებში დიდ ყურადღებას აქცევს ნორჩი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხებს. ამ თემაზე დაწერილი მთელი რიგი მისი ლექსები და მოთხრობები უაღრესი პოპულარობით სარგებლობრნენ, ბევრი მათგანი დღესაც ამშვენებს სახელმძღვანელოების ფურცლებს. ბავშვების მუდამ საყვარელი ლექსი იყო „ჰერი, ჰერი!“:

„მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა,
დილა არის მშვენიერი,
აბა, ბიჭო, ტანთ ჩავიცვათ
და სკოლისკენ ჰერი ჰერი!
სამუშაოდ ეშურება
ლიდ-ატარა, ფრინველ-მწერი,
აბა, მარდათ, ჩვენც წიგნებით
სკოლისაკენ ჰერი! ჰერი!“

ლექსში „ვანო და თამრო“ მწერალი ხატავს სკოლაში პირ-ველად მიმავალ ვანოს: იგი დილით ადრე მარდათ იცვამნ ტანსაცმელს, გატაცებით ემზადება: „პირი კარგად დაიბანა, დაივარცხნა მევირცხლად თავი“, წიგნები ჩანთაში ჩაუყო და გვერდზე გადაიკიდა. პატარა თამრომ ძმას შეხედა და შეშურდა, მასაც მოუნდა სწავლა. ძმას შეევედრა—„მეც წამიყვა, მეც ვისწავლი ან-ბანსაო“. როცა ძმამ უხსრა „შენ ჯერ პატარა ხარ და შინ თოჯინებს უგდე ყურიო“, თამრიყო ატირდა და ინატრა—„რადა ვარ მე პატარაო, ნეტავი მეც დიდი ვიყო, რომ სკოლაში მატარაო!“

სწავლა-აღზრდის საკითხის ასეთად გაშუქება იმდროინდელ ქართულ საბავშვო ლიტერატურაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ირ. ევდოშვილი, ასეთი ხასიათის ლექსები და მოთხოვნები ცოცხლად, მიმზიდველად, ხალისიანად არის დაწერილი, აზრის გაფმოცემის მხრივაც ნათელია და ნორჩი მკითხველისათვის აღვილად გასაგები, ორიგინალობით მაინც არ გამოირჩევიან. საკითხისაღმი მიღობოდა სიახლე და გაშუქების თავისებურება იმაში უნდა ვეძიოთ, რომ მწერალი არ მისდევს გატეკანილ გზას: სწავლის ზოგად, განკუნებულ ქადაგებას, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაჰყორობს მშრომელთა ბავშვების აღზრდას, მათ მიერ ცოდნის დაუფლებას.

მოთხოვნაში „საწყალი ბიჭიკო“ ასახულია ღარიბი ოჯახიდან გამოსული ბავშვებს განუხორციელებელი ოცნება სწავლაზე. ხელმოკლე მშობლები იძულებული გახდნენ შვილი ხარაზისათვის მრეცათ შეგირდათ. ბავშვებს არ იზიდავდა ხელობა, მას სწავლა სწყუროდა, მაგრამ თავისი სურვილის წინა-ამდეგ ჭუჭყიან სახარაზო დაზგასა და ჯლანებს მიაჯაჭვეს. საწყალი ბავშვი იძულებული იყო თავიდანვე ცხოვრების მძრმე უღელში გაეყო თავი, აეტანა ოსტატის უხეში მოპყრობა და ჭუჭყიანი და უხალისო შრომა. მისი გონება სხვა-

გან იყო, იგი განუშევეტლად სწავლაზე ფიქრობდა და, აა, ერთ დღეს მან სანატორელი სიზმარი ნახა: დედას სიხარულით უამბობდა, რომ დალით ადრე ადგებოდა და სკოლაში წავიდოდა. დედა-შვილს შორის გამართული დიალოგი ნათლად მეტყველებს, თუ რაზე ოცნებობდა ბავშვი. სკოლაში იგი სიხარულით მიდიოდა, მაგრამ აფიქრებდა — მასწავლებელმაც ხომ ისეთივე გინება და ცემა არ იცის შეგირდებისა, როგორც ჩემმა ოსტატმაო, და დედას კითხვას კითხვაზე აძლევდა. ბოლოს, გახარებული ყმაშვილი, დედას ეკითხება: — „არც შუალამემდე ვჯვდები ისე, რომ თითები დამეღალოს მახა-თისაგან და დაზგიდან კისერს ვეღარ ვიღებდე მალლა?“ მის-თვის ყველაზე აუტანელი იყო მძიმე შრომა.

სიზმარში ბიჭიკო ბეჭნიერი იყო. გათენდა თუ არა, მარ-დად ზეზე წამოხტა და მაშინვე სკოლისაკენ გაეშურა. სკო-ლაში ბავშვის წინაშე სრულიად ახალი სამყარო გადაიშალა. ჯერ ადრე იყო, სწავლის დაწყებამდე ბავშვები ხალისია-ნად თამაშობდნენ. მასწავლებელიც მოვიდა და გაკეთილი დაიწყო. მასწავლებელი დაფაზე ასოებს უწერდა და მოსწავ-ლები იმეორებდნენ. „ააა“ — ყველაზე ძლიერად დაიძახა ბი-ჭიკომ და თვალები ცრემლით აევსო სიხარულისაგან. რომ პირველი ასო უკვე ისტავლა.

— ააა შენა და ზახარუმალ! — მოესმა ამ დროს ბიჭიკოს და უიღაცამ კისერში წიხლი უთავაზა“.

ბიჭიკო წამოხტა, თვალები მოაფშენიტა და დაინახა — მის წინ შუბლშეკრული და სილამოლერებული ოსტატი იდგა.

ასე მწარედ დასრულდა ბავშვის ტებილი სიზმარი. აქ მწერალმა მკვეთრად შეუპირისპირა ერთმანეთს წრფელი ოცნება და უხეში სინამდვილე.

„ცოტა ხნის შემდეგ ის წიგნის მაგიერ მახათით ხელში უჯდა სახარაზო დაზგას და ჯდანებს აკერებდა“.

დამახასიათებლად არის ზახატული იმ დროს პირველად

სკოლაში მოხვედრილი სოფლელი ბიჭის განცდა მოთხოვა-
ში „კალოზე, ბატონო მასწავლებელო!“.

იროდიონ ევდოშვილის საბავშვო შემოქმედება შინაარსით
მდიდარი და მრავალფეროვანია. მისი საბავშვო ნაწარმოე-
ბები ენობრივად დახვეწილი, სადა და ხატოვანია. ისინი გა-
ზიდავთ პლასტიკური სახეებითა და ცოცხალი სურათებით.

იდეური დაკვირთების ხანა

რეაქციის პერიოდში იროდიონ ევდოშვილის შემოქმედე-
ბაში იდეური დაქვეითება იწყება. ამ პერიოდში რაღიალუ-
რად შეიცვალა მწერლის შეხედულება საზოგადოებრივ მოვ-
ლენებზე და მთელი რიგი საკითხების გარევევისას რევოლუ-
ციის პერიოდის მრავალ ევდოშვილის სრულიად საწინააღმ-
დეგო პოზიცია დაიჭირა. შემოქმედების ამ მეორე პერიოდში
პროლეტარული რევოლუციის პოზიციებიდან პოეტი ნაციო-
ნალისტური ბურჟუაზიის იდეურ პოზიციებზე დაეშვა.

ცნობილია, რომ რეაქციის წლებში რევოლუციის თან-
მგზავრთა წრეში დაშლა და რღვევა დაიწყო. ეს რღვევა და
დაცემულობა განსაკუთრებით გაძლიერდა ინტელიგენციაში.
თბილისა და საქართველოში გამოცახლდნენ ოპორტუ-
ნისტები, შედარებით გაძლიერდა ბურჟუაზიული და წვრილ-
ბურჟუაზიული პარტიების გავლენა, რასაც ხელს უწყობდა
ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობა და სამრეწვე-
ლო პროლეტარიატის სიმცირე.

„მრეწველობის განვითარების მხრივ თბილისი ბაქოს პირ-
დაპირ წინააღმდეგობას წარმოადგენს. — წერდა ამხანაგი
სტილიზი, რეაქციის წლებში, — თუ ბაქო საინტერესოა რო-
გორც ჩავთის მრეწველობის ცენტრი, თბილისი შეიძლება სა-
ინტერესო იყოს მხოლოდ როგორც კავკასიის აღმოჩინისტრა-
ტიულ-საკაჭრო და „კულტურული“ ცენტრი. თბილისში სულ

20 ათასამდე სამრეწველო მუშაა, ე. ი. ნაკლები, ვიდრე ჯარისკაცები და პოლიციელები. ერთადერთი დიდი საწარმოა რკინიგზის სახელოსნოები (3.500-მდე მუშა). დანარჩენ საწარმოებში თოთოში 200, 100, მეტწილად კი 40-20 კაცია. სამაგიეროდ თბილისი პირდაპირ საქსეა სავაჭრო დაწესებულებებით და მათთან დაყავშირებული „სავაჭრო პროლეტარიატით“. რუსეთის მუდამ ცოცხალი და მოუსვენარი დღიდი ბაზრებისაგან სუსტი დამოკიდებულება თბილისს უზომრაობის დაღს ასვამს. ის გარემოება კი, რომ აქ ადგილი არა აქვს მწვავე კლასობრივ შეჯახებებს, რაც მხოლოდ მსხვილი საწარმოო ცენტრების დამახასიათებელია, თბილის იმ ჭაობს ამგავსებს, რომელიც ბიძგს გარედან ელოდება. სწორედ ამით აიხსნება, რომ მენშევიზმია, ნამდვილშა „მემარჯვენე“ მენშევიზმია ასე დღიდხანს გასძლო თბილისში. სულ სხვაა ბაქო, სადაც ბოლშევიკების მკვეთრი კლასობრივი პოზიცია ცხოველ გამოხატულებას პოულობს მუშებს შორის!“¹⁾)

თბილისში სკარბობლენ მენშევიკები, ოპორტუნისტები. ყველა ჯურის ბურუუაზიული და წვრილბურუუაზიული პარტიები შედარებით თავისუფლად გრძნობდნენ თავს, რაღაც რეაქცია მათში, მარქციალიზმი, დიდ საფრთხეს ვერა ხედავდა. ამხანაგი სტალინი ამ პერიოდის თბილისის რდეურ ატ-მოსფეროს ახასიათებდა, როგორც ლიკვიდატორულს. „ლიკვიდატორულია არა მარტო ორგანიზაციული აზრით, —ამბობდა იგი, —არამედ ტაქტიკური აზრითაც და პროგრამული აზრითაც“. (ცევე).

ჩვენ დავინახეთ, რომ იროდიონ ევდოშვილი რეაქციის პირველ წლებში საკმაოდ მტკიცედ შერჩა პროლეტარიატის საბრძოლო პოზიციებს და თავის ნაწარმოებებში გულგაუტეხელ, ოპტიმისტურ განწყობილებას გამოხატავდა, აჩეყობდა, რომ მღელვარე ზეირთებს შეაბერდა, გულწრფელად

¹⁾ იბ. ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 200-201.

ჰემობდა ტბის სიწყნარეს და მლელვარე ზღვის ტალღებს ეძებდა, იქთ მიილტეოდა. თუ სიყვარული სიმშვიდეა და მოსვენება, — ამბობდა ევლოშვილი, — მაშინ მე ეს გრძნობა სიყვარულისა არასოდეს არ განმიცდიაო.

რეაქციის პირველ წლებში დაწერილ ლექსში „გასწი, იარე ეკლიანი გზით“, ირ. ევლოშვილი მოუზმობდა მეგობარს სულით არ დაცემულიყო, არ დავიწყებოდა ხალხი და თამამად ევლო ეკლიანი გზით.

„დე, ავ ენებმა გარს გისრიალონ,
გისისინებდნენ ასპიტ გველიეთ,
ვიდრე გაქვს ღონე, დაჩაგრულთათვის
ატარე დროშა ეკლიანი გზით!“

მაგრამ იროლიონ ევლოშვილი თანდათან მოიღალა, რევოლუციის მსხვერპლმა გული გაუტეხა, უმედობამა და სკეპტიკიზმა, რაც გაბატონებული იყო იმდროინდელ ლიტერატურაში და წვრილბურუჟაზიულ ონტელიგენციაში, მასზეც მოახდინა ზეგავლენა. ირ ევლოშვილზე გავლენას ახდენენ ეროვნული ბურჟუზიის იდეოლოგები და მის პოეზიაში თანდათან უცხო ჰანგები იჭრება. ახლა პოეტმა სხვა იდეურ პოზიციებიდან დაიწყო მოვლენების შეფასება. თუმცა პირველად ცრემლს, რომელიც მებრძოლი გმირის წარსულს ამცირებდა აღამიანის თვალში, ჯერ ვერ ურიგდებოდა, მაგრამ მოღლილობის განწყობილებას ამართლებდა, ხოლო შემდეგ ცრემლიც განუყრელი თანამგზავრი შეიქმნა მისი ჩანგასა. ლექსში „მოღლილს“ (1908 წ.) პოეტი წერდა:

„შენ დაიღალე, შევობარო, მიეყრდნე ჩემ მკერდს,
მე მინდა ენახო შენი სახე — ეგ შენა წყლული,
შხოლოდ წე აშლი მოვონებით მშარე იარებს,
უარესოდ თვითონ გიგიზედება მეგობრის გული
ცხედავ შენს სახეს, ჩამექარსა და დაავადებულს,
დუხვირ ცხოვრებას მათრახებსა შენი, შიშველ ტანზე,
მაგრამ, ეს, ძმაო, ვინ უწეს ეიდევ რამდენი მსხვერპლი
ლონებინდილი დაეცემა ეკლიან გზაზე!“

პოეტი თანაუგრძნობდა მოლლილ მეგობარს და მოიხსოვდა მისგან გულში ჩაეკლა მწუხარება: მტერს ნუ აჩვენება შენს სასოწარქვეთილებას, ნუ გაახარებ მას ცრემლითა და „საფლავის პირას მოლლილი გულის ამონაკვნესით“, სამშობლოში ბევრია უმაღური და მწარე საყვედურს გაიგონებო, მოკვდი უსიტყვოდ და სამარეში თან წაიღე მტარვალის ზიზლი და ხალხისადმი სიყვარული:

„მოკვდი უსატყვოდ, მოკვდი ჩუბად, არვის უჩვენო,
შენი იარა, შენი ტანჯვა და შენი წყლელი,
და სამარეშიც თან ჩაგვევნა, თან ორი გრძნობა:
მტარვალის ზიზლი, ხალხისადმი კი — სიყვარული“.

ეს შინაგანი მცირე სულიერი ძალაც პოეტმა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა, შემდეგში მან დაჟარგა სწორი ორიენტაცია და ღრმა უიმედობაში ჩაეფლო. ცხოვრება ღამის წყვდიადად ეჩვენებოდა და ამ საშინელ უკუნეთში საფლავის მყუდროება იზიდავდა—„მიყვარს საფლავი, ის არის ჩემთა სატრფო, იქ ჩავასვენე მე სიყვარული და წმიდათა წმიდა ჩემი ედემი და გაზაფხულიო“. ამიერიდან სევდიანი მოთქმა მისი ჩანგის დამახასიათებელ პარგად გადაიქცა:

„ღამის მწუხარია, გულს დარდი სწიწვნისა
ნალველს მოუსამს კაეშის ფრთხები,
ნანგრევებიდან ბუ მწარედ ჰეივის,
ირგვლივ ცრემლები, მხოლოდ ცრემლები.
ვდგვევარ მარტყა, ჩავსცერი კუბოს,
შიგ ბალრი მთვარე ნარნარებს, სტებება
და ამ წყვდიადში, ამ კაეშანში
სატრფო კუბოდან მეალერება“
(„ღამე წყვდიადში“)

ირ. ევდოშვილი სულით ობლობას გაწიცდის. იგი ფიქრობს, რომ ის მშვენიერი მომავალი, რასაც ეტრფოდა აურეა ამაოებაა, ლამაზი ოცნება, გულს რომ ხალხსა და ძალას აძლევდა—მკვდარია. პოეტი მზერას იშვიათად მიაპყრობს:

ზოლმე მჩქეფარე ჩანჩქერებს, ელვა და ქუხილი აღარ ისმის შის სტრიქონებში, ღრუბელივით მარტოობასა და სიმშვილეს ეტროფის:

„ „შენ განდ ხარ ობლად, ცის ლავარდზე, თეთრო ყვავილო,
შენ ვანდ ხარ მარტო, ჩემი გულის მოძახილო,
მნათობთა შორის, თეთრო ჩრდილო, უკარებელო,
გულის ტოლო, სულას სწორო და სიყვარულო“
(„ღრუბელი“).

პოეტი იმდენად მოღალა აღრინდელმა მშფოთვარე ცხოვჭებამ, რომ ახლა იგი საზოგადოებისაგან, ხალხისაგან განდგომასა და მარტოობაში ეძებს გამოსავალს. „ახ, მოვიღალე, ამბობს იგი, წადი, ხომალდო, მოვშორდეთ ამ არემარეს, მარტოდ ყიალი ჩვენი პუნეაო“. ირ. ვდოშეილს ახლა ყველაფერი წარმავალად ეჩვენება, მის წარმოდგენაში მხოლოდ ნალველია სამუდამო. სამუდამოდ შეიძყრო მგოსანი უიმედობამა და ვულგატეხილობაშ.

„მე რად მინდა გაზაფხული,
ისი მოსელა მე რას მარგებს,
ოცოცხლეს ვერ აათროოლებს,
ვერ ამიწყობს ჩანგზე ჰანგებს!“ —

ამბობდა იროდიონ ევდოშვილი და თვითონვე გრძნობდა: რომ მის პოეზიაში უცხო ჰანგები შეიძრნენ, რომ იგი ისე აღარ მღერის, როგორც მღეროდა:

„ეს ის სიძლერა არ არის,
ა ხმა არ არის ჩანგისა,
ულს ცეცხლის მომკიდებელი,
დაბყუჩებელი ნალვლია.
— ს ის სიძლერა არ არის,
ულგუნი ქარიშხალისა,
და არც თუ ირმის კამარა,
— ც ტალღა ზღვათა ზვავისა.
რა, ის ჩაკედა, ჩნელდა,
ჩანგსა დაუწყდა სიმები,

ჩემო ლაშაზო, გშვენოდა
ყელი და ყელის მძიები.
ეხლა რალა ხარ? საფლავზე
ყორნის ხარისა ჯვარია,
თომწყინდა შენი ტვითინი,
გომწყინდა გლოვის ზარია”.

მისტიკურმა და სიმბოლისტურმა მოტივებმა ჰანტლი ჟერა
პოეტის აღტინდელი ნათელი რეალიზმი. ყოველიც ამის სა-
თავე, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, უნდა ვეძოთ არა
პოეტის უბრალო გულგატეხილობასა და რევოლუციისადმი
უიმედობაში, არამედ მსოფლმხედველობის შეცვლაში. გულ-
გატეხილობაც, პესიმიზმიც, მისტიკური და სიმბოლისტური
მოტივებიც უშუალო პროდუქტია იმ ბურუუაზეულ-ზაკო-
ნალისტური იდეოლოგიისა, რომლის გავლენაშიც მოხვდა
იროდიონ ევდოშვილი რეაქციის წლებში და ოსაც მან
ბოლომდე თავი ვერ დააღწია. პოეტი აზ იყო პოლიტიკუ-
რად დიდად განათლებული და ღრმად მოაზროვნე, იგი აღ-
ვილად მოატყუეს კაპიტალიზმისა და ბურუუაზიული ზაკო-
ნალიზმის არჩილ ჯორჯაძის მსგავსმა მეხოტბეებმა, რომ-
ლებიც ქადაგებდნენ კლასობრივ ზეს და პროლეტარიატის
კლასობრივ ბრძოლას კლასთა თანამშრომლობის იდეას უპი-
რისპირებდნენ. პოეტი მოატყუა სოციალ-ფედერაციისტების
და სხვათა ქადაგებაშ ვითომდა „სამშობლოს“ განთავისუფ-
ლების შესახებ. როცა მათ აღმართეს „ეროვნულ-განმათავი-
სუფლებელი“ მოძრაობის მოძველებული დროშა, პოეტი მო-
ხიბლა ამ დროშაშ, მაში დიდი ქართველი მწერლის ილია
ჭავჭავაძის იდეალებისათვის გულწრფელი სამსახური დაი-
ნახა, იმ იდეალებისათვის, რომელიც თავის დროშე უდაოდ
პროგრესული იყო. თუ რევოლუციის წლებში იზ. ევდო-
შვილს სჯეროდა, რომ ეროვნული საკითხის საბოლოოდ გა-
დაჭრა მხოლოდ პროლეტარიატს შეეძლო და პროლეტარია-
ტის რევოლუციური მოძრაობის გამარჯვების გარეშე მას
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერსპექტივები,

ჯერ წარმოედგინა, ახლა იგი სთიშავს პროლეტარიატის რეულიციური ბრძოლის მიზნებს სამშობლოს პოლიტიკური თავისუფლების მიზნებისაგან. ჩვენ აქ იროდიონ ევდოშვილს ვერ დაეწამებოთ ძველი გატაცებისა და მუშათა კლასის საქმისადმი შეგნებულ ლალატს, როგორც სმას ზოგიერთი შევლევარი სჩადის. იგი სცდებოდა და მისი ძველი რევოლუციური შეხედულებებისაგან დაშორება ამ შეცდომის შედეგი იყო.

გადასახლებაში ყოფნის დროს მეგობრისადმი მიწერილ ერთ კერძო წერილში იროდიონ ევდოშვილი წერდა, რომ ჩემ გულში დიდი ხანია დაიწყო ბრძოლა ორ აზრს შორის: „ას ვემსახურო? საქართველოს ერს, როგორც პოლიტიკურად დაზიანებულ ხალხს, თუ პროლეტარიატს, როგორც ეკონომიკურად დაჩაგრულ კლასს. ორივე ჩემთვის ძვირფასი იყო და დღესაც ძვირფასია“, მაგრამ, როდესაც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა სამშობლოს აწინდელი კვნესა მომავალი სოციალიზმის შეებასთან დააკავშირეს და ცხონებას, მისივე შიტყვებთ რომ ვთქვათ, სიკვდილის შემდეგ დაპირდნენ. მაშინ ჩემი გული გადატრიალდა და მათთან თორმეტი წლის წაჟელი ჯაჭვი გავწყვიტეო.

ამ პერიოდში პოეტი ერთმანეთს უპირისპირებს პოლიტიკურად დაჩაგრულ სამშობლოს და ეკონომიკურად დაჩაგრულ პროლეტარიატს. ასეთი დაპირდამირება მის აღრიცნდელ შემოქმედებაში არა გვხვდება. ჯერ ერთი, იროდონ ევდოშვილის მსჯელობიდან გამოდის, რომ საქართველო პოლიტიკურად არის დაჩაგრული და პროლეტარიატი კი მხოლოდ ცონომიურად. მაშასადამე, უკანასკნელი იბრძვის არა პოლიტიკური თავისუფლებისათვის, რადგან ასეთ ჩაგვრას იგი არ განცციდის, არამედ ეკონომიკური თავისუფლებისათვის, რაც საქართველოს პოლიტიკური განთავისუფლების მიზნებთან შედარებით ძალიან მცირეა, პატარა მიზანია.

პოეტი ბრძოლისათვის დიდია და მთავარს აჩხევს (!). ასეთია ერთი დასკუნა. მეორე — მას გულწრფელად სჯერა, რომ სამშობლოს განთავისუფლება შეიძლება პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის გამარჯვების გარეშე. მესამე — ღრმად ვერ ურკვევა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისში ეროვნული საკითხების გარშემო.

როცა ქართველი სოციალ-ფედერალისტები და სხვა ბურგუნდიანები პარტიები შეეცადნენ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის პროგრესულ ღრმოშას—ეროვნულ-განმათავისუფლებელ ღრმოშას ამოფარებოდნენ და „სამშობლოს“ პოლიტიკური განთავისუფლების ნიღაბით ბრძოლა გაეჩაღებინათ მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, მარქსიზმის წინააღმდეგ და ეროვნული ბურჟუაზიის ონტერესები დაცვათ, ექადაგათ „კლასთა თანამშრომლობისა“ და „საერთო ნიადაგის“ თეორია, ამხანაგმა სტალინმა სასტიკაზ ამხილა ისინი, როგორც რევოლუციის მტრები და ბურჟუაზიის იდეოლოგები.

„ეგრეთ წოდებული „საბოლოო“ გადაქრა „ნაციონალური საკოხებისა“, ე. ი. „განთავისუფლება“ რესეთის „უცხო“ ერებისა, საზოგადოდ რომ ვთქვათ, — წერდა ამბანაგი სტალინი,—შეუძლებელია იმ დრომდე, სანამ პოლიტიკური ბატონობა ბურჟუაზიის ხელშია“¹⁾!) შემდეგ ამბანაგი სტალინი კონკრეტულად ასაბუთებს და აღნიშნავს, რომ „დღევანდელი ეკონომიკური წინსკვლა თანდათან ხდის სჯებს „უცხო ცრეპსა“ და „რუსეთს“ შორის, უფრო და უფრო აკავშირებს მათ ერთმანეთთან და მით მეგობრულ გრძნობებს ბაჭეს ამ

¹⁾ იბ. ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 48.

ერების ბურუუაზიის ხელმძღვანელ წრეებში, რაც ნიადაგს აცლის მათს „ნაციონალურ-განმათავისუფლებელ“ მისწრაფე-ბებს“.¹⁾ ბოლშევიკები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ებრძოდნენ სოციალ-ფედერალისტების ეგრეთ წოდებულ „ეროვნულ-განმათავისუფლებელ“ მისწრაფებებს, რაღაც მათი „ეროვნულ-განმათავისუფლებელი“ მოძრაობა მაშინ მიმართული იყო ბურუუაზიის სასარგებლოდ და მუშათა კლასს, მშრომელი მასების საზიანოდ, რომ ის „პროლეტა რიატს კლასობრივ თვითშეგნებას ურყვნიდა და უმახანჯებდა“ (ი. სტალინი).

დღი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი ა. წულუუკიძე, სასტრუკად ამხელდა რა არჩილ ჯორჯაძეს, როგორც კაპიტალიზმისა და ბურუუაზიული წაცონალიზმის მეხოტებეს, ააშკარავებდა და სავსებით ნათელყოფდა კლასობრივი ზავისა და კლასთა თანამშრომლობის თვალსაზრისის უნიადგობას. იგი წერდა:

„არც ერთი ევროპის ერთაგანი კლასთა ბრძოლას არ გადაჩინია და „საერთო მოქმედების ნიადაგზე“ ვერც ერთმა ფეხი ვერ მოიკიდა, თუმცა მათ ბ. არჩილ ჯორჯაძეზე არა ნაკლები მქადაგებლები ჰყავდათ, მარტო ერთი ბასტია ღირდა რამდენიმე ჯორჯაძეთ, მაგრამ მისმა პარმონიულმა თეორიამაც კი ვერ მოსპო კლასთა ბრძოლა, და სინამდვილე მისდა დაუკითხავად წარიმართა“.²⁾

არჩილ ჯორჯაძე და ბურუუაზიის სხვა იდეოლოგები მოითხოვდნენ ვაკარ-მრეწველთა გამრავლებასა და მუშათა რიცხვის ზრდას ქალაქებში, მხოლოდ ეს ზრდა-განვითარება უნდა გადაქცეულიყო არა კლასობრივი ბრძოლის ნიადაგდ, „არამედ აუცილებელ პირობათ ჩვენი ხალხის ნაციონალური აღორძინებისა“. რასაკვირველია, მათ არ სურდათ შეეგნოთ,

1) იხ. იქვე.

2) იხ. ალ. წელუუკიძე, თხზულებანი, 1934 წ., გვ. 100.

რომ „კლასთა ბრძოლა და ნაციონალური აღორძინება ერთ-მანეთს სრულიად არ უარყოფენ“. ერთს საერთო ინტერესებად ისინი აცხადებდნენ ბურუუაზის ინტერესებს. ას. წელუკიძე, ებრძოდა რა არჩილ ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ თეორიას, წერდა, რომ „ერთს უმრავლესობას უკვეელად შეადგენს „მშრომელი ზალხი“, მწარმოებელი, რომელიც ქვეყნის სიმჰიდრეს აწარმოებს, ერთს დანარჩენი ნაწილების შევებავია და საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი ეკონომიური ძალა. მხოლოდ მისი ინტერესებია საერთო ინტერესები და ამ ინტერესების დაცვა ნამდვილი ეროვნული თეოთარსებობის დაცვაა“. ას. ჯორჯაძისა და ბურუუაზის სხვა დეოლოგთა აზრით კი „ეროვნული საერთო საქმე მოითხოვს ამ ინტერესების მივიწყებას, უკუგდებას და მას აღვილს უმცირესობის, ერთს უფრო შეძლებული ნაწილის ინტერესების წინ წამოყენებას“. ¹⁾

ერთი სიტყვით, ჯორჯაძის აზრით საერთო ინტერესები მოითხოვდნენ ხალხს სილარიბებსა და გაჭირვებაში ეცხოვა, თავსი ინტერესები დაევიწყა, შერიგებოდა კაპიტალისტურ ექსპლოატაციასა და მონურ ჩაგრძას. ასეთი „საერთო ინტერესები“, ცხადია. ბურუუაზის ინტერესებია, მას მიზნად აქვს დამახული მოჩქმალოს ნამდვილად საერთო ინტერესები — ერთს უმრავლესობის, მშრომელი ხალხის ინტერესები. რათა დაცვას კაპიტალისტური სისტემა მოსპობისაგან.

ცხადია, ის ვინც ერთს პოლიტიკურ თავისუფლებას გამოჰყოფს მშრომელთა სოციალური თავისუფლებისაგან და მათ ერთმანეთს დაუპირისპირებს, „ერთს კეთილდღეობის“ თვალსაზრისით, აღიარებს პირველს და უარყოფს მეორეს, ნებით თუ უნებლიერ, ეს სულერთია, ბურუუაზის თვალსაზრისზე, მისი ინტერესების სამსახურში დგება.

იროდოთ ევლოშვილმა რეაქციის წლებში უდიდესი შეც-

¹⁾ იხ. იქვე, გვ. 101.

დომა ჩაიდინა, როცა წარმოიდგინა, რომ პროლეტარიატია, როგორც ეკონომიურად დაჩაგრული კლასის ინტერესები ეწინააღმდეგებოდნენ ქართველი ხალხს ეროვნულ ინტერესებს. რთულ ვითარებაში პოეტი დაბინა, მან დაივიწყა ის, რაც ადრე კარგად ესმოდა—ერის უმრავლესობის მშრომელი ხალხის ინტერესები არის იგივე ერის ინტერესები, რომ ნამ დავილად მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია იბრძოლოს ერის ზამდევილი თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. გულშრფელად გვჯერა, რომ ამ დროსაც, როგორც თვითონ წერს ზემოთ ციტირებულ კერძო წერილში, იროდიონ ევდოშვილისათვის ძვირფასი იყო პროლეტარიატი და მშრომელი ხალხისადმი სიყვარული მას არ განელებია, მაგრამ მოხვდა რა ნაციონალისტური ბურჟუაზიის იღეურ გავლენაში, მქეთრად დასცილდა თავის აღრინდელ სწორ პოზიციას და თავის უპირველეს იდეალად „საქართველოს ერის პოლიტიკურად განთავისუფლება“ (!) დაისახა. თუ აღრე, როგორც დავინახეთ, პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებზე თხზავდა ლექსებს და მათს საღიღებელ საქმეებს უმღერდოდა, ახლა იგი ხოტბას ასხამდა და „სიმართლის დროშად“ სახავდა ორჩილ ჯორჯაძეს, რომელიც რევოლუციის აშკარა მოწინააღმდეგე, მარქსიზმის შეურიგებელი მტერი იყო. არჩილ ჯორჯაძის გაელენით შემდეგში ევდოშვილიც დაუპირდაპირდა მარქსიზმს.

თვითონ იროდიონ ევდოშვილი არ უარყოფდა, რომ მასი შემოქმედება ორ პერიოდად იყოფოდა. როცა 1915 წელს „სახალხო განეთმა“ მისი თხზულების გამოცემა განიზრახა, ნიკო კურდოლაშვილს სწერდა: „მოელ ლექსებს ორ ეპოქად ვყოფ. 1893-1905 წ. და 1905-1915 წლამდე“. ფორმალურად ეს დაყოფა მართალია. პირველი პერიოდი მისი შემოქმედებისა 1905 წლის რევოლუციის დამარცხებით მთავრდება. მაგრამ ჩვენ ზევით დავინახეთ, რომ იროდიონ ევდო-

შეისა რევოლუციის დამარცხებისთანავე ხელი არ აუღა
თავს ძეველ შეხედულებებზე და 1907 წლამდე მის პოეზია-
ში მაინც გაისმოდა რევოლუციონერი პოეტის, პოლლეტარი-
ტის, მშრომელი მასების პოლიტიკური და სოციალური თავი-
სუფლების მომღერალის მგზნებარე ხმა. ამიტომ უფრო სწო-
რი იქნება თუ პირველ პერიოდად მივიჩნევთ 1893-1907
წლებს, ხოლო, მეორე პერიოდად—1907 წლიდან სრულა-
ლამდე.

ამ მოსაზრების განსამტკიცებლად მხედველობაში გვაქვს
მეორე გარემოებაც. იროდიონ ევდოშვილის ჩამოცილება
მუშათა მოძრაობისაგან და მის გადასცეს იდეურად საწი-
ნალმდეგო ბანაკში, გარდა პირველი რევოლუციის ზამარტ-
ხებისა, ხელი შეუწყო დიდი ქართველი მწერლის—ილია ჭავ-
ჭავაძის ვერაგულმა მკვლელობამ, რაც მეფის თხრანქამ მო-
აწყო. ცნობილია, რომ საქართველოს ნაცონალისტური ბურ-
უაზისს წარმომადგენლები, კერძოდ სოციალ-ფედერალისტე-
ბი შეეცადნენ ეს მკვლელობა, რომლის კვალიც თითქმის
ჩვენს ღრმობა სიბნელით იყო მოცული, თავიანთ სასარგებ-
ლოდ გამოეყენებოდათ. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, რამაც
მთელი საქართველოს საზოგადოებრივი აზრი უაღრესად შე-
აშფოთა, ფედერალისტებმა სოციალ-დემოკრატიულ პარ-
ტის დაბრალებს და მის წინააღმდეგ საშინელი ცილისმწა-
მებლური კამპანია გააჩარეს.

ამ კამპანიამ დიდად იმოქმედა იროდიონ ევდოშვილზე.
იროდიონ ევდოშვილმა დაჯერა, რომ ილია ჭავჭავაძის
მკვლელობა მართლაც სოციალ-დემოკრატების მიერ იყო მო-
წყობილი. იგი საბოლოოდ ჩამოსცილდა ამ პარტიას და ჩაება
მის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1911 წელს გადასახლებიდან მე-
გობრისაღმი მოწერილ ერთ წერილში ირ. ევდოშვილი წერ-
და: „მოკლე წერილით ვერ გამოვთქვამ ყველა იმას, რაც მე
მინდა დიდი ხანია ვსოდეა, რაც შხამის ტბად გრიალებს ჩემს

გულში და ეს ტბა კი ჩემმა ნამეგობრებმა დაატრიალეს... ეს მოხდა იმ დროს, როდესაც... ილიას მოხუც, ნაცირნახულევ გულს ტყვია დაახალეს. ეს ტყვია მეც მომხვდა, როგორც სამეცნიერო სეედა. მე ხმა ამოვიღე ლექსით, წერალებით და აქ გაწყდა ჩემსა და მათ შორის შემაერთებელი ძაფი. მაგრამ მე მართალს არ ვამბობ. ძაფი კი არა, ნამდვილი ჯაჭვი. ჯაჭვი იმიტომ, რომ მათთან ვიყავ მე მიჯაჭვული მთელი ათი-თორმეტი წლის განმავლობაში იდეურად"... აქცე პოეტი აღნიშნავს, რომ ცოტა უფრო ადრე დაიწყო ჩემს გულში მათდამი ჩწმენის დაკარგვა, მაგრამ „ქნელი იყო თორმეტი წლის ნაჭელი ჯაჭვის გაწყვეტა და ი, ილია დამეხმარა ზე თავისი სიკვდილით. იმ დღიდან კი სამუდამოდ ვიბრუნე პირი ქართველი ესდეკებისაგან“.

იროდიონ ევდოშვილს, როგორც ჩანს, თოლად არ დაუთმია თავისი აღრინდელი შეხედულებები, და მისმა შინაგანმა კიდილმა კვალი დააჩნიეს პოეტის შემოქმედებითს სულს. „ძვირად დამიჯდა ეს სულიერი ბრძოლა, — ამბობს იროდიონ ევდოშვილი, — ბევრი ნაღველი გამოვიარე, და ამ ნაღველმა სევდის ჩრდილი დაპკრა ჩემს სულს“.

საბოლოო კავშირს სწყვეტს რა სოციალ-დემოკრატებთან, თვით გადასახლებაშიც ცდილობს არავითარი ურთიერთობა არ იქონიოს მათთან. აქ გადმოსახლებული პოლიტიკურნი, — სწერდა ერთ თავის მეგობარს გადასახლებიდან, — ოცდახუთ კაცამდეა, მაგრამ მათთან მხოლოდ ოფიციალური კაცშირი მაქვსო.

· მეორე პერიოდში იროდიონ ევდოშვილის შემოქმედების შთამაგონებელი და ერთადერთი თემა იყო სამშობლო, მისი პოლიტიკური თავისუფლების იდეა. მას სამშობლო უკვე აბსტრაქტულად ჰქონდა წარმოდგენილი, კლასობრივი ბრძოლის გაჩაღების წინააღმდეგი იყო და ბურუუაზიული „საერთო ნიაღაგის“ თვალსაზრისზე იღვა.

მაგრამ იროდიონ ევლოშვილის პატრიოტიზმი შინაგანად მაინც განსხვავდება არჩილ ჯორჯაძისა და სხვებს „პატრიოტიზმისაგან“. არჩილ ჯორჯაძე, როგორც ბურუჟისას იდეოლოგი, შეგნებულად იცავდა კაპიტალიზმის ინტერესებს და შეგნებულად ცდილობდა პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების მოჩილუნებას, რათა დაეცვა კაპიტალისტური სისტემა, განემტკიცებინა მისი პოზიციები, ხოლო იროდიონ ევლოშვილი სცდებოდა. მას გულწრფელად უყვარდა სამშობლოც და ქართველი მუშაც, ქართველი გლეხიც. პოეტი მზად იყო თავისი სიცოცხლე მათვის მსხვერპლად მიეტანა, მაგრამ იგი დაიბნა, ვერ გაერკვა რომ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ კითარებაში, სამშობლოს პოლიტიკური განაკურ-სუფლების საქმისადმი გულწრფელი სამსახურით გულწრფელად სურდა მას სამსახური გაეწია არა ქართველი ხალხის უმცროსობის, არამედ მისი უმრავლესობის ინტერესებისათვის.

რ. ევლოშვილი ვერ ხედავდა, რომ სინამდვილეში, ობიექტურად თავისი შინაგანი რწმენისა და სურვილის საწინააღმდევობა მოქმედებდა. მისი პატრიოტული ლექსები იმ დროს. ნებრით თუ უნებლიერ, ბურუჟაზიული „პატრიოტიზმის“ სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ და ხელს უშლიდნენ მუშათა კლაში, მშრომელ მასებში კლასობრივი შეგნების შეტანა, კლასობრივი ბრძოლის გაჩალებას.

იროდიონ ევლოშვილმა მეორე პერიოდში, დადგა რა „საერთო ნიაღავის“ ბურუჟაზიული თეორიის თვალსაზრისისზე, აზრი შეიცვალა მწრრლობის დანიშნულებაზეც. თუ აღრე იგი მუზა, პოეტს მოუხმობდა ჩამდგარიყო მუშათა კლასის ინტერესების სამსახურში, თავის წმინდა მოვალეობად დაესახა მუშათა კლასის, მშრომელი მასების კლასობრივი თვითშეგნების ამაღლებასა და რევოლუციის გამარჯვებისათვის ხელი-შეწყობა, ე. ი. თუ იგი აღრე გარკვევით იღვა ლიტერატურის

პარტიულობის, მასი მაღალი იდეულობის თვალსაზრისისწე, ახლა ეს თვალსაზრისიც შეიცვალა. ლიტერატურის. ამოცანად მას რაღაც „ზეკლასობრივი მიზნები“ მიაჩნდა. „მე ვთქვა უკიდევაც ვიტყვი, —წერდა პოეტი 1910 წელს გაზ. „სახალხო გაზეთში“, —რომ პოეტი, როგორც პოეტი და არა მოქალაქე, არ ეკუთვნის არცერთ პარტიას, არ შეუძლია პროგრამა მინიმუმ-მაქსიმუმებით ლექსების წერა, რომ დადებული პოეტები არამც თუ რომელიმე პარტიას, თვით ერსაც კი არ ეკუთვნიან“.

როდიონ ევფოშვილის ეს აზრი გამოხატულებაა ლიტერატურის ზეკლასოურობის ბურჟუაზიული თეორიისა, ამასკ; როგორც ზუსეთში ისე ჩვენშიც, განსაკუთრებით ფეხი მოიკიდა რეაქციის წლებში და რასაც შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადა ამხანაგმა ლენინმა. ვ. ი. ლენინი მეცნიერულად ამტუიცებდა, რომ არაპარტიული, ზეკლასობრივი ლიტერატურა არ არსებობდა. „არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე, —წერდა ლენინი, —და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო. ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის, მსახოვი ქალის თავისუფლება — ეს არის მხოლოდ შენილბული (ანდა ფარისეკლურად ნიღაბაფარებული) დამოკიდებულება ფულის ქისისაგან, მოსყიდვისაგან, ხასობრისაგან“.¹) ირ. ევფოშვილს არ ესმოდა, რომ „არის ორი ერი უკელა თანამედროვე ექში... არის ორი ეროვნული კულტურა ყველა ეროვნულ კულტურებში“. ²⁾

მოხვდა რა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ შეხედულებათა გავლენაში, ირ. ევფოშვილი იდეურად დაჭვერდა, თანდათან შესუსტდა მისი შემოქმედების ცხოველმყოფელი ზეგავლენის ძალა. თუ პირველ პერიოდში იროდიონ ევ-

¹⁾ იბ. ვ. ლენინი—„პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, გვ. 11.

²⁾ იბ. იქვე, გვ. 13.

დოშვილის ნაწარმოებები გამოქვეყნებისთანავე ძლიერ გამოხაურებას პოლლობდნენ და ორმა სიყვარულს იხევედნენ მშრომელთა ფართო მასებში, ახლა მეორე პერიოდში გავლენას ახდენდნენ მხოლოდ წვრილბურუუაზიულ ელემენტებზე. მისა ხმა ორგანულად ერწყმოდა ჩვევოლუციია გულგატეხილთა და კლასობრივი ბრძოლის უარმყოფელთა ხმას. ამ გარემოებამ თვალსაჩინოდ შეამცირა იროდონ ევდოშვილის საყოველთაო პოპულარობა. მისი ნაწარმოებების თემები და იდეური სენტენციები არ იყვნენ იმ დროისათვას აქტუალური და საონტერესონი. მათ მაშინ სიძველის ფერი დაჟერავდათ. ფორმის მხრივაც ირ ევდოშვილის ლექსები მკითხველს ახალს ვერაფერს ეუბნებოდნენ. იროდონ ევდოშვილს ახლა ესარჩელებოდნენ და ხოტბას ასხამდნენ ბურუუაზიული და წვრილბურუუაზიული კრიტიკოსები და ინტელიგენცია.

როგორც დავინახეთ, იროდონ ევდოშვილმა ბურუუაზიული იდეოლოგიის გავლენასთან ერთად, ბურუუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურის გავლენაც განიცადა. მის შემოქმედებაში პესიმისტურ მოტივებთან ერთად გვხვდება მისტიკურ-დეკადენტური სენტენციებიც. მიუხედავად ამისა, მისი გაიგოვება მოდურ მწერლებთან, რომელნიც ამ ქვეყნად არავითარ სიკეთეს არ ხედავდნენ და რომელთაც სძულდათ ხალხეც და სამშობლოც, არ შეიძლება. იგი მაინც ცალკე იდგა. მისი პოეზია, პროზა მაინც ამქვეყნიური სურნელებით იყო გაულენთილი და ზოგჯერ ობიექტურად, მწერლის მსოფლშეგრძნობისაგან დამოუკიდებლად, პროგრესის საქმეს ემსახურებოდა.

არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რომ იროდონ ევდოშვილი ამ პერიოდშიც არ ყოფილა უკიდურესი პესიმისტი, სკეპტიკი, რომ მის პოეზიაში გულგატეხილობის განშუობისთვანი ერთად იგრძნობოდა მებრძოლი. პატრიოტული სულებასთან ერთად იგრძნობოდა მებრძოლი. პატრიოტული სუ-

ლისკვეთება, არსებულისადმი შეურიგებლობისა და აქტოური მოქმედების სულისკვეთება. ეტრფოდა რა სამშობლოს თავი-სუფლება, ამ თავისუფლებაში პოეტი გულწრფელად ხედავ-და აგრეთვე მშრომელი მასების ბეღნიერ მომავალს. ამიტო-მაა, რომ მის პატრიოტულ ლექსებში დემოკრატიული მო-ტივებიც გვხვდება. სწორედ ამით დგას იგი ყველა თავის თა-ნამედროვე ქართველ მწერალზე მალლა.

იროდიონ ივან შვილი და ჩვენი თანამედროვეობა

‘ ჩვენს ეპოქაში,—ეპოქაში დიდი ოქტომბრის სოციალისტუ-რი რევოლუციისა, რომელმაც დაამხხო თვითმვყრობელიპა და სამუდამოდ აღგავა ბურჯუაზიის ბატონობა,—დიადი სტალინ-ური ხეთწლედების ეპოქაში,—როცა მრავალი თაობის სანუ-კვარი ოცნება სინამდვილედ იქცა, მოისპო ხალხთა წოდებე-ბად და კლასებად დაყოფა და დამცვიდრდა უკლასო სოცია-ლისტური წყობილება, როცა იროდიონ ევლაშვილის დროის შავბნელი წარსული ისტორიის არქივს ჩაბარდა და რევოლუ-ციამდე დაჩაგრულმა ხალხებმა თავისუფალი და ბეღნიერი ცხოვრება შექმნეს,—ევდოშვილის შემოქმედებას დიდი ის-ტორიული მნიშვნელობა ენიჭება, მისი მებრძოლი ლექსები ამაყად უღერენ.

იროდიონ ევდოშვილის პირველი პერიოდის პოეზია დიდ-ხანს ახდენდა გავლენას ქართული მწერლობის ჯანსაღ ნა-წილზე. ევდოშვილის ამ პერიოდის პოეზიის მებრძოლი რო-მანტიზმი, მისი მაღალი იდეურობა და ხალხურობა ხელს უწყობდა პროლეტარული მწერლობის ზრდა-განვითარებას. პოეტის ეს შემოქმედებითი მემკვიდრეობა უშუალოდ შედის ქართული საბჭოთა კულტურის საგანძურები.

აქვე ერთხელ კიდევ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მეორე პერიოდშიც, მთუხედავად პოეტის იდეურადაქვეითებისა, არ შეიძლება იგი გავაიგივეოთ ბურეუაზის რეალოგებთან. რომლებიც ქართველი ხალხის კეშმარიტი ინტერესებს შეგნებულად სცელიდნენ ერთი მუქა ბურუაზის ინტერესებზე. ევდოშვლი შეცდომის მსხვერპლი იყო. ვერ გაერკვა რა რომ საზოგადოებრივ ვითარებაში, იგი შეუგნებლად მოექცა ბურუუაზიული ინტელიგენციის გაცენაში.

იროვიონ ევდოშვილის მეორე პერიოდის მთელი რიგი საუკეთესო პატრიოტული ლექსები გამოიჩინდნენ შინაგანი გულწრფელობით, მშობლიური ქვეყნისა და მშრომელი მასების კეშმარიტი სიყვარულთ. ამიტომაა რომ ჩვენი ეპოქა, ამ საუკეთესო ლექსებზეც უარს არ ამბობს, უკლასო საზოგადოებაში მათ სხვა როლი შეუძლიათ შეასრულონ. იროვიონ ევდოშვილის ამ ლექსებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ მკრთხველის ჯანსაღ მოქალაქეობრივ აღზრდას. პოეტის შეცდომები ისტორიაში გამოასწორა. საბჭოთა საქართველო არის განსახიერება იმ მთლიანი და თავისუფალი სამშობლოსი, რომელზეც ოცნებობდნენ ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები წარსულში და რომელთაც არ იცოდნენ თუ რა გზით შეიძლებოდა, ვისა მოპოვება. საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს და პატივს სცემს წინაპართა გულწრფელ სიყვარულს სამშობლოსადმი.

სამშობლოს სიყვარული და მისიამი ერთგულება იროვიონ ევდოშვილისათვის ძლიერი და წმინდა გრძნობაა. აი რას ეუბნება პოეტი სატრფოს თავისი სამშობლოს შესახებ:

„გახელე, ტურფავ, ეს არის ჩემი
პირველი სატრფო, ეს გეცილება,
გულით უცვლელი არ გამცვლის სხვაში,
ისევ უცვლელად მეც შეავარება“.

სადაც და როგორ მდგომარეობაშიც არ უნდა ყოფილიყო პოეტს, მუდამ თან მისდევდა ფიქრი სამშობლოზე, მისი სი-
ყვარული აძლევდა მხნეობასა და ძალას. ჩორნი-იარაში გა-
დასახლების დროს დაწერილ ერთ ლექსში იროდოონ ევფო-
შვილი თავის სამშობლოს ციმბიტს აღარებდა და წერდა:

„არა, არა ჰგავს სამშობლოს ლამეს,
ეს ლამე უცხო, უცხო მხარეში,
მაგრამ სამშობლოს მე მაინც ვხედავ,
ეხედავ ჩემს მწარე ფიქრებ-ნალველში!“

სამშობლოდან უცხო მხარეში გადასახლებული და განმარ-
ტუებული პოეტი უცხო მდინარის პირას ზის და მისი ტალ-
ღების დუღუნი სამშობლოზე ფიქრებს აუშლის:

„იმლერე რამე შენი ქვეყნია,
გამიგონია ლამაზია,
მიამდე რამე შენი მთებისა,
თვით ერიც ლალი ვავაზია!“
მეფურჩულება უცხო მდინარე,
მეღუღენება გულნალვლიანა
და მაგონდება სამშობლო მხარე
ბაგეზე მწარე ლომილიანსა!“

იროდოონ ევფოშვილის განცდები და ფიქრები საქართვე-
ლოს ბედს დასტრიულებენ. იგი ძლიერ განცცლის და თავის
ნაწარმოებებში უდიდესი გულისტყვილოთ გამოხატავს სამ-
შობლოს პოლიტიკურ ხელის, ქართველი ხალხის ჩაგრასა
და დამონებას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინიან ცი-
ხისა და გადასახლების პერიოდი. პოეტის სულიერი ტკივი-
ლები, იმის შეგნებით, რომ პატიმარი ვერაფერს უშველის
რყვეთქმნილ სამშობლოს, გაორკეცებულია.

„რით მოგეშველო, მონათ ქეეყანავ,
მე თვითონ ხელ-ფეხს მაძევა ბორკილი,
ოხ, ძოდის დაცუკეტო ჯაჭვს მონობისა,
შენც შეპყრობილი, მეც შეპყრობილი...“

გადასახლებაში მყოფი პოეტი ფიზიკურად დავავადებული იყო. ეს გარემოება ჰელს უწყობდა იმას, რომ მისა განცჯები ჰელმეტად ნაღვლიანი ყოფილიყო, გამოეთქვა უიმედობა. იმისა, რომ ვეღარ მოესურებოდა სამშობლოში დაძრუნებას. ევდოშვილი ერთ თავის ლექსში ჩრდილოეთს ყვავილს — იას მიმართავს და ეუბნება: სპეტავი და მშვენიერი ხარ, შენებრ ლამაზი, შენებრ კეკლუცი ბევრი მინახავს სამშობლოს შთებზე, ამ ყვავილთ შორის ერთი ყვავილი არ მაკრწყდება და შენ რომ გიყურებ ის მიღდას თვალწინ, „ის მაგონდება, მისი ხმა მესმის, შორით მოძახის, მეალერსება, მაგრამ იმეღიარა მაქვს მასი ნახვის, მე აქ მოვკედები და ის რე დაჭყნებაო“. მაგრამ პოეტი მაინც არ უნდა შეურიგდეს მდგომარეობას და დასძენს — მე მოვკედები ტყვეობაში, მაგრამ „შერისძიება თვით საფლავიდან ბრძოლის ქარცეცხლად ამო-ე-ხებსო“.

ევდოშვილის ამ პერიოდის პოეზიას განსაკუთრებულ ემოციურ ძალასა და სილამაზეს ის აძლევს, რომ იგი, ზოგჯერ მაინც, ასე თუ ისე, სულიერ სიმხნეევს და მებრძოლი პოეტის პათოსს ინარჩუნებს. მწუხარე ფიქრები, — ერთადერთი საუნჯე, რომელიც მას გააჩნდა სამშობლოში და თან გაპყვავადასახლებაში, — არა სცილდება ბორკილებთან მარტოდ მარტო დარჩენილ პოეტს, მაგრამ ნუგეშს აძლევს „ოცნება, რომლის ქვეყანაც ფართოა“. ოცნებით პოეტი თავისუფალია, დაპქრის „აქაც და იქაც“. ევდოშვილს კვლავ სელთ უპყრია „მწარე ისარი, მისი ნუგეში იგი იყო, ახლაც ის არი“. და თუ ამოკვნესებს, ამ ამოკვნესაშიც ხშირად შინაგანი შემართების ხმა ისმის — „ვაი, რა ძნელი ყოფილა ტყვეობა არწივისაო!“.

: სამშობლოდან მოწყვეტილი, შორეულ გადასახლებაში მყოფი პოეტი დავიწყებას აძლევდა პირად, ინდივიდუალურ განცდებს და გატაცებით შატავდა საქართველოს მომხიბლავ სუ-

რათებს, მისი კუთხეების მშვენიერ პეიზაჟებს და მათში ზოგად თავის სულიერ ნეტარებას აქსოვდა. ლექსში „ეჭ, ალაზანი!“ ბრწყინვალედ არის გადმოცემული სამშობლოს მოწყვეტილი პატრიოტი პოეტის სულიკვეთება:

„ეჭ, ალაზანო, ობოლო,
ტრიალო მინდორ-ველოო,
გაღმა ნაფანტო ფირუზო,
გამოღმა საყვარელოო,
შენც მინდვრის იავ-ჯერანო,
ვერახვო, ჩონგურო ქარისა,
ცივო გომბორო ნართავო,
ნაქარგო ეთერ ქალის!
ხშირადა გხედავ სიზმარში,
ნეტავ თუ გნახავ ცხადათა,
ან იქნებ მოვევდე შორს თქვენგან,
უდროვოდ, ძალის-ძალითა!
გნახავთ, — ვერ გნახავთ, მანდ თუ აქ
მოვევდები ბორკილიანი,
რა ვუყოთ აქ თუ საფლავზე
არ გადმეშლება იანი;
მის ნაცველ ქარი დამღმუვლებს,
შე ქარი ჩრდილოეთისა,
ოხერ მკედარს თოვლი დამმარხავს,
გითომც ცრემლია დედისა,
მაგრამ სიკედილი სიცოცხლედ
მაშინ მე გადამექცევა
თუ სამარეში ჩემს ბორკილს
თქვენიც ზედ დაეკეცება“.

იროდიონ ევდოშვილი მხოლოდ თავის კუთხეს — კახეთის ზოდი უმღერის ასეთი შთაგონებით. მისთვის საქართველოს ჭველა კუთხე ერთნაირად საყვარელია. მისი ლექსი „გურიას“ ქართული პოეზიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ქმნილებაა. იგი მკვეთრად გამოიჩინევა გურიაზე დაწერილ ლექსებიდან განცდათა სრულფელით, მხატვრული უშუალობით და სრულყოფილობით:

„ბულბული რომ კუოფილიყავ,
არ დავთმობდი მე შენ ქალებს,
შაგრამ ჩნდით დაგიოცხი
შორიდანაც ლამაზ თვალებსა
გადაგიშვენ, ტურფავ, მკლავზე,
დაგამლერებ იავ-ნანას,
გულში ვარდად დაგატარებ, —
სულში, როგორც ცის მანანას
ორ ქედს შუა ჩანასკვულო,
დაფენილო მთის კალთაზე,
ხან ზეცისკენ ატყორცნილო,
ხან გაშლილო დაბლა ბარზე!
ხან მწუხარედ — ნისლ დაკრულო,
წუთის შემდეგ — მოღიძარე,
მთა რომ მალლა ელვას გაპერავს, —
ძირს იცინის არემარე!“

პოეტს ასეთივე სიწრიფელითა და კოლორიტის ღრმა ცოდნით აქვს დახატული ჩეენი მზიური სამშობლოს სხვა კუთხები. იროდიონ ევდოშვილის პატრიატიზმი შემოზღუდული არაა ვიწრო, კუთხური ფარგლებით. იგი მოიცავს მთელ კაქართველოს, მთელ სამშობლოს. პოეტი ერთნაირი გატაცებითა და აუგზნებით უმღერის კახეთს, ქართლს, გურიას, შავი ზღვის ნაპირებს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ იროდიონ ევდოშვილი ერთი პირველთაგანია, რომელმაც ქართულ პოეზიაში ზღვის თემა შემოიტანა და ზღვის გაწყვობილება ჩვენი პოეზიის მოტივების ორგანულ წაწილად აქცია. ზღვის ტალღების მოუსვენარ ღელვაში პოულობს ხშირად ევდოშვილი სულიერ ნათესაობას. „ტალღათ ფაფარზე გამოზრდილი ვარ, არ ვარ ჩვეული მოსვენებასო“, — ამბობს პოეტი. დამახასიათებელია, რომ გადასახლებიდან იგი ზღვით მოეშურება სამშობლოსკენ და მიმართავს გემს — გასწი, სწრაფად გასწი, წინ არ მიგასწროს ჩემმა გულმა... ზღვის ტალღებს მიჰყვება პოეტის ფიქრები და თავის სულიერ ძლიერებას მის გაუტეხელ ნებაში ხედავს. „ზღვა მისი გოსუბრე, თანაც შმენელი“.

აღოდეონ ევლოშვილი ჩვენი ხალხის საყვარელ პოეტად
ჟარჩა იმტომ, რომ იგი, ზოგიერთი ზიგზაგის მიუხედავად,
უკელაზე ზედმიწევნით და დამახასიათებლად გამოხატავდა
თავის ეპიქას და მუდამ გულწრფელად უმღეროდა ბედნიერ
მომავალს. პოეტი ერთი წუთით არ შერიგებია თავისი სამ-
შობლოს, თავის ხალხის ჩაგვრას. იგი თავისი პოეზიის ჰანგებს
ხალხის ტკივილებზე ლესავდა, აწრთობდა. სიკვდილის პირა-
საც არ შეეძლო მას შერიგებოდა ბედს. მე არ მინდა საშობ-
ლოში დავიმარხო, რათა მისმა მტერმა ჩემს მკერდზე ფეხით
არ გადაიაროს:

„არა, არ მსურს, ჩემი კუბო
სამშობლოში დაიმარხოს,
მე არ მინდა მისმა მტერმა
ზედ მიაროს, ზედა მლახოს!“

· საბჭოთა თანამედროვეობა გვერდს ვერ აუხვევს პოეტის
შეცდომებს, მის იდეურ მერყეობას, მაგრამ ამით იგი სრუ-
ლიადაც არ შეეცდება დაამტიროს მწერლის დამსახურება და
ლირსეულად არ დააფასოს მისი ლიტერატურული მემკვიდ-
რეობა. საბჭოთა ხალხს თავის სახელოვან კულტურულ მემ-
კვიდრეობაში შეაქვს ევლოშვილის ყველა საუკეთესო ნა-
წარმოები, კერძოდ განსაკუთრებით ძვირფასია მისი პირველი
პერიოდის რევოლუციური პოეზია. ამ პოეზიით იგი ჩვენი
სახელოვანი წინამორბედია, — ქართული პროლეტარული
პოეზიის დამწყები.

· იჩოდიონ ევლოშვილს ლირსეული ადგილი უჭირავს რევო-
ლუციის წინა ხნის გამოჩენილ ქართველ მწერალთა შორის,
იმ მწერალთა შორის, რომელთაც წარუშლელი კვალი დააჩ-
ნიეს ქართველი მწერლობის განვითარებას. ქართველ მკით-
ხელში მისდამი სიყვარული არასოდეს შემცირდება.

შ ი ნ ა ს ა რ ს ი

I. ცხოვრება

	გვ.
ბოლბისხევი	5
მრავალშვილიანი ოჯახი	11
ნორჩი მონაღირე და მამის კრიტიკოსი	14
პირველი ნაბიჯი	17
ძმასთან	21
მეტეხის ციხეში	29
სამშობლოს მოწყვეტილი	36
სამშობლოში დაბრუნება	46

II. შემოქმედება

	გვ.
დასაწყისი	55
ქარიშხლის მაუწყებელი	65
ქარიშხლის მომღერალი	83
ევდოშვილის პროზა	128
საბავშვო მწერალი	141
ილეური დაქვეითების ხანა	152
იროდიონ ევდოშვილი და ჩვეჩი თანამეტეობერძნ . .	168

რედაქტორი—ნ. შველიძე
მხატვარი—ირ. რაზმაძე
ტექნიკაქტორი—ლ. სეფიაშვილი

კორექტორები { შ. ბერიძე
გ. ლომინაძე

*

ხელმიაწერილია დასაბეჭდად 16/1 51 წ.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11. სუალი.
ფორმ. რაოდ. 10. ანაწყ. ზომა $5\frac{1}{2} \times 8\frac{1}{2}$.
ქაღალდის ზომა 54×82 . შეკვ. № 837
ტირაჟი 7.000. უკ 00508.

*

„კომუნისტი“, თბილისი,
ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат „Коммунисти“
им. Л. П. Берия. Тбилиси, ул.
Ленина № 14.

შეცდომების ბასზორება

ნვ.	სტრიქ.		ა რ ი ს	უნდა იყოს
	წელ.	კვერ.		
10	6-7		ჩემს მაგიერ სამართალსა იქ რას ეტყვი მაღალ ლერთსა?	იქ რას ეტყვი მაღალ ლერთსა?
28		8	აბალი	ჩემს მაგიერ სამართალსა ახლო
51	5		ოდიშარისაგან	ოდიშარისაგან
64		4	რელიტიურად	რელიტიურად
73	17		ჯვუფები.	ჯვუფი.
79	11		უტილტარიზმი.	უტილტარიზმი.
81	8		პილიცია-ჯანდარმებით	პილიცია-უანდარმებით
95		2	იგონებს, მწერალი	იგონებს მწერალი
107	2	2	ელდპება	ელუპება
112		13	ეწლს	ეწლს
115	4		გვერნდა	მეონდა
125	8		რითვის	რისთვის
134		1	პირიტყვულად	პირუტყვულად
145		9	სიცალიერე.	სიცარიელე.
153			ამგაესტბს,	ამსგაესტბს,
154	12	3	ცხოვრებას	ცხოვრების
170	1-2		ყოფილიყო პოეტს,	ყოფილიყო პოეტს
170		8	გამოირჩევიან	გამოირჩევა